საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№043 (12722) 23 თებერვალი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი





## ნინო ევროპაში მეორეა

» 12

# პატარა გორის დიდი პერსპექტივები



## სად არის რისკი და მხნეობა?

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი XX ტური » 2-4



## ქართულმა ლეგიონმა დაასველა

მუჯირის დუბლი, კვირკველიას გოლი, კოზის კარგი ორიანი

ლეგიონის უქმეები » 5



## კრისტოფ დაუმის ისტორიული დღე

მსოფლიო ფეხბურთი » 6-11



### ფიფია აზერბაიჯანიდან რუსებმა გამოაბრუნეს

ინტერვიუ » 4




### სამი მედალი კიევიდან

თავისუფალი ჭიდაობა » 12



### კალათბურთმა მეტროს გაასწრო

საქართველოს ჩემპიონატი » 13

ეროვნული ბიბლიოთეკა



21.02 გორი. თ. ბუჩუკანაძე. 700 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-დინამო**

**1:1**

0:1 გ. მერებაშვილი (27), 1:1 რაზმაძე (34-პენ)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, დ. ლომაია, ყველაშვილი, ჯაფარიძე - დათუნაიშვილი, რაზმაძე, გ. მელქაძე (90. კვალინიძე), კლიმიაშვილი - ლიპარტია (90. მგელაძე), კვარაცხელია (86. ზაქრაძე).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ბერიაშვილი, მაისაშვილი, ხურცილავა*

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ჩარასი - შ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, გველესიანი (46. კოშკაძე) - გ. მერებაშვილი, ვანაძე (63. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, კაკუბავა, ნერგაძე, ლომია, ჯუისი*

გაფრთხილება: თომაშვილი (16), ოვონო (34), ბეჭვაია (35), ლიპარტია (83), კრშკო (84)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# პატარა გორის დიდი პერიპეტიები

## ჰერ ცობელ, სად არის რისკი და მხნეობა?

„ვიტ ჯორჯიამ" და „დინამომ" ახალი ვერაფერი შემოგვთავაზეს, ორივე გუნდმა ისე ითამაშა, როგორც მოსალოდნელი იყო. ფრე კი, რა თქმა უნდა, უფრო „ვიტ ჯორჯიას" აძლევდა ხელს. არ იყო სიურპრიზები, **რაინერ ცობელიცა** და **რამაზ მუმლაძეც** ექსპერიმენტებს მოერიდნენ. რისკზე წასვლა უფრო „დინამოს" მართებდა, მაგრამ ამ შეხვედრამ დაგვანახვა, რომ ცობელის გუნდს რისკის დიდი რესურსი არ გააჩნია.

ამ მატჩის წინათქმაში ვივარაუდეთ, რომ **გიორგი მერებაშვილისა** და **მათე ვანაძის** გაორებულ მახვილს, **შოთა კაშია** უფრო ბასრს გახდიდა. ასეც მოხდა და უცნაური ის იყო, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ეს კარგად ვერ გათვალა - პირველ ტაიმში შოთა კაშიამ მეტოქეს დიდი პრობლემები შეუქმნა, მეორეში კი შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ...

„ვიტ ჯორჯია" **ალექსანდრე კვახაძის** ავადმყოფობამ დაალალატა. ვიტელთა კაპიტანმა მაღალი სიცხის გამო ვერ შეძლო თამაში და ამით „დინამოს" შანსი გაიზარდა - კვახაძისა და **დავით ლომაიას** ტანდემი დაცვის ცენტრს ხომ ქვასავით ამაგრებდა. მუმლაძემ კვახაძე **ამირან ყველაშვილით** შეცვალა, რომელმაც თავდადებით კი ითამაშა, თუმცა კვახაძესავით საიმედოდ და თავდაჯერებით ვერ გაისარჯა.

„დინამომ" კვახაძის არყოფნა ვერ გამოიყენა-თქო, ვერ ვიტყვით - ვიტელთა მცველებს გაუჭირდათ შეტევასა თუ დაცვაში მაღალ ბურთებზე ბრძოლა, არაერთხელ ჩაფლავდნენ ორთაბრძოლებშიც, მაგრამ ცობელის გუნდმა ყოველივე ეს ეფექტურად ვერ გამოიყენა. იანვარში კვახაძეს „ვიტ ჯორჯიადან" წასვლა სურდა. კლუბმა ის შეინარჩუნა და სწორადაც მოიქცა - კვახაძე ძალიან სჭირდება გუნდს, რაც „დინამოსთან" შეხვედრაშიც გამოჩნდა.

### 1-15 წუთი

პირველი სახიფათო მომენტი „დინამომ" შექმნა: კაშიამ მარჯვენა ფლანგზე ჩაიქროლა, ვანაძეს გადააწოდა ბურთი, მან კი მერებაშვილს - კარისკენ მიმავალ ბურთს ვიტელთა ერთ-ერთი მცველი გადაეღობა, თორემ ვინ იცის, იქნებ, „დინამო" ადრევე დაწინაურებულიყო.

პირველი წუთები ნერვული გამოდგა, მოედნის ცენტრში გაჩაღებულ ბრძოლაში მკვეთრი უპირატესობა არც ერთ გუნდს არ ჰქონდა, თუმცა „დინამო" უფრო კარგად შლიდა თამაშს - როგორც კი ამის შესაძლებლობა შეიქმნებოდა, ბურთი შოთა კაშიასკენ უნდა წასულიყო და ამის მერე შეტევაც მწვავდებოდა.

მერებაშვილმა ორთაბრძოლაში ერთი შეხებით იმარჯვა, ჩინებულად გაუჭრა ბურთი კაშიას, რომელმაც კარის გასწვრივ ჩააწოდა და კარიდან წინ გამოსულმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** გაჭირვებით განმუხტა ხიფათი.

ჯარიმა მერებაშვილმა მოიპოვა, დარტყმა კი **ლევან ხმალაძემ** იკისრა - ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

### 16-30

„ვიტ ჯორჯიას" ბურთის გაგორება გაუჭირდა - მედგრად კი იბრძოდა, მაგრამ კომბინაციური თამაში არ გამოსდიოდა. მუმლაძის გუნდი „დინამოს" საჯარიმო მოედნისკენ ბურთის ჩაგდებაზე გადავიდა, რაშიც ყველაზე მეტად **ლაშა ჯაფარიძე** აქტიურობდა - აუტიდან ლონივრად და შორს აწვდიდა ბურთს, რაც არცთუ სასიამოვნო გამოდგა „დინამოსთვის". ჯაფარიძე მარცხენა მცველია და საკუთარ ფლანგზე აქტიურობით შოთა კაშიას შეტევებს ნაწილობრივ მაინც აფერხებდა.

„დინამოს" იერიშებს ბოლომდე ვერც ამან შეუშალა ხელი. „ვიტ ჯორჯიას" ერთხელაც გამოეპარა შოთა კაშიას შეტევა, დამაგვირგვინებელი დარტყმაც „დინამოს" მარჯვენაფლანგელის იყო - ბედიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქიდან მოწოდებულ ბურთი კი შორეულ ძელთან დაეშვა, სადაც **გულვერდ თომაშვილი** აღმოჩნდა - ბედიაშვილმა სასწაული რეაქცია გამოავლინა და „ვიტ ჯორჯია" კიდევ ერთხელ იხსნა.

მუმლაძის გუნდი შეტევაში თავისას ცდილობდა. ერთი-ორჯერ **ვახტანგ კვარაცხელიამ** მოახერხა მაღალი ბურთის მოგება, რამდენჯერმე **ლუკა რაზმაძემ** და **გიორგი მელქაძემ** სცადეს გამჭოლი პასებით თანაგუნდელების ხელსაყრელ პოზიციაზე გაყვანა. დინამოელთა მეკარე **დიდიე ოვონოს** მხრიდან ლიბეროსავით გარჯას შეჩვეულნი ვართ, გულშემატკივარი მან გორშიც გაახალისა ონავრობით - კარიდან ხშირად გამოდიოდა, თითქოს ბურთის ფლობაში ეჯიბრებაო მეტოქესა თუ თანაგუნდელებს.

„ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი კუთხურისას ბურთი ოვონომ მოიგდო, მყის შოთა კაშიასკენ გაგზავნა, მან კი და ერთი შეხებით გადააწოდა მერებაშვილს, ვისაც რაზმაძე ჩაჰყვა საჯარიმომდე. ბურთისთვის ბრძოლაში ვიტჯორჯიელს დინამოელმა აჯობა, კარგადაც გაისწორა და „ცხრიანში" გაახვია. ყველაფერი უნაკლოდ შესრულდა და ბედიაშვილს ვერაფერში დავძრახავთ.

### 31-45

„ვიტ ჯორჯია" მდევრის როლში აღმოჩნდა. გუნდის თამაშის დალაგება რაზმაძემ ითავა, რასაც თავდაჯერებულად აკეთებდა - ერთხელაც გამოჩნდა, თუ რაოდენ ფასეული ფეხბურთელია ის ვიტელებისთვის. რაზმაძე პასებს ანაწილებდა, „დინამოს" დაცვით ჯებირებში ნაპრალებს ეძებდა, ისე მოქმედებდა, თანაგუნდელებს რწმენას ულვივებდა...

მანამდე ჩრდილში მყოფმა **ჯაბა ლიპარტიამ** კი ჩინებულად ითამაშა: ბურთი კარგად მოიგდო და თავზე ისე გადაავლო „დინამოს" დაცვას, რომ კვარაცხელია ოვონოს შეატოვა. „ვიტ ჯორჯია" ამ ორთაბრძოლით 11-მეტრიანს გამორჩა, რომელიც რაზმაძემ ოსტატურად შეასრულა.

აქედან ხუთ წუთში ისევ ლიპარტიამ იყოჩაღა, ისევ კარგად გაუჭრა პასი კვარაცხელიას, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში ვიტელთა საუკეთესო მეგოლემ ამჯერზე ვერ ივარგა - ფრიად ხელსაყრელ სიტუაციაში ბურთს ფეხი ააცილა.

ლიპარტიას თითქოს სარქველები გაეხსნა და კიდევ ერთხელ იჩაუქა - ბურთიანად კარგად შემობრუნდა, თუმც 17-18 მეტრიდან ძლიერად ვერ დაარტყა და ოვონო იოლად დაეუფლა ბურთს.

ტაიმის ბოლო წუთები კი „დინამოსი" იყო. ცობელის გუნდს პირველი 45 წუთის კარგი დასასრული ძალიან წაადგებოდა, შესვენებაზე თავაწეული გავიდოდა, ასეთ თამაშში ხომ ერთი გოლიც დიდი ფორა იქნებოდა. „ვიტ ჯორჯიას" დაცვაში ისევ გამოჩნდა არცთუ პატარა ბზარები და „დინამოს" გოლის გატანის კარგი შესაძლებლობაც მიეცა - გადმოვარდნილ ბურთს **დავით დილმელაშვილმა** შეაგება ცაცია, მაგრამ ბურთი კარიდან განზე წავიდა.

### 46-60

მეორე ტაიმის სტარტიდან „ვიტ ჯორჯია" უკეთ ათამაშდა - შუა ხაზში მეტოქეზე ლონიერი აღმოჩნდა. აი, კვარაცხელიას ჯარიმა ოდნავ ასცდა კარს, მერე კი ლიპარტია სამ მეტოქეს შორის ჩიკორივით დაბზრიალდა, ძლიერადაც დაარტყა და ოვონოს გამო ოდენ კუთხურს გამორჩა.

მაგრამ „დინამოს" ხომ მერებაშვილი ჰყავს - თამაშის საკუთარ თავზე ამღები, რაინერ ცობელის გუნდის გაჭირვების ტალკვესი, ვისაც გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდა ვიტელთა დაცვა. აგერ, ის ერთხელაც მოხდენილად შეიჭრა საჯარიმოში და ბედიაშვილს შორეული კუთხისკენ დაურტყა, მაგრამ ბურთს **გიგა ბეჭვაია** ჩაუწვა და ხიფათი გააუვნებლა.

### 61-75

თამაში დაცხრა. მეტოქეები თითქოს ერთმანეთის შეცდომებს უსაფრთხებოდნენ. ბურთს უფრო ხშირად კი „ვიტ ჯორჯია" ფლობდა. რაზმაძემ ერთხელაც დაგვანახვა, თუ რატომ იწვევს ნაკრებში **ექტორ კუპერი**. მელქაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა ცაციათი შეასრულა, ბურთს ვერავინ შესწვდა და კარშიც მიდიოდა, მაგრამ ოვონო ფხიზლობდა და „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ კუთხური აკმარა.

ეჭვები გაჩნდა ერთი ეპიზოდის გამო, რომელიც პენალტს ჰგავდა. მერებაშვილი საჯარიმოში შეიჭრა და ის იყო, უნდა დაერტყა, რომ ლომაიასთან ჭიდილში გაზონზე აღმოჩნდა. არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** გაგრძელება ბრძანა, თუმც იძულებული გახდა, მალევე გაეჩერებინა თამაში - მერებაშვილს ექიმების დახმარება დასჭირდა და სწორედ ამან გაალვივა ეჭვი, რომელიც თითქოს 11-მეტრიანის სასარგებლოდ იხრებოდა. მერებაშვილის წაქცევის მომენტში „დინამოს" სათადარიგოთა სკამი მყის წამოიშალა, თუმცა ეპიზოდს სერიოზული პროტესტი არ მოჰყოლია...

### 76-90

მატჩის ბედი მერებაშვილსა და კაშიას უნდა გადაეწყვიტათ. გიორგიმ მარცხენა ფლანგზე იშლიგინა, მცველები ჩამოიტოვა და საუკეთესო გადაწყვეტილებაც მიიღო - შორეულ ძელთან კაშიას გადააწოდა - ბედიაშვილს ლამის მთელი კარი მოშიშვლებული ჰქონდა, გადაცემა ძლიერი იყო და კუთხის დაფარვას ვერანაირად ვერ მოახერხებდა, ყველაფერი კაშიაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ... სიჩქარეაკრეფილს ბურთი თითქოს ფეხებში აებლანდა და ფაქტობრივად ცარიელ კარში ვერ მოარტყა...

ამის მერე „ვიტ ჯორჯიას" დაცვაში შეცდომა აღარ დაუშვია და იქით გაექაჩა „დინამოს" გოლის გასატანად. ვიტელთა უპირატესობა მოედნის ცენტრში კიდევ უფრო გამოიკვეთა - მოძრაობაში ჯობნიდა მეტოქეს. უცნაური კია - „დინამოს" ხომ მოსამზადებელი პირობები „ვიტ ჯორჯიაზე" უკეთესი აქვს, არადა, თამაშის ბოლოს მუმლაძის გუნდი უფრო მხნედ გამოიყურებოდა. ბოლო აკორდი კი ასეთი იყო - შეცვლაზე შესულმა **ბექა ზაქრაძემ** ლიპარტიასთან კარგად გაითამაშე კომბინაცია, მაგრამ ბურთს ჭვინტი კარგად ვერ ამოჰკრა და ოვონომაც ხელებში გააქვავა ის.

**დავით თავართქილაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გორი-თბილისი









იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი?

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

| 21.02. ბოლნისი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი |
|---|
| სიონი-ლოკომოტივი |
| 3:1 |

1:0 სანიკიძე (6), 1:1 ი. გილაური (22. ჩირიკაშვილის პასით), 2:1 ზ. ჭელიძე (79. ბობოხიძის პასით), 3:1 რ. გოცირიძე (82. ბობოხიძის პასით)

სიონი: ჭანტურია - ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე (65. ბობოხიძე) - შალამბერიძე, მიკუჩაძე, დიდავა, სანიკიძე (67. გ. მ. ხიდეშელი) - დავითაშვილი (79. ზ. ჭელიძე), რ. გოცირიძე.

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ალადაშვილი, შავგულიძე, კაკაშვილი.*

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ხუმარაშვილი, გ. კვანტალიანი - კახელიშვილი, დიაკვნიშვილი, ჩირიკაშვილი (60. გ. მოდებაძე), მახარაძე, ი. გილაური (81. დ. ჩაგელიშვილი) - შ. კვანტალიანი (56. ლ. ჩაგელიშვილი).

*სათადარიგოები: ბელელური, ა. კობიაშვილი, კაჭახიძე.*

გაფრთხილება: ხუმარაშვილი (34), კახელიშვილი (38), ჭანტურია (40), გუშარაშვილი (43), დიაკვნიშვილი (50), ხუმარაშვილი (55), ლ. ჩაგელიშვილი (87)

გაძევება: ხუმარაშვილი (55)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

# პირველად, 2009 წელს...

## ბობოხიძის ფაქტორი და ოდენ 1:3 ლომაიას ხარჯზე

ბოლნისის „სიონმა" 2009 წელს პირველი თამაში მოიგო. ქვემოქართლელები „ლოკომოტივს" გაუსწორდნენ - 3:1. არადა, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი შინ უქულოდ დაბრუნებას არ აპირებდა და ეს მატჩის პირველივე წუთებზე გამოჩნდა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. თამაში გამორჩეული იყო ყვითელი ბარათების სიმრავლითაც. ქუთაისელმა არბიტრმა **გიორგი კიკაჩეიშვილმა** 7-ჯერ გამოიყენა ყვითელი ბარათი, რასაც ერთი გაძევებაც მოჰყვა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ გაფრთხილებების სიმრავლე იმდენად ხისტი თუ უხეში თამაშით არ ყოფილა გამოწვეული, რამდენადაც მსაჯთან უსასრულო კამათით...

კარში პირველად სტუმრებმა დაარტყეს. მე-3 წუთზე **კახა მახარაძის** გასროლა მცირედით ასცდა მიზანს. ამან მასპინძლები გამოაფხიზლა. მე-6 წუთზე სწრაფი და, ამავე დროს, მოულოდნელი გოლი ვიხილეთ - **ლევან სანიკიძემ** ძლიერად დასცხო, თბილისელთა მეკარე **გიორგი ლომაიამ** კი ბურთის ერთი ხელით მოგერიება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და ანგარიში გაიხსნა - 1:0.

სტუმრები გოლმა არ დააბნია. „ლოკომოტივი" გამოცოცხლდა, თუმცა არც მასპინძლები მოდუნებულან და შეხვედრა ორმხრივ იერიშებში წარიმართა. ჯერ იყო და, მახარაძემ და **ირაკლი ჩირიკაშვილმა** დაარღვიეს სიმშვიდე „სიონის" კართან, მერე კი **რევაზ გოცირიძემ** დაასაქმა ლომაია. თბილისელებმა მცირე ხნით უპირატესობა მოიპოვეს და გოლიც მოამწიფეს. მე-18 წუთზე **გიორგი კახელიშვილმა** დაარტყა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა, სამ წუთში კი გოლიც ვიხილეთ - ჩირიკაშვილმა კარგად მოძებნა **იოსებ გილაური** და ამანაც **გია ჭანტურიას** ახლო, დაბალ კუთხეში გაუტანა - 1:1.

ბოლნისელები არ შეურიგდნენ სიტუაციის ამგვარად შემობრუნებას. **ოთარ კორღალიძის** გუნდმა ინიციატივა მალევე დაიბრუნა. **სულიკო დავითაშვილმა** ბურთი გარედან მოარტყა ბადეს, მერე **კობა შალამბერიძემ** გადააცილა ხარიხას. პირველი ტაიმის მიწურულს „სიონმა" ერთგვარი შტურმიც მოაწყო, მაგრამ სტუმართა მეკარემ და მცველებმა იმარჯვეს, ბოლოს წუთზე კი „ლოკომოტივს" იქით ჰქონდა შანსი - ჭანტურია კახელიშვილის დარტყმულს გადაეფარა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ზეწოლა გააგრძელეს. თბილისელთა ერთადერთი იარაღი კონტრშეტევა იყო. სანიკიძის დარტყმულზე ლომაიამ იმარჯვა, მერე **გივი დიდავამ** ააცილა კარს საჯარიმო. ყვითელი ბარათების სიმრავლე „ლოკომოტივს" ძვირად დაუჯდა - მცველმა **გიორგი ხუმარაშვილმა** 55-ე წუთზე მეორე გაფრთხილება მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

კიკნაძემ შეცვლებს მიმართა და ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ არც ყრუ დაცვაში ჩამჯდარა, არსენალში კონტრშეტევები დაიტოვა. კორღალიძემ კი **მიხეილ ბობოხიძის, ზაზა ჭელიძისა** და **გიორგი ხიდეშელის** თამაშში ჩართვით შემტევი პოტენციალი გააძლიერა, რამაც ნაყოფიც გამოიღო. თუმცა ბოლნისელთა 3 ქულა მეტწილად ბობოხიძის დამსახურებაა. მან თანაგუნდელები აიყოლია, შეტევებს ორგანიზებულობა და სიმწვავე შემატა. კაცნაკლულ თბილისელებს დიდი ჯაფა დააწვათ. 67-ე წუთზე ბობოხიძის პასის შემდეგ დავითაშვილმა დაარტყმა, მაგრამ ისევ ლომაიამ იმარჯვა. გავიდა ცოტა ხანი და **კოკა მიკუჩაძის** მიერ ჩაწოდებული ჯარიმისას **ირაკლი ვაშაკიძემ** დაასწრო მცველებს, მაგრამ და ლომაია კვლავ მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში იმავე მიკუჩაძის პასით ბობოხიძე ურტყამდა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა მიზანს, 77-ე წუთზე კი, ხიდეშელის მცდელობის შემდეგ, სტუმართა სამსახურში ხარიხაც ჩადგა...

ბოლნისელებმა მაინც გაიხარეს. ბობოხიძის პასით ჭელიძემ „სიონი" დააწინაურა - 2:1. „სიონმა" შეამჩნია, მეტოქე გატყდა და ანგარიშის გაზრდას შეეცადა. სამ წუთში ბობოხიძემ კიდევ ერთი საგოლე პასი მიითვალა - მისი გამოზომილი გადაცემა გოლით გოცირიძემ დააგვირგვინა - 3:1. დარჩენილ დროში მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლის გატანა სცადეს, მაგრამ მიკუჩაძისა და შალამბერიძის დარტყმებს გოლი აღარ მოჰყოლია.

მოკლედ, ბოლნისელებმა დამსახურებულად მოიგეს. ბობოხიძესთან ერთად, დიდი სამუშაო გასწიეს სანიკიძემ და შალამბერიძემაც. სტუმართა გუნდში კი ახალგაზრდა თავდამსხმელ **შალვა კვანტალიანს** გამოვარჩევდით. მას წინ მარტოს უწევდა შრომა. კვანტალიანს პოტენციალი აშკარად ეტყობა. **ლევან ცქიტიშვილის** წასვლის შემდეგ, 7-ნომრიანი მაისურაც და გამთამაშებლის ფუნქციაც **კახა მახარაძემ** (წარსულში თბილისისა და ბათუმის „დინამოს" მცველის, **მალხაზ მახარაძის** ვაჟი) მოირგო. კახაც უდავოდ ნიჭიერია და შეუძლია, კარგ ნახევარმცველად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება ნაკრების მეკარე ლომაიას გარჯას, მის კარში სამი გოლი კი გავიდა, მაგრამ ბოლო ორში მისი დადანაშაულება არ შეიძლება. ისე, სწორედ ლომაიას დამსახურებაა, „ლოკომოტივმა" გამანადგურებელი ანგარიშით რომ არ წააგო.

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

| 21.02. თბილისი. ამერი. 800 მაყურებელი |
|---|
| გაგრა-ზესტაფონი |
| 1:3 |

0:1 ხიდეშელი (5. ბენაშვილის პასით), 0:2 იონანიძე (36), 1:2 ძაგანია (53. გაბედავას პასით), 1:3 გელაშვილი (74. ძარიას პასით)

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, გიგაური, კოზლენკო, გაბუნია - გაბედავა, ტყეშელაშვილი, შარიქაძე (77. ჩარგეიშვილი), ცხადაია - ძაგანია (82. გავაშელიშვილი), ცხადაძე (69. აბაშიძე).

*სათადარიგოები: ხომერიკი, ლ. სეთურიძე, ჯარმელაშვილი, ქაჯაია.*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ლობჟანიძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, მაკარიანი - ნ. კვასხვაძე (64. გ. ნუგზარის ძე ჭელიძე), დაუშვილი, ბენაშვილი, ძარია, იონანიძე (68. გრიგალაშვილი) - ლ. მელქაძე (60. გელაშვილი).

*სათადარიგოები: ძაძამია, კაჭკაჭიშვილი, გორგიაშვილი, კაკალაძე.*

გაფრთხილება: გაბედავა (45), დაუშვილი (65)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# სხვადასხვა პოლუსზე...



მარცხნიდან: ირაკლი ძარია, გიორგი ცხადაია და ზურაბ იონანიძე

ფოტო: www.fczestafoni.ge

...მატჩის მერე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** ჩვეული გულახდილობით განაცხადა: „გაგრას" და „ზესტაფონს" სხვადასხვა მიზნები აქვთ. ეგ კი არა, მეტოქეებს შორის სხვაობა მხოლოდ სატურნირო მდგომარეობით არ გამოიხატებაო...

ძნელია, არ დაეთანხმო ახალგაზრდული „გაგრას" გამოცდილ თავკაცს - როცა ფეხბურთელთა 90 პროცენტი 19-20 წლის ბიჭები არიან, სასურველი შედეგის მისაღწევად მხოლოდ ახალგაზრდული ჟინი და ენერგია საკმარისი არ არის. სასურველი მიზანიც, პროგრამა - მაქსიმუმიცა თუ მინიმუმიც, „გაგრას" ერთადერთი აქვს - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. აი, „ზესტაფონს" კი მხოლოდ მაღალი ადგილები (ევროტურნირების საგზურს რომ იძლევა) დააკმაყოფილებს და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, **გია გეგუჩაძის** გუნდმა ჩემპიონატი „ძალიან ზემოთ" უნდა დაასრულოს. ვერაფერს ვიტყვით - „ზესტაფონმა" ზედიზედ სამი გამარჯვებით, მეორე ეტაპი მართლაც ჩინებულად დაიწყო; მოკლედ, ფაქტია, რომ გუნდს აშკარად წაადგა უცხოური შეკრება და თუ „ზესტაფონის" საკმაოდ ბევრი ახალწვეული ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესს დააჩქარებს, მაშინ უკვე, მართლაც, სერიოზულ მიზნებზე შეიძლება ფიქრი. ვაღიაროთ: დღესდღეობით „ზესტაფონში" საკმაოდ საინტერესო კონტინგენტია თავმოყრილი და გია გეგუჩაძესაც ძირითად შემადგენლობაში როტაციის საშუალება ეძლევა. ამხელა შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ წინდაწინვე გვეთქვა: ამ შეხვედრაში „ზესტაფონის" გამარჯვება აბსოლუტურად კანონზომიერი იყო! თუ არ ჩავთვლით მეორე ტაიმის რამდენიმეწუთიან მონაკვეთს, დანარჩენი დრო სტუმართა დომინირებით წარიმართა. თუმცა, ალბათ, ჯობია მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ; მით უფრო, რომ უკვე მატჩის პირველი წუთებიდანვე „ზესტაფონმა" მჭიდრო პრესინგითა და სწრაფი ტემპით მეტოქე მარწუხებში მოაქცია და ზედიზედ რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტია. ერთ-ერთი ასეთი მწვავე შეტევა კი გოლით დასრულდა: **ალექსი ბენაშვილმა** მარჯვენა ფლანგიდან გამჭოლი გადაცემა გააკეთა და სტუმართა ცენტრალურმა მცველმა **გიორგი ხიდეშელმა** დასწრებაზე ყველას აჯობა! გოლის მერეც არ დაუგდია ტემპი „ზესტაფონს" - კვლავაც კომბინაციური და „ერთი შეხებით" თამაშით მეტოქეს უამრავ თავსატეხს რომ უქმნიდა. **გიორგი თევდორაძის** კართან სახიფათო მომენტი არაერთხელ ვიხილეთ: ერთ ეპიზოდში **ლევან მელქაძე** ურტყამდა შეუჩერებლად; მერე **ირაკლი ძარიას** აჯობა „გაგრას" მეკარემ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტუმრები ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ და განსაკუთრებულ აქტიურობას საქართველოს ნაკრების მცველი **უჩა ლობჟანიძე** იჩენდა.

„ზესტაფონს" მოედნის ცენტრშიც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა - **მურთაზ დაუშვილი** ჩვეული ხისტი თამაშით, ფაქტობრივად, ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა; მის წინ მოქმედმა ორმა ტანმორჩილმა და სწრაფმა შუამარბმა - ალექსი ბენაშვილმა და ირაკლი ძარიამ კომბინაციური თამაშითაც დაგვამახსოვრეს თავი. მერე კი, ერთი შეხედვით, ალოგიკური გოლიც გავიდა: მასპინძელთა მცველმა საკუთარ საჯარიმოსთან „ზესტაფონის" ფეხბურთელის მოტყუება მოინდომა და საბოლოოდ ბურთი მეტოქეს დარჩა. მეტოქე კი... **ზურაბ იონანიძე** გახლდათ - ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირმა ასეთი საჩუქარი მშვენივრად შეირგო და საკუთარი გუნდის უპირატესობა უფრო განამტკიცა. პირველი ტაიმის დასრულებამდე სტუმრებმა კიდევ ერთი ლამაზი კომბინაციაც გაითამაშეს, მაგრამ **ნიკა კვასხვაძის** შორეული დარტყმა „გაგრას" კარს მცირე მანძილით ასცდა.

აი, მასპინძლებმა კი მთელი 45 წუთის განმავლობაში ღირებული ვერაფერი შექმნეს. ერთადერთი, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი კი „გაგრას" მეორმოცე წუთზე ჰქონდა, მაგრამ **ცხადაძე-ძაგანია-ცხადაიას** კომბინაცია ამ უკანასკნელის არაზუსტი დარტყმით დასრულდა. სამწუხაროდ, მეტოქემ სრულად გაანეიტრალა მასპინძელთა ორი ახალგაზრდა ლიდერი - **გიორგი გაბედავა** და **ლევან შარიქაძე**. არადა, ეს ორი ნიჭიერი ფეხბურთელი პირველ ეტაპზე აშკარად გამორჩეული იყო...

...მეორე ტაიმში ვლადიმერ ხაჩიძემ საკუთარი გუნდის ტაქტიკური სქემა შეცვალა და მასპინძლები უკვე სამი ფორვარდით გამოვიდნენ მოედანზე. თუმცა, პირველი სახიფათო მომენტი მაინც სტუმრებმა შექმნეს, როცა ზურაბ იონანიძემ ჩინებული პასით ლევან მელქაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ გიორგი თევდორაძემ იყოჩაღა და მასპინძლები აშკარა გოლს გადაარჩინა. ამ მომენტიდან სამიოდ წუთში კი „გაგრამ" ერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო: ზურაბ ძაგანიამ მეტოქის საჯარიმოს სიახლოვიდან ზუსტი დარტყმით ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. სხვათა შორის, ამ გოლს, ცოტა არ იყოს, კურიოზული სიტუაცია უძღოდა: დაუშვილს მინდვრის გარეთ სტუმართა მედპერსონალი დახმარებას უწევდა, ხოლო ხიდეშელმა სწორედ ამ დროს მოინდომა ბუცების შეცვლა. მოკლედ, გოლის მომენტში „ზესტაფონი" მოედანზე ცხრა კაცით იყო და დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ სერიოზულ გუნდს ასეთი ლაფსუსები არ უნდა მოსდიოდეს...

თუმცა ისევ მატჩს დავუბრუნდეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეორე ტაიმში „ზესტაფონის" უპირატესობა უკვე ისეთი აშკარა აღარ იყო. ამის მიუხედავად, სახიფათო მომენტები მაინც მასპინძელთა კართან იქმნებოდა: გიორგი თევდორაძემ ჯერ ლევან მელქაძის თავური დარტყმა მოიგერია, მერე კი მასთან პირისპირ გასულ ზურაბ იონანიძესაც აჯობა. ერთ ეპიზოდში კი შეცვლაზე შემოსული **ნიკა გელაშვილის** თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. თუმცა „ზესტაფონის" საუკეთესო ბომბარდირმა „თავის" გოლი მაინც გაიტანა: ირაკლი ძარიამ თანაგუნდელს იშვიათი სიზუსტის პასი მიაწოდა და დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო!

ორბურთიანი უპირატესობის მოპოვების მერე სტუმრებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. ეგ არის ოღონდ, რომ უკანასკნელ წუთებზე ერთი-ორჯერ არასერიოზულად ითამაშეს საკუთარ საჯარიმოში, თუმცა, მასპინძლებმა ვერც ამით ისარგებლეს...

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** *„ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რასაც, სამწუხაროდ, მთლიანობაში თამაშის ხარისხზე ვერ ვიტყვი. იმ ფეხბურთის ჩვენება, მე რომ მსურს, „ზესტაფონმა" მხოლოდ ეპიზოდებში შეძლო. რაც შეეხება ზურაბ მამალაძის არყოფნას, ჩვენი მეკარე ავად არის და ამიტომ ვერ ითამაშა".*

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა):** *„უკვე მერამდენედ მიხდება ერთი და იმავეს აღნიშვნა, რომ გამოუცდელობის გამო ჩემი ფეხბურთელები მართლაც ბავშვურ შეცდომებს უშვებენ. თუნდაც, ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშე რომ გვყოლოდა, მეორე ტაიმში რაღაცას შევცვლიდით - მატჩში იყო ისეთი მონაკვეთი, გარდატეხა რომ შეგვეძლო. სამწუხაროდ, ბიჭებზე ფსიქოლოგიური წნეხიც მოქმედებს - უცხოური შეკრებისგან განსხვავებით, ჩემპიონატში ხომ თითოეულ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს"...*

გია ტუხაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 5 | 1 | 31-11 | 41 |
| 2. დინამო | 17 | 11 | 2 | 4 | 37-14 | 35 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 20-10 | 33 |
| 4. ოლიმპი | 18 | 8 | 8 | 2 | 22-11 | 32 |
| 5. სიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 21-15 | 28 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-19 | 26 |
| 7. მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16-23 | 19 |
| 8. მესხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 12-24 | 18 |
| 9. გაგრა | 19 | 4 | 4 | 11 | 14-32 | 16 |
| 10. ბორჯომი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-36 | 12 |
| 11. სპარტაკი | 17 | 2 | 3 | 12 | 13-29 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 10 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 6 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 6 |

### გადატანილი მატჩები

**25 თებერვალი, ოთხშაბათი**

დინამო-ზესტაფონი
ბორჯომი-სპარტაკი

### XXI ტური

**28 თებერვალი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-სიონი
ოლიმპი-ლოკომოტივი
ზესტაფონი-სპარტაკი

**1 მარტი, კვირა**

მესხეთი-გაგრა
დინამო-მგლები

*ბორჯომი ისვენებს*

**მარტში თამაშები დაიწყება 15 საათზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესხეთი შეყრილაძეს დაუზავდა

## ბორჯომის მეკარემ ქულა პერსონალურად მოიპოვა

21.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 300 მაყურებელი

**ბორჯომი-მესხეთი 0:0**

ბორჯომი: შეყრილაძე - ი. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, მენთესაშვილი, ხითარიშვილი - გაჩეჩილაძე, ბაქრაძე, ტუხაშვილი (65. ნ. ლომიძე), დარსანია, შ. ლობჟანიძე - პავლიაშვილი.

*სათადარიგოები: ოქრომელიძე, ლაბაძე, ვ. ხაჩიძე, გოგსაძე, ქათამაძე, მანთიძე*

მესხეთი: ბათიაშვილი - მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ვ. ხორგუაშვილი (69. გვირჯიშვილი) - ვაშაკიძე, ქებაძე, თედიაშვილი, ბეჟანიძე (69. ინასარიძე), ლეკიშვილი (90. პ. ხორგუაშვილი) - სამადაშვილი.

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, სუდაძე, თელიაშვილი.*

გაფრთხილება: პავლიაშვილი (36), ი. ლომიძე (57), თედიაშვილი (66), მემარნიშვილი (73)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

სამცხელთა დერბი უგოლოდ დასრულდა. საქართველოს ჩემპიონატის ორი ყველაზე გაჭირვებული კლუბის ორთაბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წესით და რიგით, ახალციხელებს უნდა მოეგოთ - უკეთესი შემადგენლობა და დღემდე დაგროვილი ქულათა მარაგი იმაზე მიუთითებდა, რომ „მესხეთი" ფავორიტი იყო. ამას მატჩის მსვლელობაც ადასტურებდა, მაგრამ მშრალი სტატისტიკა მხოლოდ სტატისტიკაა და მეტი არაფერი, ის ყველაფერს ვერ განსაზღვრავს...

ახალციხელებს **ზვიად ჩხეტიანი** არ ჰყავდათ, რაც მათთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო. „ბორჯომი" კი თავდამსხმელ **ირაკლი კიკნაძის** არყოფნამ აზარალა. უკვე მეორე შეხვედრაა, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გუნდს ველარ ეხმარება. რუსთავის „ოლიმპთან" საგაზაფხულო ეტაპის პირველივე შეხვედრაში კიკნაძეს კუნთი გაეჭიმა და მწყობრიდან გამოვიდა. დანიიდან დაბრუნებული **ილია პავლიაშვილი** ბევრს კი მოძრაობდა და ენერგიასაც არ იშურებდა, მაგრამ „ბორჯომი" უფხოდ უტევდა და ერთადერთ ფორვარდამდე ბურთი თითქმის არ მიდიოდა. „მესხეთის" ქომაგთათვის კი სასიამოვნო სიახლე ის არის, რომ ავტოავარიის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა **ბორის გონჩაროვმა** ვარჯიში დაიწყო...

მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას „მესხეთი" ფლობდა. ახალციხელთა შორის განსაკუთრებით **ლაშა ვაშაკიძე** აქტიურობდა. ეს მარჯვენა ნახევარმცველი სტანდარტული სიტუაციებისა და ლამის ყველა შეტევის სულის ჩამდგმელი იყო, მოქმედებდა მარცხნივაც და ცენტრშიც, თუმცა „მესხეთმა" ამით ხეირი მაინც ვერ ნახა...

ბორჯომელთა შორის გამოვყოფდით მეკარე **ბექა შეყრილაძეს**, რომელმაც ერთგვარი მასტერკლასიც ჩაატარა. ის შეუვალი იყო, ურთულესი დარტყმები მოიგერია და თამამად შეიძლება ითქვას, „ბორჯომს" ქულა პირადად მან მოუტანა...

მოდით, გავყვეთ მატჩის მსვლელობას. მე-5 წუთზე ვაშაკიძემ საჯარიმო შეასრულა, **მემარნიშვილმა** ბურთი თავით გაგზავნა კარისკენ, მაგრამ მიზანს მცირე მანძილით ააცილა.

მე-9 წუთზე შეყრილაძემ სახიფათო პოზიციაში დარჩენილ **ლეკიშვილს** აუღო, 5 მეტრიდან დამატებულზე კი ქებაძეს აჯობა და „ბორჯომი" გადაარჩინა.

მე-13 წუთზე ვაშაკიძის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთის კარისკენ გაგზავნას თედიაშვილი ცდილობდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ კვლავ საიმედოდ ითამაშა.

ტაიმის მიწურულს **ვალტერ ხორგუაშვილის** გადაცემით მეკარესთან პირისპირ დარჩა **სამადაშვილი**, მაგრამ შეყრილაძემ კარი დროულად დატოვა, დასარტყმელი კუთხე შეამცირა და „ბორჯომი" კიდევ ერთხელ იხსნა.

ახალციხელებმა მეორე ტაიმი უფრო აქტიურად დაიწყეს. 50-ე წუთზე ვაშაკიძემ საჯარიმო შეასრულა და ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს.

ერთ წუთში შეყრილაძემ საოცარი რეაქცია გამოავლინა, როცა მემარნიშვილის ჩაწოდების შემდეგ ლეკიშვილის მიერ ორიოდ მეტრიდან დარტყმული თავური კუთხურზე მოიგერია.

53-ე წუთი. ჯარიმა და კვლავ ვაშაკიძის შესრულებით. შეტევის ბოლო ცნობილია - შეყრილაძე ისევ მოწოდების სიმაღლეზეა.

„მესხეთის" მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** შეტევების გაძლიერება **დავით ინასარიძისა** და **პაატა გვირჯიშვილის** საშუალებით სცადა. იერიშებში ორივე აქტიურად ჩაერთო, მაგრამ „ბორჯომის" დაცვა შეტევებს უკანასკნელი ძალებით იგერიებდა. მერე ახალციხელები მოეშვნენ და კონტრშეტევა გაეპარათ - „ბორჯომმა" ერთადერთი სახიფათო მომენტი 61-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ შექმნა, როცა ჯერ **ზაზა ლაცაბიძემ** სცადა ბედი, მერე კი კარისკენ ზურგით მდგომმა **ბაქრაძემ** დაარტყა შემოტრიალებით და **ზურაბ ბათიაშვილი**, რომელმაც ბურთი იოლად იგდო ხელთ, პირველად სწორედ ამ ეპიზოდის დროს ჩაერთო თამაშში.

ბოლო წუთებში „მესხეთმა" შტურმის მოწყობა სცადა, თუმცა უშედეგოდ. 84-ე წუთზე შეყრილაძემ ახალციხელებს ბოლო იმედიც გადაუწურა - ვაშაკიძის ჩაწოდებულზე მასპინძელთა მცველებს ჩაეძინათ და მეკარის საჯარიმოში მარტო დარჩენილმა **გურამ სამადაშვილმა** 5 მეტრიდან ძლიერი თავური დაჰკრა - „ბორჯომის" მეკარემ საოცარი რეაქცია გამოავლინა და ტრიბუნებს ტაში მოსწყვიტა.

საბოლოოდ, ფრე - 0:0. „მესხეთმა" მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა, „ბორჯომის" საქმე ისედაც ვერ იყო კარგად...

**მერაბ მამულაშვილი**
ბორჯომი-თბილისი

# ცივ წყალს დალევს და გაუვლის...

21.02. გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

**სპარტაკი-ოლიმპი 1:1**

1:0 მეტრეველი (19), 1:1 ბაბუნაშვილი (43)

სპარტაკი: კოდალაევი - ქურასბედიანი, ქორიძე, კვახაძე, კობახიძე (63. ხაჭიპერიძე) - თურმანიძე (74. ოქროპირიძე), შონია - მეტრეველი, ჩივაძე, სახოკია (81. ავალიანი) - სირბილაძე.

*სათადარიგოები: იაშვილი, მგალობლიშვილი, გაბელაია, გოცირიძე.*

ოლიმპი: ალავიძე - ონიანი, მაჭავარიანი, აკუასაგა (46. გ. ჭელიძე), ჩიკვილაძე (81. ჩხეტიანი) - სეთურიძე, ბაბუნაშვილი, დობროვოლსკი, ხუბუა - მეგრელაძე, ფიფია (83. დეკანოსიძე).

*სათადარიგოები: სტურუა, კაკულია, გორდეზიანი.*

გაფრთხილება: აკუასაგა (26), ხუბუა (29), კოდალაევი (89)

გაძევება: ხუბუა (83)

არბიტრი: კ. ჭაჭუა



ერნესტ აკუასაგამ დებოში მოაწყო

შაბათს ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატისთვის შიდა ქართლის მთავარი ქალაქი უმნიშვნელოვანესი ადგილი იყო. ცენტრალურ სტადიონზე („თენგიზ ბურჯანაძე") უმაღლესი ლიგის ლიდერთა დაპირისპირება შედგა, გორის მეორე კუთხეში კი, „ქართლზე", ერთმანეთის პირისპირ აუტსაიდერი ცხინვალის „სპარტაკი" და რუსთავის „ოლიმპი" წარდგნენ. ფრონტისპირა ქალაქში მშვიდობა ჯერაც აქტუალური თემაა, ხოლო საფეხბურთო მშვიდობას რაც შეეხება, ეს კი ნამდვილად იყო - ორივე შეხვედრა ზავით დასრულდა.

**სერგო გაბელაიას** „სპარტაკი", მიუხედავად იმისა, რომ გადახალისდა და გაძლიერდა, ჯერ არ არის ის გუნდი, „ოლიმპთან" მოგება რომ მოსთხოვო. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობა, თუმცა უფრო მეტხანს ბურთს სტუმრები ფლობდნენ. ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში „სპარტაკი" უფრო ფრთხილობდა და ხშირ იერიშებზე ორიენტირებას, მწვავე კონტრშეტევებით არჩევდა ფონს გასვლას. მიუხედავად მინდორზე არსებული ძალთა შეფარდებისა, პირველი ხიფათი მაინც ცხინვალელებმა შექმნეს. მე-11 წუთზე **სახოკიას** მიერ ცენტრიდან ჩაწოდებულზე **სირბილაძეს** ოდნავ რომ არ დაეგვიანა, ვინძლო, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ორიოდ წუთში მცველთა შეუთანხმებელი მოქმედება „სპარტაკს" კინალამ ძვირად დაუჯდა - მეტოქეთა დარად, **ფიფიასაც** უმტყუნა მიზანმა.

და აი, მე-19 წუთი და გოლიც - სტანდარტული სიტუაციის დროს **თურმანიძემ** კარში დარტყმას საჯარიმოში ჩაწოდება ამჯობინა, სადაც სტუმართა მცველებმა ბურთის გამოტანა ამაოდ სცადეს - **მეტრეველმა** ეფექტური დარტყმით შეარხია **ალავიძის** კარის ბადე - 1:0.

„ოლიმპს" მალევე მიეცა გათანაბრების არც თუ ურიგო შანსი - ფიფია კარის გასწვრივ აწვდიდა, თუმცა თანაგუნდელები ბურთზე დროულად ვერ გავიდნენ. 33-ე წუთზე კი, მორიგ ჩაწოდებულზე, მეკარე **კოდალაევი** გამოსვლისას შეცდა, ბურთი **მეგრელაძეს** მიუგორდა და უმალ დაუცველ კარში დასცხო, მაგრამ გუნდი გოლისგან მცველმა **ქორიძემ** იხსნა. ზუსტად ერთ წუთში, **ხუბუას** ნაქცევისთვის, „ოლიმპი" პენალტს ითხოვდა, ეგ იყო ოღონდ, რომ რუსთაველი შუახაზელის ნაქცევისას არბიტრს წესების დარღვევა არ შეუმჩნევია.

ერთი სიტყვით, რუსთაველთა მხრიდან დაწოლა სულ უფრო იზრდებოდა. „სპარტაკმა" წნეხს დიდხანს ვერ გაუძლო - ტაიმის მიწურულს მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, კოდალაევმა დარტყმული მთლად უსაფრთხოდ ვერ მოიგერია და დამატებაზე **ბაბუნაშვილმა** იყოჩაღა - 1:1.

შესვენების შემდეგ რუსთაველთა მწვრთნელმა **ვარლამ კილასონიამ** აღარ ისურვა **ერნესტ აკუასაგას** დახმარება და ის **გიორგი ჭელიძით** შეცვალა. რუსთაველთა ლეგიონერმა მწვრთნელის გადაწყვეტილება ჯერ ომახიანად გააპროტესტა, ხოლო მერე ამითიც არ დაკმაყოფილდა და გასახდელის შესასვლელთან მდგარ ურნას ღონივრად მოუქნია ფეხი. ნამატჩევს კილასონიამ მომხდარზე ლაკონურად თქვა - არა უშავს, ერნესტი ცივ წყალს დალევს და გაუვლის, თუ არა და, დაისჯებაო...

მეორე ტაიმი პირველს დაძაბულობით კი ჰგავდა, თუმცა ორივე კართან შექმნილი სახიფათო მომენტების მხრივ განსხვავდებოდა. მობურთალთ ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში უწევდათ. კილასონიამ ჭელიძის კვალდაკვალ **გაგა ჩხეტიანსაც** უხმო მოედანზე, ამის საპასუხოდ კი გაბელაიამ დაცვის ხაზი გამოცდილი **ხაჭიპერაძით** გააძლიერა. მოკლედ, „სპარტაკმა" მოახერხა და გაუძლო მრისხანე მეტოქეს. „ოლიმპი" ენერგიულად ცდილობდა იერიშების ორგანიზებას, ბოლო წუთებში ჩხეტიანსა და მეგრელაძეს მშვენიერი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მიზანმა უმტყუნათ.

**მატჩის შემდეგ**

**ვარლამ კილასონია (ოლიმპი):** „ჩემი გუნდის გარჯით უკმაყოფილო ვარ. არა ერთი საგოლე შანსი დაგვრჩა გამოუყენებლი. გორში ქულისთვის არ ჩამოვსულვართ, გამარჯვებას ვგეგმავდით... სამწუხაროდ, სწორედაც რომ რეალური მომენტების განიავების გამო, მნიშვნელოვანი ორი ქულა დავკარგეთ".

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** „მინდა შევაქო ჩვენი დღევანდელი მეტოქე. „ოლიმპი" ძალიან კარგი გუნდია და მასთან ძალიან ძნელია ბრძოლა. „სპარტაკი" კი ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაშია. ჩვენი ერთადერთი ამოცანა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ძლიერ მეტოქესთან მიღწეული ფრით ამ ამოცანის შესრულების გზაზე ერთი ნაბიჯით წავიწიეთ წინ".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ტრანსფერის მოლოდინში



# გოგა ფიფია აზერბაიჯანიდან რუსებმა გამოაბრუნეს

## ესაულენკომ, ჯერ შინიკი და შემდეგ ტერეკი

რუსთავის „ოლიმპის" შემტევი ნახევარმცველი გიორგი ფიფია აზერბაიჯანში სინჯებზე იმყოფებოდა, მაგრამ უკან გამობრუნდა. ჩვენი სამეზობლოს მედია იუწყებოდა - 23 წლის ფეხბურთელი „გაბალას" ხელმძღვანელობამ დაიწუნა და ამიტომაც გაუშვესო. გუშინ თავად ფიფიას ვესაუბრეთ და აბსოლუტურად განსხვავებული ვერსია მოვისმინეთ...

- აზერბაიჯანელებთან ერთად კი ვვარჯიშობდი, მაგრამ წამოსვლის მიზეზი სხვა რამ გახდა. რაც მთავარია, კლუბმა კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ ჯერ ერთი - პირობებზე ვერ შევთანხმდით, მერე კი ისეთი რამ მოხდა, თავად აღარ ვისურვე ხელშეკრულების გაფორმება და უარი ვუთხარი. საქმე ისაა, რომ ტრანსფერში რუსები ჩაერივნენ და მათთანაც რაღაც არ გამოვიდა... ამ დროს კი რუსთავის „ოლიმპიდან" დამიკავშირდნენ - თუ სერიოზული არაფერი იქნება, დაგვიბრუნდიო და დროებით მეც ასე ვამჯობინე.

**- და რა შუაში არიან რუსები აზერბაიჯანულ კლუბში ქართველის ფეხბურთელის ჩაშლილ ტრანსფერთან?**

- როგორც „გაბალაში" ჩასვლის შემდეგ გავარკვიე, თურმე, ჩემი წაყვანა რუსებსაც სურდათ. მითხრეს - არ შეცდე, აზერბაიჯანში არ წახვიდეო. კონკრეტულად კი გრიგორი ესაულენკო მესაუბრა. ის ამჟამად გროზნოს „ტერეკში" მუშაობს, თავის დროზე კი მოსკოვის „სპარტაკის" გენერალური დირექტორი იყო. ნახევარი წლით იაროსლავლის „შინიკში" გადადი, ფორმა აღიდგინე, რუსეთის ჩემპიონატს შეეგუე და პრემიერლიგაში გადაგიყვანო, შემომთავაზა.

**- „ტერეკის" ხელმძღვანელს „შინიკთან" რა კავშირი აქვს?**

- რუსები არიან, ერთიანი საფეხბურთო სამყაროა და ყველა ყველას იცნობს.

**- საერთოდ, ესაულენკომ საიდან გაიგო გოგი ფიფიას არსებობა?**

» 5

ეროვნული

# გოგა ფიფია აზერბაიჯანიდან რუსებმა გამოაბრუნეს

4 «

- ჩემი აყვანა მას მოსკოველმა ქართველებმა ურჩიეს. მოსკოვიდან დამიკავშირდა და მელაპარაკა. შემდეგ კი ანთალიაში ჩამოვიდა და „გაბალას" შემადგენლობაში ჩატარებული ჩემი ორივე შეხვედრა ნახა. ტრაბახში არ ჩამითვალოთ და, გვერდით თორნიკე აფციაური რომ მყავდა, კარგად ვითამაშე. პერმის „ამკართან" ჩვენი მატჩი 1:1 დამთავრდა და ის ერთი გოლი მე გავიტანე, მეორე შეხვედრა კი პოლონურ კლუბთან 2:1 მოვიგეთ. მართალია, ამჯერად გოლი არ გამიტანია, მაგრამ ბურთები ჩემი და აფციაურის მიერ დაწყებული კომბინაციებით გავიდა. ტექნიკური ფეხბურთი ვაჩვენეთ. თამამად ვიტყვი, რომ თავის გამოჩენის საშუალება აფციაურმა მომცა. ამის შემდეგ მოვიდა სწორედ ესაულენკო და კატეგორიულად მთხოვა „გაბალადან" წასვლა - შენ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ფეხბურთელი არ ხარ, რუსეთში წაგიყვანო. როცა მისი წონისა და გავლენის მქონე ადამიანი ამას გეუბნება, უნდა დაუჯერო. ჰოდა, ამიტომაც გადავიფიქრე კონტრაქტის გაფორმება. ესაულენკომ ორი დღე სასტუმროში, თავის ნომერში მაცხოვრა და ასე დავშორდით ერთმანეთს. მოკლედ, მაისამდე „ოლიმპში" ვიქნები, ფორმას ალვიდგენ, კარგად მოვემზადები და მერე რუსეთში წავალ. საამისოდ, ბაზაზე გადავედი საცხოვრებლად, იქ ტრენაჟორებია და ნებისმიერ დროს „ფიზიკაზე" შემიძლია მუშაობა.

**- საქართველოში აზერბაიჯანის ჩემპიონატს ვერ ვუყურებთ, თუმცა გადმოცემით ვიცით, რომ აფციაური ძალიან კარგ ფორმაშია...**

- მთელი გუნდი მასზეა აწყობილი. „თბილისში" ხომ ძალიან მაგარი იყო და, რაც ანთალიაში მისი თამაში ვნახე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩინებული გამთამაშებელია. მისი დონის მოთამაშე „გაბალას" არც ჰყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ბაია

# გამარჯვებით დაბრუნდნენ...

ზუგდიდის „ბაიამ" ორკვირიანი თურქული შეკრება გამარჯვებით დაასრულა. პირველი ლიგის დასავლეთი ზონის ლიდერმა ციურიხის ერთ-ერთ გუნდს (რომელიც შვეიცარიის მეორე ლიგაში ასპარეზობს) 3:1 მოუგო. შვეიცარიელთა კარი **ირაკლი ეხვაიამ, ლევან წურწუმიამ** და **გიორგი პაჭკორიამ** დალაშქრეს. სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ზარქუა, სვირავა, პაჭკორია, ჟვანია, ქვარცხავა, ექონია, გ. ქირია, ნ. შონია, წურწუმია, გუგუჩია, ეხვაია.** შეცვლაზე შევიდნენ: **კ. შონია, რაფავა, ქანთარია, ქობალია.**

ზუგდიდური გუნდისთვის ეს რიგით მეხუთე (დაგეგმილზე ერთით მეტი) სპარინგმატჩი იყო. გამომდინარე შეკრების შედეგებიდან, „ბაია" სეზონის განახლებას იმედით ხვდება. ზუგდიდური საქართველოში გუშინ დაბრუნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ხუციშვილს ისევ გააქვს

საქართველოს ჩემპიონატის ყოფილი საუკეთესო ბომბარდირი **მიხეილ ხუციშვილი** სერბულ „ვოევოდინაში" (ნოვი სადი) დამაჯერებლად ათამაშდა. სერბეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი კლუბი მზადებას აგრძელებს, რადგან დიდთოვლობის გამო ეროვნული პირველობის მეორე წრის სტარტმა ერთი კვირით გადაიწია. „ვოევოდინას" ჩერნოგორიაში აქვს შეკრება, სადაც ადგილობრივ გოლუბოვცის „ზეტასთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა.

*„21 თებერვალს ჩერნოგორიის ჩემპიონატის მეექვსეადგილოსან „ზეტას" შევხვდით. უხვგოლიანი თამაში გამოგვივიდა. 3:2 მოვიგეთ, მეორე გოლი კი მე გავიტანე",* - გვითხრა ხუციშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ქართველებმაც დაასკორეს

**2009 წელს ქართული ლეგიონის პირველი ოფიციალური გოლი აზერბაიჯანში გავიდა - შაბათს, ძველ ალბანურ ქალაქ კაბალაში ადგილობრივი გუნდის ნახევარმცველმა თორნიკე აფციაურმა შეაგდო, ორიოდე საათის შემდეგ კი თავი ვეტერანმა ამირან მუჯირმა გამოიჩინა. გერმანიაში „ვეენის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ლევან ცქიტიშვილს, ხოლო მათე ღვინიანიძემ მორიგი ტრავმა მიიღო...**



ლევან ცქიტიშვილი

## კობის კარგი ორიანი

„შალკე 04" თვალსა და ხელსშუა საშუალო გერმანულ კლუბად იქცა, რომელსაც ევროთასის საგზურის მოპოვება ძალზე გაუჭირდება. ბუნდესლიგის 21-ე ტურში „შალკემ" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდს 31 ქულით ოდენ მე-9 ადგილი უკავია. ყენია, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია და მისი დებიუტი ბუნდესლიგაში ვერაფრით შედგა. კობიაშვილმა კი „ბორუსიასთან" მარცხენა მცველის პოზიციაზე საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი. „ბილდმა" ჩვენს თანამემამულეს მატჩში საუკეთესო შეფასება დაუწერა - 2 ქულა. „შპორტალი" შედარებით ძუნწი გამოდგა შეფასებაში, ამ გამოცემამ ლევანს 3 ქულა აკმარა: *„დაიწყო ძალიან მაგრად, შეტევაში ბევრჯერ (მე-14, 34-ე და 45-ე წუთებზე) შექმნა ხიფათი. შესვენების შემდეგ ასე კარგად აღარ გამოიყურებოდა, 77-ე წუთზე მისი სუსტი პასის გამო სტუმარ ზიდანს კარგი მომენტი შეექმნა".*

რაც სეზონი განახლდა პირველად ითამაშა **ალექსანდრე იაშვილმა**, მისი „კარლსრუე" შინ 0:1 დამარცხდა „აინტრახტთან". გუნდი 17 ქულით ბოლოსწინაა და ელიტის დატოვება ემუქრება. იაშვილი თამაშში 76-ე წუთზე ჩაერთო 20 წლის **ლარს შტინდლის** ნაცვლად.



ლევან კობიაშვილი

## უიღბლო დებიუტი და ტრავმა

სასიამოვნოა, რომ მეორე ლიგას სათავეში **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი" უდგას. „აუგსბურგის" დამარცხების (1:0) შემდეგ ამ გუნდს 42 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს სამი ქულით უსწრებს. „აუგსბურგთან" ისეთი დაძაბული შეხვედრა გამოდგა, რომ მწვრთნელმა ვერ გარისკა 19 წლის ქართველის მოედანზე შეყვანა. სტუმართა გუნდის განაცხადშიც არ ყოფილა **ოთარ ხიზანეიშვილი**, თუმცა ამ ამბავს უკვე კარგა ხანია შევეჩვიეთ. „აუგსბურგი" 29 ქულით მე-8 ადგილზეა.

გუშინ **ლევან ცქიტიშვილის** დებიუტის მომსწრენი გავხდით, 32 წლის ნახევარმცველმა პირველად მოირგო „ვეენის" თეთრი მაისური. ვისბადენელები „ნიურნბერგს" ესტუმრნენ და 0:1 დამარცხდნენ. ლევანის გუნდი 17 ქულით მეორე ლიგის აუტსაიდერია. ლევანმა 90 წუთი ითამაშა, თუმცა გერმანული წყაროების მტკიცებით „ნიურნბერგს" თავსატეხი ვერ შეუქმნა. „ვეენის" 33 ნომერს „შპორტალმა" გუნდში ყველაზე დაბალი შეფასება დაუწერა - 5. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860" დუისბურგში შერცხვა - 1:4. მე-7 წუთზე კამერუნელმა **დორგე კუემაჰამ** საჰაერო დუელი მოუგო ჩვენს თანამემამულეს და ანგარიში გახსნა. მე-19 წუთზე კი კიდევ ერთი საჰაერო დუელი დასრულდა ჩვენებურისთვის ცუდად, კონგოელ **მაკიადისთან** ორთაბრძოლაში მათე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. „მიუნხენი" 26 ქულით მე-12 ადგილზეა.



თემურ ქეცბაია

## უქართველოდ

პრემიერლიგაში „ბლექბერნ როვერსმა" დიდი ბრძოლა გაუმართა „მანჩესტერ იუნაიტედს", თუმცა **რონალდოს** სუპერგოლის „წყალობით" 1:2 წააგო. **ზურაბ ხიზანიშვილი** სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. „ბლექბერნს" 23 ქულა დარჩა, ქართველის გუნდი მე-18 ადგილზე, გასავარდნ ზონაშია.

სერია A-ს ტურმა უქართველოდ ჩაიარა **კახა კალაძე** სათადარიგოთა სკამიდან შეჰყურებდა „მილანის" მატჩს „კალიარისთან" (1:0). „პალერმო" შინ 0:2 დამარცხდა „იუვენტუსთან". ამჯერად „ბებერი ქალბატონი" მჭედლიძის გოლს ქართველის ტრავმის გამო გადაურჩა, **ლევან მჭედლიძე** გუნდთან ერთად ვარჯიშს მარტის დასაწყისიდან შეუდგება. „მილანი" 48 ქულით მესამე ადგილზეა, „პალერმო" 36 ქულით მეცხრეა.



დავით მუჯირი



გოჩა ხოჯავა

## ამინდმა ხელი შეუშალა

ავსტრიული ბუნდესლიგა კი განახლდა, მაგრამ ქართველთა (**გიორგი შაშიაშვილი** და **ილია კანდელაკი**) „შტურმს" თამაშმა არ მოუწია, გრაცელები ვენაში „აუსტრიას" ტყუილად ესტუმრნენ, მატჩი გადაიდო. დღეს „სლავიასთან" მატჩით ანახლებს სეზონს **დიმიტრი ტატანაშვილის** „პლზენი" ჩეხურ გამბრინუსლიგაში.

## ქეცბაიას მეტი სურს

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" მორიგი გამარჯვება **კობა ნიტაიშვილის** გარეშე მოიპოვა, ფამაგუსტელებმა 2:1 სძლიეს „აპოლონს". სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ლევან მალრაძემ**. მატჩის შემდეგ თემური შედეგით კმაყოფილი დარჩა: *„მთავარია, ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვეთ, თუმცა უნდა მოვუმატოთ, რომ ასე არ გვიჭირდეს გამარჯვება. ჩვენი მიზანი ისევ ჩემპიონობაა".* „ანორთოსისი" 56 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ აპოელ-ს 4 ქულით ჩამორჩება. „აპოლონი" მეოთხეა, თუმცა ქეცბაიას გუნდს უკვე 18 ქულით ჩამორჩება. „ეთნიკოსი" შინ 1:4 დამარცხდა აპოპ-თან. **ლევან ქებაძე** მასპინძელთა გუნდში 36-ე წუთზე გამოჩნდა. „ეთნიკოსი" 34 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

## უმოტივაციო ლიდერი

ლეუმითლიგაში ლიდერი „ჰაპოელი" ჰაიფაში ჰერცლიას „მაკაბის" დაუზავდა - 1:1. ჰაიფელები 41 ქულით ლიდერები არიან, ისინი მდევარს სამი ქულით უსწრებენ. მასპინძელთა რიგებში **ირაკლი გეფერიძემ** პირველი ტაიმი ითამაშა, შესვენებაზე მის ნაცვლად **ბარაქ ლავი** გამოვიდა. უმაღლეს ლიგაში ხუთი გუნდი გადადის, ასე რომ, ჰაიფას „ჰაპოელს" თავი ქუდში აქვს.

## კვარაცხელია ფოგთსმა ნახა

აზერბაიჯანში ერთი დღით გალიდერდა ქართული ტრიოს „ბაქი". შაბათს „ბაქიმ" ძალიან პრინციპული დერბი მოუგო „ნეფთჩის". ეს შეხვედრა განსაკუთრებით **გიორგი ადამიასთვის** იყო მნიშვნელოვანი, რომელიც პირველ წრეში „ნეფთჩიში" იყო. თავი კი მისმა თანამემამულე **ამირან მუჯირმა** გამოიჩინა. მუჯირი 76-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე მან ანგარიში გახსნა (49-ე წთ.). ადამიამ შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი დემეტრაძე** კი სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა. ამირანს 10 გატანილი გოლი აქვს და ის **ივან ცვეტკოვთან** („ხაზარი") ერთად ლიდერობს.

ამ დღეს, მანამდე კიდევ ერთი ქართული გოლი ვიხილეთ - „კაბალამ" 2:0 დაამარცხა მოიკ-ი, ანგარიში კი 21-ე წუთზე **თორნიკე აფციაურმა** გახსნა. აფციაურმა და **გოგა ბერაიამ** 90-90 წუთი ითამაშეს მასპინძელთა შემადგენლობაში. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** კი ყოფილ გუნდთან რანდევუ მარცხით დაასრულა - ბაქის „ოლიმპიკი" შინ 0:1 დამარცხდა „ყარაბახთან". გოგობერიშვილი პირველი ტაიმის მიწურულს გააფრთხილეს, მან შეუცვლელად ითამაშა. რომან ახალკაცი 77-ე წუთზე გამოჩნდა მასპინძელთა შემადგენლობაში.

გუშინ **მიხეილ მესხის** „ქარვანი" ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბაქილისთან" დამარცხდა სტუმრად - 1:2. მესხი მოედანზე 63-ე წუთიდან გამოჩნდა. **ბადრი კვარაცხელიას** „სტანდარდმა" ვერაფერი გააწყო ლიდერ „ინტერთან" - 0:2. **დავით ჭიჭველიშვილი** სათადარიგო იყო, **ლევან სილაგაძე** - დისკვალიფიცირებული. ამ შეხვედრას გერმანელი **ბერტი ფოგთსი** დაესწრო. ქართველთა „სიმურგმა" 2:0 მოუგო „მუღანს". **კახა ჩხეტიანმა** სრულად ითამაშა, **დავით ბოლქვაძე** ბოლო წუთზე შეცვალეს, **გრიგოლ დოლიძე** კი - პირველი ტაიმის შემდეგ. **მიხეილ მახვილაძე** თამაშს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა. სტუმართა რიგებში **გივი ჩხეტიანმა** 79-ე წუთამდე ითამაშა.

„ბაქი" 35 ქულით მეორეა და „ინტერს" 2 ქულით ჩამორჩება. „სიმურგი" 34 ქულით მესამე ადგილზეა. სხვა გუნდები, სადაც ქართველები გამოდიან: 6. „ქარვანი" - 26 ქულა; 7. „ოლიმპიკი" - 25; 8. „სტანდარდი" - 20; 9. „კაბალა" - 18; 12. „მუღანი" - 5.

## მუჯირის დუბლი, კვირკველიას გოლი

რომში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" 8:0 გაანადგურა იტალიის ჩემპიონატის მესამე ეშელონის „ჩელანო". ამ შეხვედრაში **დავით მუჯირმა** დუბლი შეასრულა. მან 38-ე და 64-ე წუთებზე გაიტანა, ქართველი 68-ე წუთზე შეცვალეს.

ესპანეთში შეკრებაზე მყოფმა „რუბინმა" იოლად დაძლია ნორვეგიული „ბოდო გლიმტის" წინააღმდეგობა - 3:0. **დავით კვირკველიამ** შეუცვლელად ითამაშა, **ლაშა სალუქვაძე** მე-60 წუთზე გამოცვალეს, ხოლო **ნუკრი რევიშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა. ნუკრი ჯერ უკონტრაქტოდაა, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ მას აუცილებლად გაუგრძელებენ ხელშეკრულებას. კვირკველიამ 86-ე წუთზე „რუბინის" მესამე გოლი გაიტანა. **ლევან გვაზავას** მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია ტაშკენტის „ლოკომოტივთან" „ტერეკის" სპარინგში - 1:1.

სიახლეებია მახაჭყალის „ანჟიში", რომელიც თურქული შეკრებიდან დაბრუნდა. **ომარ თეთრაძემ** განაცხადა, რომ გუნდს კიდევ ესაჭიროება გაძლიერება. კლუბმა ტრანსფერზე დააყენა თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია**. შარშან მან 5 გოლი გაიტანა პირველ დივიზიონში.

უკრაინული „ზარია" რუსულ „ხიმკის" დაუზავდა - 2:2, ამ სპარინგში „ზარიას" რიგებში მეორე ტაიმი ითამაშა **გიორგი ციმაკურიძემ**. ლვოვის „კარპატიმ" 1:1 ითამაშა კამაზ-თან, **სანდრო გურული** 56-ე წუთზე შევიდა სათამაშოდ და მატჩის მიწურულს საგოლე მომენტი შეექმნა, თუმცა მისი დარტყმული რუსმა მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია. სერია A XXV ტური

# ნარმატებული რეპეტიცია



ჩემპიონთა ლიგის მომლოდინე იტალიურმა გრანდებმა მორიგი ტურის მატჩები შაბათს გამართეს. რეპეტიცია წარმატებული გამოდგა. „ინტერი" ბოლონიაში ჩავიდა და ადგილობრივი გუნდი, რომელიც **სინიშა მიხაილოვიჩის** მისვლის შემდეგ შედარებით იშვიათად აგებს, 2:1 დაამარცხა. ამ თამაშს ისიც მატებდა ინტრიგას, რომ ჯერ კიდევ შარშან სერბი „ინტერში" **რობერტო მანჩინის** ასისტენტი იყო. სხვათა შორის, „რენატო დალ'არაზე" შაბათს მანჩინიც ბრძანდებოდა - ეტყობა, მიხაილოვიჩის საქომაგოდ და, ესეც არ იყოს, მან ხომ „ბოლონიაში" დაიწყო კარიერა...

თამაშის დაწყების წინ კი პუბლიკამ წუთიერი დუმილით პატივი სცა ლეგენდარული ბოლონიელის, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის მონაწილე **ჯაკომო ბულგარელის** ხსოვნას. ერთ-ერთ ტრიბუნას ამ დღეებში გარდაცვლილი ვარსკვლავის უზარმაზარი ბანერი ამშვენებდა...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი „ბოლონია"-"ინტერის" დაპირისპირებაში, რაზეც თავიდანვე უნდა ითქვას. 57-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიში საკამათო სიტუაციაში გახსნეს - **მაიკონის** კუთხურის შემდეგ **ადრიანომ** ბურთი **კამბიასოს** დაუგდო და ახლო მანძილიდან დარტყმულზე **ანტონიოლი** ვერაფერს გახდა. საკამათო კი ის გახლავთ, რომ ადრიანოს ბურთი... დიახ, ხელზე მოხვდა. ეს ვიდეოგამეორებაზეც გამოჩნდა (თუმც ისე მკვეთრად არა, როგორც მილანური დერბის დროს) და ბოლონიელ მცველთა მყისიერი, სინქრონული პროტესტიც იმაზე მიუთითებდა, რომ წესები დაირღვა.

გოლის შემდეგ მიხაილოვიჩმა მალევე შეუშვა მოედანზე ფორვარდი **მარაცინა** და თავდასხმა გააძლიერა. „ბოლონია" საგრძნობლად გამოცოცხლდა, თუმც ვერ ვიტყვით, რომ „ინტერი" საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა, ან კიდევ რეალური საგოლე მომენტები შექმნა. ამასობაში კი **ჟოზე მოურინიომ** ანგარიშის შენარჩუნებაზე იწყო ზრუნვა და ადრიანოს ნაცვლად **ვიეირა** შეუშვა. რამდენიმე წამში მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს და **ბრიტოსმა** თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. „ინტერის" თავკაცი იძულებული გახდა, კიდევ ერთი ცვლილება განეხორციელებინა - მოედანზე შეუშვა **ბალოტელი**, ვინც კლუბის ბოსებთან კონფლიქტშია, თუმც ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, 120 წამში გაეტეხა „ბოლონია" - მისი საჯარიმო დარტყმა ანტონიოლისთვის აუღებელი აღმოჩნდა. თუმცა მატჩის მიწურულს კიდევ იყო შანსი, რომ სინიშას ბიჭებს ლიდერისთვის ქულა დაეცინცლათ - მარაცინას პასის შემდეგ **დი ვაიო** 5-6 მეტრიდან ურტყამდა თავით, მაგრამ **ჟულიო სეზარმა** სასწაულის ხარჯზე მოახერხა ბურთის კუთხურზე მოგერიება...

ბოლონიიდან გადავინაცვლოთ დედაქალაქში, სადაც „რომა" „სიენას" მასპინძლობდა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ტოსკანურ კლუბს ვიცე-ჩემპიონისთვის ბოლო ორი მატჩი „მშრალად" (1:0, 3:0) აქვს მოგებული. მოსალოდნელი იყო, რომ „ჯალოროსისთვის" ეს დაპირისპირებაც რთული იქნებოდა. ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მომენტზე - „სიენას" კარს იცავდა **კურჩი**, რომელიც ადრე „ჯალოროსიში" იყო, ისევე, როგორც **გალოპა და ხარჯა**. ხოლო **ტადეი**, რომელმაც „რომას" ეფექტური გოლით მოაგებინა, ადრე „სიენას" დამრტყმელი ძალა იყო...

სტუმრებმა მკაცრი პრესინგის ტაქტიკა აირჩიეს, მაგრამ ორმხრივი შეცდომების წყალობით მწვავე მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. სტუმრებმა ერთი საათი გაძლეს ამ რეჟიმში. **მარკო ჯამპაოლოს** გუნდისთვის ეს ზედიზედ მეხუთე მოუგებელი თამაში იყო. სხვათა შორის, ბოლო წუთებში ტოსკანელებმა ორჯერ სერიოზულად შეაწუხეს „რომას" მეკარე, რომელმაც **გეზალისა** და **მაკარონეს** თავურები გააუვნებლა. გამარჯვების მიუხედავად, ლუჩანო სპალეტი შეწუხებული იყო - **სისინიომ** და **ჟუანმა** ტრავმების მიიღეს და ექიმები დიდად ეჭვობენ, რომ ბრაზილიელები „არსენალთან" ხვალინდელი მატჩისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებენ.

ოთხთვიანი პაუზის შემდეგ „იუვენტუსს" **ტრეზეგე** დაუბრუნდა, რაც ფრანგმა ფორვარდმა გოლითაც აღნიშნა. ბოლო პერიოდისგან განსხვავებით, **კლაუდიო რანიერიმ** წინა ხაზზე რადიკალურად განსხვავებული ტანდემი (**ტრეზეგე-იაკვინტა**) დააყენა, „პალერმოს" ყოფილი ფორვარდი **ამაური** და კაპიტანი **დელ პიერო** კი სკამზე დასვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხშაბათს „ჩელსის" სწორედ ეს წყვილი შეუტევს.

„პალერმოს" „ქალბატონისთვის" ბოლო ორი დაპირისპირება მოგებული ჰქონდა - 3:2 შარშან „რენცო ბარბერაზე" და 2:1 ტურინში, ამ სეზონის სტარტზე, როცა სიცილიელთაგან გამარჯვების გოლი **ლევან მჭედლიძემ** გაიტანა. ჩვენებური ახლა ტრავმირებულია, თუმც „პალერმოს" წინა ხაზზე საკადრო პრობლემა არ ჰქონია - **დავიდე ბალარდინიმ** ორივე მთავარი ფორვარდი, **მიკოლი** და **კავანი** დააყენა. სწორედ ექსიუვენტუსელი მიკოლი იყო, პირველი საგოლე მომენტი რომ შექმნა - მისმა დარტყმულმა **ბუფონის** თავზე ხარიხა შეაზანზარა. და ის იყო, „პალერმომ" ხელთ იგდო ინიციატივა, რომ ტურინელებმა კლასიკური კონტრშეტევა განახორციელეს - **სისოკო** მოხდენილად გასცდა **ლივერანისა და ბოვოს**, შეიჭრა საჯარიმოში და ზედა კუთხეში უმძლავრესად დასცხო.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მიკოლი პენალტს ითხოვდა, მაგრამ არბიტრმა მიანიშნა, რომ **ლეგროტალიეს** წესი არ დაურღვევია. მერე კიდევ ერთმა ყოფილმა „იუვენტინომ" შექმნა საგანგაშო სიტუაცია - **ნოჩერინოს** დარტყმის შემდეგ ბუფონმა ბურთი „ცხრიანიდან" ჩამოხსნა. „პალერმოს" დამარცხებაში კი ლომის წილი დაიდო ამაურიმ, რომელმაც უმეთვალყურეოდ დარჩენილ ტრეზეგეს დროულად გადააწოდა და წერტილიც დაისვა - 0:2.

„სან სიროს" ულიმლამო მატჩში „მილანმა" „კალიარის" 1:0 მოუგო. შეიძლებოდა, თამაში ფრედ დასრულებულიყო და ეს სულაც არ იქნებოდა გასაკვირი. სარდინიელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს და **კოსუს** დარტყმის შემდეგ ძელიც შეაზანზარეს. კი ჰქონდა „როსონერის" გარკვეული უპირატესობა, მაგრამ არ ჰქონდა ჯიგარი. აქვე ვთქვათ, რომ მასპინძელს სხვადასხვა მიზეზით **რონალდინიო, კაკა** და **პატო** არ ჰყავდა, რამაც თავისთავად იმოქმედა სანახაობრივ მხარეზე. ამას გარდა, **კარლო ანჩელოტიმ** ძირითადში ადგილი ვერ მოუძებნა **კახა კალაძესაც**. „მილანში" ორადორ ფეხბურთელს გამოვარჩევდით - ერთია ვეტერანი მეკარე **აბიატი**, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი აიღო, და **ზეედორფი**, ვისთვისაც გამარჯვების გოლი ნამდვილად ალალია.

უეფას თასზე „აიაქსთან" შინ წაგებული (პირველი) მატჩის შემდეგ „ფიორენტინას" ლამის სერია A-შიც დაუცდა ფეხი. **ჩეზარე პრანდელის** ბიჭებმა ერთ-ერთ აუტსაიდერ „კიევოს" „არტემიო ფრანკიზე" ძლივძლივობით მოუგეს. ისევე, როგორც წინა მატჩში (0:3-ის შემდეგ 3:3 „ჯენოასთან", მუტუს ჰეთ-თრიკით) ფლორენციელთა მხსნელად ამჯერზეც მუტუ მოგვევლინა - არბიტრის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე მისი დარტყმული მეკარე **სორენტინოს** ფეხზე მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. სტუმრებმა ერთი ამბავი ატეხეს - აქაოდა, ჩვენი მცველი **მანდელი** გაზონზე იწვა და არბიტრს თამაში უნდა გაეჩერებინაო. ცალკეულ ფეხბურთელთა უშუალო ძალისხმევის წყალობით მოედანზე დიდი შეხლა არ ყოფილა, აი, გასახდელში რა მოხდა, ამას კი ვერ გეტყვით...

„ნაპოლის" კრიზისი გრძელდება. ერთ დროს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელმა კამპანიელებმა 7-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს და დაქვეითდნენ, „ჯენოა" კ.ი, რომელმაც ნეაპოლში შეცვლაზე შესული **იანკოვიჩის** გოლით მოიგო, 17-წლიანი პაუზის შემდეგ ევროტურნირებზე დაბრუნების უნიკალურ შანსს ინარჩუნებს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „კატანიას" 3 ქულა ბოლოადგილოსან „რეჯინასთან" საშინაო დაპირისპირებაში. საქმე ისაა, რომ სიცილიელთა ბოლო გამარჯვება 23 ნოემბრით თარიღდებოდა. ზედიზედ 5 ფრისა და 7 მოუგებელი მატჩის შემდეგ ცოტა თვალში გამოიხედა „ტორინომაც", რომელმაც „უდინეზეს" მინიმალური ანგარიშით სძლია. უკანასკნელ წუთზე უდინელი **კვალიარელა** პენალტს ითხოვდა **ნატალის** მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის. 40-დღიანი პაუზის შემდეგ 3 ქულას გამოჰკრა ხელი „ლაციომაც", თუმცა **დელიო როსის** სამწყსოს ამ სეზონში დიდი ამბიციები აღარ უნდა ჰქონდეს...

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

28 თებერვალი. ლაციო-ბოლონია, იუვენტუსი-ნაპოლი. 1 მარტი. პალერმო-კატანია, ატალანტა-კიევო, რეჯინა-ფიორენტინა, სიენა-ჯენოა, სამპდორია-მილანი, კალიარი-ტორინო, უდინეზე-ლეჩე, ინტერი-რომა.

### ბოლონია-ინტერი 1:2

**ბოლონია:** ანტონიოლი-6, ძენონი-6.5, მორასი-6, ბრიტოსი-6.5, ლანა-5.5, ვალიანი-6.5 (61. მარაცინა-6), მუდინგაი-6, მინგაცინი-6, ვოლპი-6.5, ბომბარდინი-6 (78. ადაილტონი), დი ვაიო-5.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7.5, მაიკონი-6, კორდობა-6, რივასი-7, სანტონი-6.5, ხ. ძანეტი-6.5, კამბიასო-6.5, მაქსველი-5.5 (80. ბალოტელი-7), მუნტარი-6 (46. სტანკოვიჩი-6), იბრაჰიმოვიჩი-6.5, ადრიანო-5.5 (78. ვიეირა).

**გოლები:** 0:1 კამბიასო (57), 1:1 ბრიტოსი (79), 1:2 ბალოტელი (82)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 11-24; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 7-14 (4-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 34 751

### რომა-სიენა 1:0

**რომა:** ა. დონი-6.5, სისინიო-6.5 (73. ფელიპე), მექსე-7, ჟუანი-6 (46. დიამუტენი-6), რიისე-5.5, პისარო-6, ბრიგი-6.5, მ. მოტა-6.5, ტადეი-7, ბაპტიშტა-6, ტოტი-5 (82. მონტელა).

**სიენა:** კურჩი-7, სუნიგა-6, პორტანოვა-6, ბრანდაუ-5, დელ გროსი-5.5, იაროლიმი-5, კოდრეა-5 (68. ამორუზო-6), გალოპა-6.5, ხარჯა-5.5, ფრიკი-5 (59. გეზალი-6), მაკარონე-6.

**გოლი:** 1:0 ტადეი (63)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 10-25; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 5-11 (3-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 30 897

### პალერმო-იუვენტუსი 0:2

**პალერმო:** ამელია-6.5, კასანი-6, კიაერი-5.5, ბოვო-6.5 (89. ჯოვ. ტედესკო), ბალცარეტი-6.5, ნოჩერინო-6 (83. სუჩი), ლივერანი-6.5, ბრეშანო-6, სიმპლისიუ-6, კავანი-6.5, მიკოლი-6.5.

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, გრიგერა-6, კიელინი-6, ლეგროტალიე-6, მოლინარო-6, კამორანეზი-6 (68. მარკიონი-6), სისოკო-6.5 (90. პოულსენი), ტიაგო-6, ნედვედი-6.5, ტრეზეგე-6.5, იაკვინტა-6 (72. ამაური-6.5).

**გოლები:** 0:1 სისოკო (27), 0:2 ტრეზეგე (79)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 17-9 (6-8); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 36 000

### მილანი-კალიარი 1:0

**მილანი:** აბიატი-6.5, ძამბროტა-6.5, ბონერა-6 (71. სენდეროსი-6), მალდინი-6.5, ფავალი-6, იანკულოვსკი-5.5, ბექჰემი-6.5 (90. ანტონინი), ფლამინი-6, პირლო-6.5, ზეედორფი-7, ფ. ინძაგი-5.5 (84. ამბროზინი).

**კალიარი:** მარკეტი-6.5, მატიო-6 (84. აგოსტინი), ლოპესი-5.5, კანინი-6, ფ. პიზანო-6, კონტი-6, ფინი-6, ბიონდინი-5.5 (73. ლაძარი-5.5), კოსუ-6.5, ჟედა-6.5, აკვაფრესკა-6 (63. მატრი-5.5).

**გოლი:** 1:0 ზეედორფი (65)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 7-13 (3-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 56 188

### ნაპოლი-ჯენოა 0:1

**ნაპოლი:** ნავარო-6.5, სანტაკროჩე-6 (88. მონტერვინო), კანავარო-5, კონტინი-6, მაჯო-5 (74. რუსოტო), ბლაზი-5.5, ჰამშიკი-5.5, გარგანო-5, ვიტალე-6, ლავეცი-6, დენისი-4.5 (74. პია).

**ჯენოა:** რუბინიო-6, პაპასტატოპულოსი-6, ფერარი-6.5, ბოკეტი-6, მ. როსი-6.5, მილანეტო-6, ტიაგო მოტა-7, კრიშიტო-6.5, მესტო-5.5 (55. სკული-6), მილიტო-6.5 (90. ოლივერა), პალადინო-5 (55. იანკოვიჩი-7).

**გოლი:** 0:1 იანკოვიჩი (69)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 31-21; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-9 (1-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 40 000

### ფიორენტინა-კიევო 2:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-6, ძაური-6, გამბერინი-6, კროლდრუპი-5, ვარგასი-5 (46. პასკუალი-6.5), ფელიპე მელუ-6.5, კუჟმანოვიჩი-4.5 (68. ბონაცოლი-6), მონტოლივო-6, იოვეტიჩი-5 (46. სემიოლი-6), ჯილარდინო-6, მუტუ-7.5.

**კიევო:** სორენტინო-6, ნ. ფრეი-6, მორერო-7, იეპესი-5.5, მანტოვანი-6, იტალიანო-5, მარკოლინი-6 (75. ბოგდანი), ბენტივოლიო-6, პინცი-5.5, მაკინვა-5.5 (68. კოლუჩი-6), პელისიერი-5 (85. მანდელი).

**გოლები:** 0:1 მორერო (13), 1:1 ჯილარდინო (73), 2:1 მუტუ (90)

**გაძევება:** იტალიანო (82. კიევო)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 19-22; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 21-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 21 755

### სამპდორია-ატალანტა 1:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, რაჯი-5.5, ლუკინი-6, აკარდი-6 (70. და კოსტა-6), სტანკევიჩუსი-6, სამარკო-5.5 (76. დესენა-6), დ. ფრანჩესკინი-5, პალომბო-6, პიერი-5.5, პაცინი-6.5, კასანო-7 (88. ბელუჩი).

**ატალანტა:** კონსილი-5.5, დარიჩი-6, პელეგრინო-5.5, თ. მანფრედინი-5, პინტუ-5.5 (82. დეფენდი), დე აშენტისი-5 (69. ხ. ვალდესი-6), ჩიგარინი-6.5, პადოინი-6, კ. დონი-6.5 (63. პლასმატი-5.5), ფლოკარი-5.5.

**გოლი:** 1:0 პაცინი (61)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 22-24; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 5-8 (3-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 20 000

### ტორინო-უდინეზე 1:0

**ტორინო:** სერენი-6.5, დელაფიორე-7, ნატალი-7, მ. პიზანო-6.5, რუბინი-6.5, აბატე-6.5, კორინი-6 (63. როზინა-6.5), ჯემაილი-7, ზოიმელი-6.5, გასბარონი-6.5 (46. ვენტოლა-6), ბიანკი-5.5 (73. სტელონე-6.5).

**უდინეზე:** ბელარდი-6.5, საპატა-5.5, დომიცი-6, ფელიპე-6, პასკუალე-6, ობოდო-6, გ. დ'აგოსტინო-6 (70. ინლერი-5.5), ისლა-5.5, პეპე-6.5, ფლორო ფლორესი-5.5 (62. კვალიარელა-6), დი ნატალე-6 (79. სანჩესი).

**გოლები:** 1:0 დელაფიორე (80)

**გაძევება:** დომიცი (90. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 24-26; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-9 (8-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 000

### ლეჩე-ლაციო 0:2

**ლეჩე:** ბენუსი-5.5, პოლენგი-5 (56. ბასტა-5.5), სტენდარდო-5.5, ფაბიანო-5.5, ჯულიატო-5 (69. მუნარი), ედინიო-5, კაზერტა-6, არიატი-5, ჯაკომაცი-5.5 (46. ვივესი-5.5), კაჩა-5.5, ტირიბოკი-6.

**ლაციო:** მუსლერა-6, ლიხტშტაინერი-6.5, სივილია-6, კრიბარი-7, კოლაროვი-6.5, ბროკი-6, კ. ლედესმა-7, მათუსალემი-7.5 (90. დაბო), ფოჯა-7, სარატე-6.5 (73. როკი), პანდევი-6.

**გოლები:** 0:1 ფოჯა (11), 0:2 კოლაროვი (50)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 22-15; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 9-7 (0-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 7 118

### კატანია-რეჯინა 2:0

**კატანია:** ბიცარი-7, პოტენცა-6.5, სილვესტრე-6, სტოვინი-6.5, კაპუანო-7, ბიაჯანტი-6, ჯაკ. ტედესკო-6.5, პ. ლედესმა-6, მორიმოტო-6 (84. სპინესი), პალუმბო-5.5 (75. ბაიოკო), მასკარა-6.5 (79. [illegible]ლამა).

**რეჯინა:** [illegible]-6.5, ლანძარო-5, კ. ვალდესი-5.5, სანტოსი (11. [illegible]-5.5), [illegible]-5.5 (86. სესტუ), [illegible]-5.5, [illegible]-6, [illegible]-4.5 (76. [illegible]), კოსტა-6, დი ჯენარო-5, კორადი-5.

**გოლები:** 1:0 კაპუანო (35), 2:0 პოტენცა (74)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 19-20 (4-1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 18 | 5 | 2 | 44-18 | 59 |
| 2. იუვენტუსი | 25 | 15 | 5 | 5 | 41-21 | 50 |
| 3. მილანი | 25 | 14 | 6 | 4 | 42-25 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 25 | 14 | 3 | 8 | 37-24 | 45 |
| 5. ჯენოა | 25 | 11 | 8 | 5 | 36-25 | 44 |
| 6. რომა | 25 | 13 | 4 | 8 | 37-31 | 43 |
| 7. კალიარი | 25 | 11 | 4 | 10 | 32-27 | 37 |
| 8. ატალანტა | 25 | 11 | 3 | 11 | 31-26 | 36 |
| 9. პალერმო | 25 | 11 | 3 | 11 | 32-31 | 36 |
| 10. ნაპოლი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-29 | 35 |
| 11. ლაციო | 25 | 10 | 5 | 10 | 35-37 | 35 |
| 12. უდინეზე | 25 | 8 | 7 | 10 | 34-37 | 31 |
| 13. კატანია | 25 | 8 | 6 | 11 | 24-30 | 30 |
| 14. სამპდორია | 25 | 7 | 8 | 10 | 24-29 | 29 |
| 15. სიენა | 25 | 7 | 6 | 12 | 19-26 | 27 |
| 16. ბოლონია | 25 | 5 | 8 | 12 | 27-40 | 23 |
| 17. ტორინო | 25 | 5 | 8 | 12 | 25-39 | 23 |
| 18. ლეჩე | 25 | 4 | 10 | 11 | 22-40 | 22 |
| 19. კიევო | 25 | 4 | 8 | 13 | 18-34 | 20 |
| 20. რეჯინა | 25 | 3 | 8 | 13 | 20-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 16 - დი ვაიო (ბოლონია); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 12 - ამაური (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), მუტუ (ფიორენტინა); 11 - კაკა (მილანი), პატო (მილანი).

## სერია B

### XXVII ტური

**აველინო-ვიჩენცა** 1:0

**გოლი:** 1:0 პეპე (51)

**გაძევება:** მეზზა (65. ვიჩენცა)

**მანტოვა-ტრიესტინა** 0:1

**გოლი:** 0:1 პრინჩივალი (66)

**გაძევება:** რულო (85. ტრიესტინა)

**ბარი-ასკოლი** 2:2

**გოლები:** 0:1 პეშე (28), 0:2 ჯორჯი (48), 1:2 გუბერტი (60), 2:2 პარიზი (90-პენ)

**ემპოლი-ჩიტადელა** 0:1

**გოლბი:** 0:1 მეჯორინი (45)

**ტრევიზო-მოდენა** 0:1

**გოლი:** 0:1 პინარდი (10-პენ)

**გაძევება:** მორო (90. ტრევიზო)

**გროსეტო-ლივორნო** 2:3

**გოლები:** 1:0 პერტიკონე (20-საკ. კარში), 2:0 აბრუცეზე (25), 2:1 დიამანტი (42), 2:2 ტავანო (52), 2:3 ბერგვოლდი (69)

**სასუოლო-რიმინი** 1:0

**გოლი:** 1:0 ძამპანია (65)

**გაძევება:** ძამპანია (89. სასუოლო)

**პიაჩენცა-ალბინოლეფე** 1:2

**გოლები:** 0:1 მადონა (1), 1:1 ფერარო (6), 1:2 მადონა (50)

**პარმა-ბრეშა** 1:0

**გოლი:** 1:0 პალოსკი (37)

**პიზა-სალერნიტანა** დღეს

**ანკონა-ფროზინონე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივორნო | 27 | 12 | 13 | 2 | 41-21 | 49 |
| 2. პარმა | 27 | 12 | 11 | 4 | 35-21 | 47 |
| 3. ბარი | 27 | 12 | 11 | 4 | 31-23 | 47 |
| 4. სასუოლო | 27 | 12 | 9 | 6 | 37-24 | 45 |
| 5. ბრეშა | 27 | 12 | 7 | 8 | 32-24 | 43 |
| 6. ტრიესტინა | 27 | 11 | 9 | 7 | 36-28 | 42 |
| 7. გროსეტო | 27 | 12 | 5 | 10 | 45-46 | 41 |
| 8. ემპოლი | 27 | 11 | 7 | 9 | 30-29 | 40 |
| 9. ალბინოლეფე | 27 | 9 | 11 | 7 | 25-25 | 38 |
| 10. ვიჩენცა | 27 | 9 | 10 | 8 | 30-19 | 37 |
| 11. ჩიტადელა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-27 | 32 |
| 12. ანკონა | 26 | 9 | 5 | 12 | 32-34 | 32 |
| 13. რიმინი | 27 | 8 | 8 | 11 | 30-36 | 32 |
| 14. მანტოვა | 27 | 8 | 8 | 11 | 26-32 | 32 |
| 15. პიზა | 26 | 8 | 8 | 10 | 33-40 | 32 |
| 16. პიაჩენცა | 27 | 8 | 7 | 12 | 27-33 | 31 |
| 17. ასკოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 23-29 | 30* |
| 18. ფროზინონე | 26 | 7 | 8 | 11 | 29-36 | 29 |
| 19. სალერნიტანა | 26 | 8 | 5 | 13 | 27-37 | 29 |
| 20. მოდენა | 27 | 5 | 9 | 13 | 35-45 | 24 |
| 21. აველინო | 27 | 5 | 11 | 11 | 24-39 | 24* |
| 22. ტრევიზო | 27 | 5 | 12 | 10 | 27-34 | 23* |

*შენიშვნა:* * - ტრევიზოს და ასკოლის დაკლებული აქვთ 4-4 ქულა, ავლინოს 2.

**ბომბარდირები:** 15 - ეანტაჯატო (პარმა); 14 - ტავანო (ლივორნო); 11 - ბარეტო (ბარი), მასტრონუნციო (ანკონა), მეჯორინი (ჩიტადელა), სანსოვინი (გროსეტო); 10 - ბრუნო (მოდენა), დიამანტი (ლივორნო), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), ნასი (ბრეშა).

## ლეგა პრო 1/A

### XXIII ტური

პრო სესტო-მონცა 2:2; კრემონეზე-ლეკო 0:0; ჩეზენა-ლენიანო 1:1; პორტოგრუარო-პადოვა 0:0; ვერონა-პერგოკრემა 0:1; ნოვარა-რავენა 2:2; ლუმეცანე-სამბენედეტეზე 2:2; პრო პატრია-ვენეცია 3:0; სპალ-რეჯანა დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XXIII ტური

ტერნანა-ბენევენტო 2:1; რეალ მარჩანიზე-კავეზე 0:1; სორენტო-ფოლინიო 1:2; პაგანეზე-გალიპოლი 0:2; კროტონე-იუვე სტაბია 2:1; ფოჯა-პისტოიეზე 1:1; პერუჯა-პოტენცა 4:0; პესკარა-ტარანტო 2:0; არეცო-ვირტუს ლანჩანო 1:2.

ესპანეთი. ლიგა BBVA. XXIV ტური

# ბარსელონა წნეხში მოექცა

## ისტორიული შედეგების ტური



„ესპანიოლმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ბარსელონასთვის“ უაღრესად უსიამოვნო სტუმარია. ეს გუნდი რაოდენ სუსტიც უნდა იყოს, კატალონიური გრანდისთვის სიცოცხლის გასამწარებლად ძალას ყოველთვის გამონახავს. შეუძლებელია, 2006/07 წლების სეზონი არ გაგვახსენდეს. მაშინ ჩემპიონობისთვის გამზადებულ „ბარსელონას“ „ესპანიოლმა“ თავში წამოარტყა და დიდი ოცნება მოუკლა. წლევანდელ სეზონში ეს გუნდები აბსოლუტურად განსხვავებული მიზნებისთვის იბრძვიან. **პოჩეტინოს** გუნდი „კამპ ნოუზე“ წყალწაღებული აუტსაიდერის სტატუსით მივიდა, მაგრამ ისეთი რამ გააკეთა, რასაც ბევრი ვერ წარმოიდგენდა. სიმართლე ითქვას, მასპინძელთა წარუმატებლობაში მთავარი არბიტრის **დელგადო ფერეიროს** ხელიც ურევია. ბასკმა არბიტრმა შეხვედრის 38-ე წუთზე **კეიტა** სრულიად დაუმსახურებლად გააძევა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. თუ შეხვედრის სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლებთ თავს, აღმოვაჩენთ, რომ სტუმრებმა **ივან დე ლა პენიას** წყალობით გაიმარჯვეს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გამოცდილი ნახევარმცველის ორივე გოლი ბარსელონელების ბრიყვული თამაშის შედეგი გახლდათ. პირველ ეპიზოდში მცველებმა იმდენად უსუსურად ითამაშეს, რომ დე ლა პენია ცარიელ კართან მარტოდმარტო დატოვეს. ბუნებრივია, მას გოლის გატანა არ გასჭირვებია. დაახლოებით 5 წუთში კი გულშემატკივრები **ვიქტორ ვალდესის** იდიოტობის მომსწრენი გახდნენ. მეკარემ აბსოლუტურად მარტივ სიტუაციაში ბურთი პირდაპირ დე ლა პენიას მიუგორა და ანგარიშის ორამდე გაზრდის შესაძლებლობა მისცა. ივანს ასეთი წარმატებული დღე დიდხანია არ ჰქონია. შესაძლოა, დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ კატალონიელმა ნახევარმცველმა პრიმერა დივიზიონში 4-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიტანა. მისი წინა გოლი 2005 წლის 30 იანვრით თარიღდებოდა. მაშინ დე ლა პენიამ „ბეტისის“ კარი დალაშქრა.

შაბათს საღამოს „ბარსას“ ისტორიაში კიდევ ერთი უსიამოვნო რამ მოხდა. პრიმერა დივიზიონის ისტორიაში ლიგის ლიდერი აუტსაიდერთან საშინაო შეხვედრაში არასოდეს დამარცხებულა. პარადოქსულია, მაგრამ „ბარსამ“ ეს მაინცდამაინც მაშინ მოახერხა, როდესაც ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. „ესპანიოლმა“ კი „კამპ ნოუზე“ 27-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად მოიგო. „ბარსელონამ“ ესპანეთის პირველობაზე 23 ტურის შემდეგ პირველად წააგო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კატალონიური გიგანტი „კამპ ნოუზე“ ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ პირველად დამარცხდა. როგორც ხედავთ, „ესპანიოლმა“ მოწინააღმდეგეს დიდი უბედურება დაატეხა თავს. გულშემატკივრებს, ალბათ, ყველაზე მეტად წარუმატებლობის მიზეზი აინტერესებთ. ამ თემაზე საუბრისას რამდენიმე გარემოებას შეიძლება გაესვას ხაზი. პირველ რიგში იმას, რომ მასპინძლებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს. მსაჯის საკვანძო შეცდომაზე უკვე გითხარით. ხუმრობა არ არის, როცა თითქმის ერთი საათი კაცნაკლული თამაშობ. უნდა აღინიშნოს, რომ **პეპ გვარდიოლამაც** მეტისმეტი მონდომა და გარკვეული შეცდომები დაუშვა. **კარლეს პუიოლის** ძირითადიდან ამოგდება ეგრეთწოდებული როტაციების ჭრილში უნდა განვიხილოთ. **ჟერარდ პიკე** ნიჭიერი ყმაწვილია, მაგრამ შეხვედრა ისე არ ჩაივლის, სერიოზული შეცდომა არ დაუშვას. პუიოლს მოედანზე გასვლა მაინც მოუხდა, რადგან პირველი ტაიმის 23-ე წუთზე **ერიკ აბიდალმა** მძიმე ტრავმა მიიღო. ფრანგ მცველს სავარაუდოდ ორი თვე გაუცდება. შესაძლოა, გვარდიოლას **გუდიონსენის** სასწაულის სჯეროდა, მაგრამ პირადად ჩვენთვის 64-ე წუთზე **სამუელ ეტოოს** ისლანდიელით შეცვლა აბსოლუტურად გაუგებარია. მით უმეტეს მაშინ, როცა გუნდი აგებდა და შეხვედრის გადარჩენა სჭირდებოდა. მანამდე მთავარმა მწვრთნელმა **ტიერი ანრი ბუსკეტსით** შეცვალა. გუდიონსენის გამოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, გვარდიოლას მითითებით, ახალგაზრდა ბუსკეტსი ცენტრფორვარდად მოგვევლინა. ამ უცნაურმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა. ამიტომ, სრული უფლება გვაქვს, ახალგაზრდა სპეციალისტი ერთ-ერთ დამნაშავედ გამოვაცხადოთ. როცა გუნდი საათივით გაქვს აწყობილი, ზედმეტი ფილოსოფია არ არის საჭირო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს პირველად გვარდიოლა გაესაუბრა: *„არ მიყვარს მსაჯზე რამის დაბრალება, მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მატჩის შედეგზე არბიტრმა პირდაპირი გავლენა იქონია. კეიტას გაძევება ყოველგვარ საღ აზრს იყო მოკლებული. ჩემი აზრით, იმ ეპიზოდში ძალიან ბევრი რამ გაირკვა. კაცნაკლული დავრჩით და გეგმები აგვერია. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. ამ სეზონში „ესპანიოლმა“ ესპანეთის სამეფო თასზეც გაგვაწვალა. რა გაეწყობა. წაგებისგან არავინ არის დაზღვეული, მათ შორის, „ბარსელონაც“. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მდევართან ბოლო ორ ტურში სხვაობა 5 ქულით შემცირდა, „ბარსა“ მაინც ლიდერია და ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ახლა მთავარია, დავმშვიდდეთ. შეცდომები გავაანალიზოთ და დროულად აღმოვფხვრათ. გულშემატკივრებს ვარწმუნებ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრაში ისინი სულ სხვა გუნდს იხილავენ“.*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაფიქსირდა. „რეალის“ გამარჯვებაში მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი არ არის. ეს გუნდი ფავორიტი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ სამეფო კლუბი „ბეტისს“ ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხებდა. მადრიდულმა გრანდმა ბოლო 2 შეხვედრაში 10 ბურთი შეაგდო. როგორც ჩანს, წარსულში დარჩა ის დრო, როცა **რუუდ ვან ნისტელროის** ტრავმით დაუძლურებულ გუნდს გოლების გატანა უჭირდა. „ლივერპულთან“ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მერვედფინალური დაპირისპირების წინ ასეთ უხვგოლიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. **ხუანდე რამოსმა** იმდენი მოახერხა, რომ **ბერნდ შუსტერის** მიერ ჩაკლული სული გამოაცოცხლა და გუნდი ჩემპიონთა ლიგამდე საუკეთესო ფორმით მიიყვანა.

გოლების დაწვრილებით ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მასპინძლებმა გულშემატკივრებს საკმაოდ ლამაზი შეტევები აჩუქეს. თქვენი ნებართვით ექვსიდან მხოლოდ ორ გოლს გამოვყოფთ. იმ ორ გოლს, რომელიც **რაულმა** გაიტანა. მოგეხსენებათ, გონსალეს ბლანკომ წინა ტურშიც დუბლი შეასრულა და ლეგენდარული **ალფრედო დი სტეფანოს** რეკორდის გაუმჯობესებით სამეფო კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შაბათს რაულმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. პრიმერა დივიზიონში მას ახლა 218 გოლი აქვს გატანილი. მან ისევ და ისევ დონ დი სტეფანოს მაჩვენებელი გააუმჯობესა და ამ თვალსაზრისითაც საუკეთესო გახდა. პრიმერა დივიზიონში ამდენი ბურთი „რეალის“ სხვა არც ერთ მოთამაშეს არ აქვს გატანილი.

ხუანდე რამოსმა „ბარსელონასთან“ სადებიუტო შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ გუნდს ზედიზედ 9 გამარჯვება მოუტანა. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს სასიქადულო მიღწევაა. ფანტასტიკური შედეგებით გახარებულმა მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა:

*„ძალიან მიხარია, რომ „ბარსელონასთან“ ჰანდიკაპი 5 ქულით შევამცირეთ. დღეს არაჩვეულებრივად ვითამაშეთ. 6 გოლი გავიტანეთ და ერთმანეთი ძალიან გავახარეთ. მაგრამ მე პრაგმატული ადამიანი ვარ და შეგახსენებთ, რომ კატალონიელები 7 ქულით გვისწრებენ. ეს საკმაოდ დიდი სხვაობაა. ჰანდიკაპის ბოლომდე აღმოსაფხვრელად გრანდიოზული მუშაობა და იღბალია საჭირო. ვგონებ, გუნდი სწორი გზით მიდის. დღეს ფანტასტიკური დღე გვქონდა, მაგრამ არ გვინდა, ეიფორიამ მოგვიცვას. ახლა უნდა დავმშვიდდეთ და ხვალიდან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისთვის მზადებას შევუდგეთ. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ გუნდი ყოველმხრივ გაიზარდა. დღეს თითოეული რგოლი უფრო დამაჯერებლად და გამართულად თამაშობს“.*

2009 წელს „ატლეტიკომ“ პრიმერა დივიზიონში 8 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ამ 8 დაპირისპირებიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. **აბელ რესინომ** მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ „რეკრეატივოსთან“ პირველივე გასვლითი მატჩი დიდი ანგარიშით 3:0 მოიგო. გულშემატკივრებმა იფიქრეს, ეს რა კაცი მოვიდა, გვეშველაო, მაგრამ სადებიუტო შეხვედრაში მოპოვებულ წარმატებას მორიგი ორი წარუმატებლობა მოყვა. წინა ტურში „როხიბლანკომ“ საშინაო შეხვედრაში „ხეტაფესთან“ ფრედ 1:1 ითამაშა, ახლა კი „სანჩეს პისხუანზე“ „სევილიასთან“ დამარცხდა. ანდალუსიური დაპირისპირება ყველაზე მძიმე **ლუის პერეასთვის** აღმოჩნდა. კოლუმბიელი მცველი თამაშის დასაწყისში სევილიელ **რომანიჩს** შეასკდა და თავის ქალა გაიტეხა. სამხრეთამერიკელი უმალ საავადმყოფოში გააქანეს. ბოლო 2 ტურის სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ მადრიდელებს არ უმართლებთ. თავად განსაჯეთ, წინა ტურში გამარჯვება მათ საფინალო სასტვენამდე ორიოდე წუთით ადრე გაუშვეს ხელიდან. ახლა კი **ხესუს ნავასმა** სამი ქულის მომტანი ბურთი 86-ე წუთზე გაიტანა.

სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა იმით იმართლა თავი, რომ შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობა და გამარჯვების შანსი „ატლეტიკოსაც“ ქონდა. სენიორ რესინომ სამი ქულის დაკარგვა უიღბლობას დააბრალა. **მანოლო ხიმენესმა** კი მისი გუნდის წარმატება თანმიმდევრულობას მიაწერა. სევილიელი სპეციალისტის თქმით, გუნდი გამარჯვებისკენ მიზანმიმართულად მიიწევდა და მწვრთნელის მითითებებს უზადოდ ასრულებდა.

„ვილიარეალისა“ და „სპორტინგის“ დაპირისპირებაში ფრიად უჩვეულო რამ მოხდა. დაგვეთანხმებით, იშვიათია შეხვედრები, როცა პირველ წუთზე 2 გოლი გადის. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებისთვის შეხვედრა ძალიან ცუდად დაიწყო. **ბილიჩმა** ანგარიში რამდენიმე წამში გახსნა, მაგრამ **როსიმ** უმცირეს დროში გაათანაბრა. 35- წუთზე კი **კაპდევილამ** გამარჯვების ბურთი შეაგდო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

28 თებერვალი. ბილბაო-სევილია, ესპანიოლი-რეალი. 1 მარტი. ატლეტიკო-ბარსელონა, ბეტისი-ვილიარეალი, რასინგი-ოსასუნა, სპორტინგი-მალიორკა, ვალენსია-ვალიადოლიდი, ალმერია-ხეტაფე, ნუმანსია-დეპორტივო, მალაგა-რეკრეატივო.

### ბარსელონა-ესპანიოლი 1:2

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, პიკე, მარკესი, აბიდალი (24. პუიოლი) - იაია ტურე, ს. კეიტა, ჩავი - მესი, ანრი (46. სერხიო ბუსკეტსი), ეტო'ო (66. გუდიონსენი).

**ესპანიოლი:** კამენი - სერხიო სანჩესი, პარეხა, ხარკე, დავიდ გარსია - მოისესი, ანხელი (37. რომან მარტინესი) - ლუის გარსია, დე ლა პენია (72. კორო), ნენე (88. ტამუდო) - ივან ალონსო.

**გოლები:** 0:1 დე ლა პენია (50), 0:2 დე ლა პენია (55), 1:2 ტურე (63)

**გაძევება:** ს. კეიტა (38. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** 6-6; **დარტყმა:** 20(4)-2(2); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 14-24; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 76 942

### რეალი-ბეტისი 6:1

**რეალი:** იკერ კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო (46. სნეიდერი), ჰაინცე - ლ. დიარა, გაგო, მარსელო - რაული (46. რობენი), იგუაინი (46. გუტი), ჰუნტელაარი.

**ბეტისი:** რიკარდო - ნელსონი, მელი, არსუ (80. ხუანმა), ფერნანდო ვეგა - დამია, ხუანდე (53. მონსონი), მეჰმეთ აურელიო, ემანა (61. რივერა), მარკ გონსალესი - რიკარდო ოლივეირა.

**გოლები:** 1:0 იგუაინი (7), 2:0 ჰუნტელაარი (15), 3:0 ჰუნტელაარი (24), 3:1 რიკარდო ოლივეირა (30), 4:1 რაული (36), 5:1 რაული (41), 6:1 სერხიო რამოსი (45)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 21(13)-8(1); **კუთხური:** 2-2; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 11-19; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 79 500

### ვილიარეალი-სპორტინგი 2:1

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი - ხავი ვენტა, ფუენტესი, დიეგო გოდინი, კაპდევილია - მარკოს სენა, კანი, სანტი კასორლა (80. ეგურენი), პირესი - როსი (56. ნიჰათი), ხ. ლორენტე (65. მატი ფერნანდესი).

**სპორტინგი:** ლაფუენტე - რაულ კამარა, ხორხე, ნერუ, ხოსე ანხელი - ანდრეუ, პედრო (61. კარმელო), დიეგო კამაჩო, კანელია (68. ბარალი), მიჩელი - ბილიჩი (81. მალდონადო).

**გოლები:** 0:1 ბილიჩი (1), 1:1 როსი (2), 2:1 კაპდევილია (36)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 15(7)-11(2); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 0-4; **ჯარიმა:** 14-26; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 18 000

### სევილია-ატლეტიკო 1:0

**სევილია:** პალოპი - მოსკერა, დავიდ პრიეტო, სკილაჩი, ადრიანო - ხესუს ნავასი, რომარიკი (11. დიეგო კაპელი/85. ხოსე კარლოსი), ფასიო, პეროტი (55. აკოსტა) - რენატო, კანუტე.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო - პერეა (7. სეიტარიდისი), პაბლო, უიფალუში, პერნია (46. მაქსი როდრიგესი) - სიმაო, ასუნსაო, მანიშე (71. აგუერო), რაულ გარსია - ფორლანი, ანტონიო ლოპესი.

**გოლი:** 1:0 ხესუს ნავასი (87)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 12(5)-11(4); **კუთხური:** 9-7; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 18-16; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 42 000

### ოსასუნა-ნუმანსია 2:0

**ოსასუნა:** რობერტო - ასპილიკუეტა, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, მონრეალი - ხუანფრანი, პუნიალი (90. ვადოჩი), ნეკუნამი, პლასილი (86. დელპორტი) - მასუდი (74. იდალგო), პანდიანი.

**ნუმანსია:** ხუან პაბლო - ხუანრა, სერხიო ორტეგა, რაულ ბრავო, სისმა - პალასიოსი (46. კერო) - დელ პინიო (69. გაირე), ნაგორე, დიმაში (46. ბრიტი), ბარკერო - არანდა.

**გოლები:** 1:0 პლასილი (2), 2:0 მასუდი (35)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 15(6)-16(4); **კუთხური:** 10-8; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 20-18; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 18 703

### მალიორკა-რასინგი 1:0

**მალიორკა:** ავატე - სკალონი, ნუნიესი, ნავარო, კორალესი - ვარელა (71. კასტრო), მარიო სუარესი (77. კეიტა), მარტი, არანგო (53. ვებო), ხურადო - ადურისი.

**რასინგი:** ტონიო - ვალერა, გარაი, ნავასი, მარკანო (46. ტონი მორალი) - კოლსა, ლასენი, სერანო (46. ორიოლი) - მუნიტისი, ჟიგიჩი, პერეირა (50. პინილიოსი).

**გოლი:** 1:0 ხურადო (88)

*88-ე წუთზე ხურადომ ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** გარაი (49. რასინგი)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 16(10)-8(0); **კუთხური:** 7-4; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 20-28; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 17 000

### რეკრეატივო-ალმერია 1:1

**რეკრეატივო:** ასიერ რიესგო - იაგო ბუსონი, მორისი, ანდრეს ლამასი, აიტორი - კამუნიასი, ნაიარი (68. ხავი ფუეგო), ხესუს ვასკესი, ბარბარი (46. აკალე), მაიდანა - მარკო რუბენი (79. ხავი გერერო).

**ალმერია:** დიეგო ალვესი - სანტი აკასიეტე, კარლოს გარსია (66. ორტისი), ჩიკო, პერელანო - ხუანმა ორტისი, ირინეი, ხუანიტო (73. პიატი), კრუსატი - კორონა (80. სორიანო), ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 კამუნასი (58), 1:1 ნეგრედო (75-პენ)

**გაძევება:** კრუსატი (22. ალმერია)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 16(7)-7(1); **კუთხური:** 9-2; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 15-14; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 15 689

### ვალიადოლიდი-მალაგა 1:3

**ვალიადოლიდი:** ვილიარი - პედრო ლოპესი, ბარახა, ინიაკი ბეა, მარკოსი - რუბიო, ბორხა (65. აგირე) - პედრო ლეონი (77. მედუნიანინი), ვიქტორი, ჯონათან სესმა (65. ოლდონი) - გოიტომი.

**მალაგა:** გოიტია - გომესი, ველინგტონი, კუადრადო, კალიეხა - ელისეუ, დუდა (80. ნაჩო), აპონიო, ლოლო - ბაა (57. ბაროსი), ლუკე (63. სალვა).

**გოლები:** 0:1 ლუკე (7), 0:2 აპონიო (28-პენ), 1:2 გოიტომი (82), 1:3 ნაჩო (87)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 22(8)-16(5); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 17-10; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 15 000

### ხეტაფე-ბილბაო 1:1

**ხეტაფე:** ხაკობო - კორტესი, მარიო, დიასი, [illegible] (62. [illegible]) - გრანერო, [illegible], [illegible] (76. სელესტინი), [illegible] - [illegible], სოლდადო (48. ალბინი).

**ბილბაო:** [illegible] - ირაოლა, [illegible], ოსიო, [illegible], [illegible] - [illegible] (89. [illegible]), [illegible] (81. გურპეგი), [illegible] - იონ ველესი (59. ტოკერო), ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 სოლდადო (15), 1:1 ფ. ლორენტე (40)

*მე-20 წუთზე ირაოლამ (ბილბაო) ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაფრთხილება:** 6-1; **დარტყმა:** 20(4)-8(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 16-22; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 9 000

### დეპორტივო-ვალენსია 1:1

**დეპორტივო:** არანსუბია - ლაურე, ადრიან ლოპესი, ლოპო, კაზმირსკი - ვერდუ, ანტონიო ტომასი (71. სერხიო), ხუან როდრიგესი (65. ვალერონი), დე გუსმანი, ლაფიტა - ნუიუი (88. ბოდიპო).

**ვალენსია:** სესარი - მადურო, ალექსისი, კარლოს მარჩენა, დელ ორნო - ხოაკინი (64. მიჩელი), რუბენ ბარახა, მანუელ ფერნანდეში, დავიდ სილვა (77. მორიენტესი) - მატა, ვილია.

**გოლები:** 0:1 ვილია (25), 1:1 ადრიან ლოპესი (78)

**გაძევება:** ვილია (76. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 1-7; **დარტყმა:** 16(7)-7(1); **კუთხური:** 6-6; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 21-13; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 34 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 71-20 | 60 |
| 2. რეალი | 24 | 17 | 2 | 5 | 55-28 | 53 |
| 3. სევილია | 24 | 13 | 5 | 6 | 32-21 | 44 |
| 4. ვილიარეალი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-32 | 41 |
| 5. ვალენსია | 24 | 11 | 6 | 7 | 44-35 | 39 |
| 6. მალაგა | 24 | 11 | 6 | 7 | 41-35 | 39 |
| 7. ატლეტიკო | 24 | 10 | 6 | 8 | 48-35 | 36 |
| 8. დეპორტივო | 24 | 10 | 6 | 8 | 28-30 | 36 |
| 9. ბილბაო | 24 | 8 | 7 | 9 | 34-37 | 31 |
| 10. ვალიადოლიდი | 24 | 9 | 3 | 12 | 35-39 | 30 |
| 11. რასინგი | 24 | 7 | 8 | 9 | 25-28 | 29 |
| 12. ხეტაფე | 24 | 6 | 10 | 8 | 34-36 | 28 |
| 13. ალმერია | 24 | 7 | 7 | 10 | 30-38 | 28 |
| 14. სპორტინგი | 24 | 9 | 0 | 15 | 30-53 | 27 |
| 15. რეკრეატივო | 24 | 6 | 8 | 10 | 21-34 | 26 |
| 16. ბეტისი | 24 | 7 | 5 | 12 | 32-38 | 26 |
| 17. ოსასუნა | 24 | 5 | 9 | 10 | 25-30 | 24 |
| 18. მალიორკა | 24 | 6 | 6 | 12 | 24-40 | 24 |
| 19. ესპანიოლი | 24 | 4 | 9 | 11 | 22-38 | 21 |
| 20. ნუმანსია | 24 | 6 | 2 | 16 | 26-48 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 - ეტო'ო (ბარსელონა); 19 - ვილია (ვალენსია); 16 - მესი (ბარსელონა); 15 - ფორლანი (ატლეტიკო); 14 - იგუაინი (რეალი); 13 - ნეგრედო (ალმერია), რაული (რეალი); 12 - ანრი (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 10 - აგუერო (ატლეტიკო), ფ. ლორენტე (ბილბაო).

### II დივიზიონი

### XXV ტური

**ლას პალმასი-მურსია 0:1**

გოლი: 0:1 მარანონი (74)

**ელჩე-სარაგოსა 2:0**

გოლები: 1:0 საული (43), 2:0 სანტოსი (69)

**ალბასეტე-კასტელონი 2:0**

გოლები: 1:0 დ. კოსტა (16-პენ), 2:0 მერინო (50)

**სელტა-ეიბარი 1:2**

გოლები: 0:1 კარლიერი (48), 0:2 სუტილი (72), 1:2 როდრიგესი (88)

**უესკა-ტენერიფე 0:0**

**ვალეკანო-სევილია II 1:0**

გოლი: 1:0 ხოფრე (13)

**კორდობა-ხერესი 1:2**

გოლები: 0:1 კალე (32-პენ), 1:1 კ. ალვარესი (60-პენ), 1:2 აიტამი (75)

**ალიკანტე-ხიმნასტიკი 1:3**

გოლები: 0:1 ხანდრო (12-პენ), 0:2 ხოსე მარი (48), 0:3 ბაუსა (52), 1:2 აბედი (77)

**ლევანტე-ალავესი 2:3**

გოლები: 0:1 გერა (5), 1:1 პარი (16-პენ), 1:2 ალბაკარი (34), 1:3 ხუანხო (51), 2:3 კალდერონი (77)

**სოსიედადი-ერკულესი 1:2**

გოლები: 0:1 ნავარო (4), 0:2 ნავარო (64), 1:2 ჩაბი პრიეტო (80)

**სალამანკა-ხირონა 2:2**

გოლები: 0:1 სანჩონი (23), 1:1 როდრი (38), 1:2 გომესი (78), 2:2 ისააკი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 25 | 14 | 7 | 4 | 45-24 | 49 |
| 2. ტენერიფე | 25 | 13 | 5 | 7 | 44-34 | 44 |
| 3. ვალეკანო | 25 | 11 | 10 | 4 | 31-23 | 43 |
| 4. ერკულესი | 25 | 11 | 9 | 5 | 38-23 | 42 |
| 5. სარაგოსა | 25 | 11 | 7 | 7 | 40-28 | 40 |
| 6. კასტელონი | 25 | 10 | 10 | 5 | 35-26 | 40 |
| 7. სალამანკა | 25 | 10 | 8 | 7 | 38-28 | 38 |
| 8. სოსიედადი | 25 | 8 | 12 | 5 | 24-20 | 36 |
| 9. ხირონა | 25 | 8 | 11 | 6 | 29-29 | 35 |
| 10. ლევანტე | 25 | 10 | 5 | 10 | 35-38 | 35 |
| 11. ხიმნასტიკი | 25 | 8 | 10 | 7 | 39-31 | 34 |
| 12. უესკა | 25 | 8 | 10 | 7 | 32-30 | 34 |
| 13. მურსია | 25 | 10 | 4 | 11 | 26-30 | 34 |
| 14. ელჩე | 25 | 8 | 9 | 8 | 31-28 | 33 |
| 15. სელტა | 25 | 8 | 9 | 8 | 28-28 | 33 |
| 16. ალბასეტე | 25 | 8 | 8 | 9 | 29-34 | 32 |
| 17. ლას პალმასი | 25 | 6 | 10 | 9 | 28-27 | 28 |
| 18. კორდობა | 25 | 7 | 6 | 12 | 24-30 | 27 |
| 19. ეიბარი | 25 | 7 | 6 | 12 | 19-33 | 27 |
| 20. ალავესი | 25 | 7 | 6 | 12 | 26-42 | 27 |
| 21. ალიკანტე | 25 | 3 | 7 | 15 | 19-43 | 16 |
| 22. სევილია B | 25 | 1 | 7 | 17 | 14-45 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა







Taste the excitement of Kia's all-new SPORTAGE with sporty and aesthetic design

**Major sponsor and official car of Australian Open 2009**

**კია მოტორსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი**

კია მოტორსის ოფიციალური წარმომადგენელი „იბერია ბიზნეს ჯგუფი"

დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ, ტელ.: 53 01 91 www.kiamotors.ge

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

# ჰიდინკის პირველი სამი ქულა

**გუუს ჰიდინკმა** ინგლისური კარიერა გამარჯვებით დაიწყო. **ნიკოლა ანელკას** ერთადერთმა გოლმა „არისტოკრატებს" სამი ქულა მოუტანა. „ჩელსიმ" „ასტონ ვილას" გადაუსწრო და მესამე ადგილი დაიბრუნა. ლონდონელები, შესაძლოა, საჩემპიონო მარათონშიც ჩაებან.

ანელკამ სეზონის 21-ე გოლი შეაგდო და ამავე დროს პირველი გოლი პრემიერლიგის ბოლო ცხრა მატჩში. „ჩელსიმ" „ვილა პარკზე" ათწლიანი პაუზის შემდეგ მოიგო. მან „ასტონ ვილას" 13-მატჩიან წაუგებელ სერიას დაუსვა წერტილი (ბირმინგემელებს პრემიერლიგაში ნოემბრის შემდეგ არ წაეგოთ).

ინგლისელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ჩელსის" ჰიდინკის ხელი უკვე დაეტყო. ჰოლანდიელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ერთკვირიან ინტენსიურ ვარჯიშებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ფეხბურთელები, რომლებიც ბოლო მატჩებში საკუთარი თავის აჩრდილებს ჰგავდნენ, გარდაისახნენ. დავალება ყველამ პირნათლად შეასრულა.

ჰიდინკმა თავდასხმაში **დროგბა** და ანელკა დააყენა. „არისტოკრატებმა" პირველ ტაიმში საუცხოოდ ითამაშეს. **ლემპარდი, ბალაკი** და **ობი მიკელი** მოედნის ცენტრს დაეპატრონნენ. სტუმრები ბურთს ლაღად ათამაშებდნენ. ბირმინგემელთა შედარებით სუსტ თამაშს საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. „ასტონ ვილამ" ბოლო ექვს დღეში სამი მატჩი ჩაატარა. ფეხბურთელები გადაიღალნენ და ველარაფერს გახდნენ. დროდადრო ფლანგიდან საფირმო ჩაწოდებებით **ეშლი იანგი** გვახსენებდა ხოლმე თავს.

შესვენების შემდეგ "ჩელსიმ" ინიციატივა დათმო. „ვილას" სამოქმედოდ უფრო მეტი სივრცე მიეცა. **პეტრ ჩეხს** საქმე გამოუჩნდა. მან რამდენიმე სეივით ისახელა თავი, თუმცა პირველ ტაიმში ჩეხის უხეშ შეცდომას კინაღამ გოლი მოჰყვა: პეტრმა **მილნერის** დარტყმა უხეიროდ მოიგერია. ბურთს **ჰესკი** დაეუფლა, მაგრამ მისი კარში გადაგზავნა ვერ შეძლო.

„ვილას" კართან პირველი მომენტი დროგბამ შექმნა. მან მახვილი კუთხიდან დაარტყა. **ბრედ ფრიდელი** ბურთს ადვილად დაეუფლა. ამასობაში, მე-19 წუთიც დადგა და ანელკამ ანგარიში გახსნა. ნიკოლას „ასტონ ვილასთან" განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს: მან ბირმინგემელებს ბოლო ექვს შეხვედრაში მეექვსე გოლი გაუტანა. საგოლე პასი ლემპარდის ანგარიშზეა. მან ანელკას მცველების ზურგს უკან გაუგორა ბურთი. ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ერთი შეხებით შეაგდო.

„ჩელსიმ" ზეწოლა გააძლიერა. ლემპარდის კუთხურისას, **ტერიმ** ბურთს თავი დაჰკრა. ფრიდელმა კარი თავგანწირული ნახტომით იხსნა. 33-ე წუთზე სტუმართა კარში საჯარიმო დაინიშნა. ეშლი იანგმა ბურთი ხარიხას გაარტყა. ჰესკიმ თავით დაამატა, მაგრამ გვარიანად ააცილა.

შესვენების შემდეგ პირველი მომენტი ისევ „ჩელსიმ" შექმნა. ლემპარდის მორიგ კუთხურს კვლავ ტერი გამოეხმაურა. ამჯერად ფრიდელს **სტილიან პეტროვი** დაეხმარა. მან ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ამას „ასტონ ვილას" გამოცოცხლება მოჰყვა. სტუმართა კართან ორი მომენტი შეიქმნა. **ალექსის** შეცდომით **აგბონლაორმა** ისარგებლა და ძლიერად დაარტყა. ჩეხმა, ფაქტობრივად, მკვდარი ბურთი მოიგერია. ცოტა ხანში მეკარე **ბერის** დარტყმულს გადაელობა.

თამაშის მიწურულს "ჩელსის" მეორე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ჯერ დროგბამ ააცილა, ხოლო შემდეგ ფრიდელმა **ბოსინგვას** ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი უკუაგდო.

„მანჩესტერ იუნაიტედის" სარეკორდო მშრალი სერია დასრულდა. **სერ ალექს ფერგიუსონმა ედვინ ვან დერ სარი** დაასვენა და კარის დაცვა **ტომაშ კუშჩაკს** ანდო. მანჩესტერელთა ახალი რეკორდი 1 334 წუთია, თუმცა პირადად ვან დერ სარის მშრალი სერია ჯერ კიდევ გრძელდება. ჰოლანდიელი ვეტერანი გოლის გაშვებას ჯერ არ აპირებს.

**კრისტიანო რონალდომ** სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მე-60 წუთზე მან საუცხოოდ შეასრულა საჯარიმო და პრემიერლიგაში მე-12 გოლი შეაგდო. შთამბეჭდავად იასპარეზა **უეინ რუნიმაც**. ტრავმის შემდეგ ის გასულ უქმეებზე დაუბრუნდა მინდორს. ერთი კვირის წინ მან „უოტფორდი" დაამწუხრა, ხოლო შაბათს საღამოს – „ბლექბერნი". რონალდოსა და რუნის კარგ თამაშს „ინტერთან" მატჩებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

"ბლექბერნის" თავკაცი **სემ ელერდაისი** მთავარი მსაჯით უკმაყოფილო იყო. მისი აზრით, **ჰოვარდ უებს** მასპინძელთა კარში პენალტი უნდა დაენიშნა, როდესაც **რაფაელმა მორტენ გამსტ პედერსენი** წააქცია. ასე იყო თუ ისე, სამი ქულა „ეშმაკების" აქტივს მიემატა. „იუნაიტედი"მორიგი ტიტულისაკენ სრული სვლით მიიწევს.

ზემოთ რეკორდი ვახსენეთ. მანჩესტერელთა მიღწევას **როკე სანტა კრუსმა** დაუსვა წერტილი. ეს გოლი, შეიძლებოდა, არ გასულიყო. სანტა კრუსს მეტოქის მცველებმა და მეკარემ შეუწყვეს ხელი. ჯერ იყო და **ნანიმ** და **სქოულზმა** მოედნის ცენტრში ბურთი **ანდრე ოოიერს** გაატანეს. ოოიერმა **ევრას** გვერდი აუარა და სანტა კრუსს გაუკეთა პასი. პარაგვაელ თავდამსხმელს **რიო ფერდინანდი** მეურვეობდა. კუშჩაკის კარიდან გამოსვლა სულ არ იყო საჭირო. მაგრამ ის მაინც წინ გამოვარდა, ფერდინანდმა და მან ერთმანეთს შეუშალეს ხელი. სანტა კრუსმა კი ცარიელ კარში შეაგდო...

„არსენალმა" პრემიერლიგაში ზედიზედ მესამე უგოლო ფრე ითამაშა. „მეთოფეების" წაუგებელი სერია 13 მატჩამდე გაიზარდა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია გულშემატკივრისათვის, რომელიც გამარჯვებებს ითხოვს. **ანდრეი არშავინის** დებიუტი უფერული გამოვიდა. რუსმა თავდამსხმელმა, რომელიც „ზენიტიდან" სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გადმოიყვანეს, მხოლოდ ორჯერ შეუტია „სანდერლენდის" კარს - ერთხელ ოდნავ ააცილა, ხოლო მეორედ სტუმართა მეკარემ **მარტონ ფულოპმა** მისი იერიში იოლად უკუაგდო. „არსენალის" საუკეთესო მომენტი **კოლო ტურემ** შექმნა. „მეთოფეების" მცველი თავური დარტყმით შეეცადა მეტოქის დამწუხრებას, მაგრამ სტუმრებმა ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანეს.

გუშინ "ლივერპულმა" „მანჩესტერ სიტისთან" ფრედ ითამაშა, 1:1. ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტურით ადრე, მერსისაიდელები „მანჩესტერ იუნაიტედს" შვიდი ქულით ჩამორჩნენ. **რაფა ბენიტესს** ორი წამყვანი ნახევარმცველი აკლდა: **სტივ ჯერარდმა** მუხლის მოშუშება ვერ მოასწრო, ხოლო **ჩაბი ალონსომ** ხუთი გაფრთხილების გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა. ოთხშაბათს, „ლივერპული" „რეალთან" ლიგის მერვედფინალურ მატჩს მართავს. ჯერარდმა, შესაძლოა, ის მატჩიც გამოტოვოს.

„სიტი" მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაწინაურდა. გოლი „ლივერპულის" ყოფილმა ფორვარდმა **კრეიგ ბელამიმ** შეაგდო, მაგრამ სანამ ბურთი კარის ხაზს გადაკვეთდა, ის მასპინძელთა მცველ **ალვარო არბელოას** შეეხო. მოგეხსენებათ, ინგლისში გოლებს განსაკუთრებული მონდომებით აღრიცხავენ. ამიტომაც ეს ბურთი არბელოას მიეწერა.

**დირკ კუიტმა** თამაშის მიწურულს გაათანაბრა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა სეზონის მეცხრე გოლი შეაგდო. მან ლივერპულელთა 14-თვიანი წაუგებელი საშინაო სერია გადაარჩინა. მსაჯისა საფინალო სასტვენისას, „ენფილდი" სანახევროდ დაცარიელებული იყო. მერსისაიდელ გულშემატკივარს, როგორც ჩანს, არც ამ სეზონში უწერია საჩემპიონო თასის ხილვა.

**შალვა ბიბილაშვილი**

მომდევნო ტური

28 თებერვალი. ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი, არსენალი-ფულჰემი, ჩელსი-უიგანი, მიდლსბრო-ლივერპული; 1 მარტი. ჰალ სიტი-ბლექბერნი, ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი, ბოლტონი-ნიუკასლი, ასტონ ვილა-სტოკ სიტი.

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!

ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.

კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27

ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

## ასტონ ვილა-ჩელსი 0:1

**ვილა:** ფრიდელი, კერტის დევისი (70. ქერიუ), ნაიტი, ლუკ იანგი, ხიმენესი, ბერი, სტილიან პეტროვი, ეშლი იანგი, მილნერი, აგბონლაორი, ჰესკი.

**ჩელსი:** ჩეხი, ჯონ ტერი, ალექსი, პაულუ ფერეირა, ბოსინგვა, ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, ანელკა, დროგბა (90. ბელეტი), კალუ (55. დეკუ).

**გოლები:** 0:1 ანელკა (19).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(4)-19(7); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 6-12; **ბურთის ფლობა:** 40%-61%.

**მაყურებელი:** 42 585

## არსენალი-სანდერლენდი 0:0

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, კლიში (85. გიბსი), სანია, დენილსონი, სონგი (78. ებუე), ნასრი, არშავინი (63. ველა), ვან პერსი, ბენდტნერი.

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინსი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ბენ-ჰაიმი, ტაინიო (76. ლიდბიტერი), უაითჰედი, რიჩარდსონი, რიდი (78. დერილ მერფი), მალბრანკი, ჯოუნსი (89. ედვარდსი).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(7)-3(2); **ჯარიმა:** 7-12; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 60 104

## ბოლტონი-ვესტ ჰემი 2:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, პოუგრენიე (73. ენდრიუ ობრაიენი), გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მაკენი, მარკ დევისი, რიკარდო გარდნერი, მეთიუ ტეილორი, ელმანდერი (76. მუამბა), კევინ დევისი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი (16. ტომკინსი), ილუნგა, სპექტორი (85. სიერსი), ნობლი, პარკერი, კოლისონი (62. ნსერეკო), ბეჰრამი, დი მიკელე, კარლტონ კოული.

**გოლები:** 1:0 მეთიუ ტეილორი (10), 2:0 კევინ დევისი (11), 2:1 პარკერი (66).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(3)-13(3); **ჯარიმა:** 8-9; **კუთხური:** 3-8; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 21 245

## მიდლსბრო-უიგანი 0:0

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, ჰუთი, უიტერი, პოგატეცი, ჰოიტი, არკა (53. ალიადიერი), დიგარდი (24. უოქერი), ადამ ჯონსონი (62. თუნჯაი), ონილი, აფონსო ალვეში, დაუნინგი.

**უიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, მაიკლ ბრაუნი, კატერმოული, ნზოგბია, უოტსონი, კაპო (62. როდალიეგა), ზაქი (76. სიბირსკი).

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 6(2)-16(3); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 24 020

## სტოკ სიტი-პორტსმუთი 2:2

**სტოკი:** სორენსენი, ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, უილკინსონი, ამდი ფაიე, დიაო, პიუ, ლორენსი (67. ტონგე), სიდიბე (84. კრესველი), ბიტი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, სოლ კემპბელი, ჰრეიდარსონი, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, ბასინასი (72. მულინსი), კრანჩარი (89. კანუ), ნაჯენტი (89. ბელჰაჯი), პენანტი, კრაუჩი.

**გოლები:** 0:1 კრანჩარი (75), 1:1 ბიტი (78-პენ), 2:1 ბიტი (80), 2:2 შოკროსი (90-საკ.კარში).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 8(2)-9(3); **ჯარიმა:** 8-11; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 25 560

## მანჩესტერ იუნ.-ბლექბერნი 2:1

**იუნაიტედი:** კუშჩაკი, ევანსი (61. ვიდიჩი), ფერდინანდი, ევრა, რაფაელი, სქოულზი (82. გიგზი), ქერიკი, ნანი (61. ტევესი), რონალდო, ბერბატოვი, რუნი.

**ბლექბერნი:** რობინსონი, ჟივე, ნელსენი, უორნოკი, ოოიერი, დანი (74. თუგაი), ენდრიუსი, გრელა (79. მაკარტი), პედერსენი, დიუფი (83. ტრისი), სანტა კრუსი.

**გოლები:** 1:0 რუნი (23), 1:1 სანტა კრუსი (32), 2:1 რონალდო (60).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(3)-15(3); **ჯარიმა:** 8-21; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 75 000

## ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი 2:0

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, დენი მერფი (85. დაკური), ეტუჰუ, დემპსი, საიმონ დევისი, ზამორა (81. კამარა), ენდრიუ ჯონსონი (81. ნევლანდი).

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, მეიტე, ბარნეტი, რობინსონი, ცუიველოონი, ბორხა ვალერო, მორისონი (77. მენსეგესი), ფელიპე ტეიშეირა (51. ბრანტი), კორენი, სიმპსონი, მარკ ანტუან ფორჩუნი (81. ბედნარი).

**გოლები:** 1:0 ზამორა (61), 2:0 ენდრიუ ჯონსონი (72).

*90-ე წუთზე ბედნარმა ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 23(6)-12(6); **ჯარიმა:** 12-10; **კუთხური:** 12-4; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 22 394

## ლივერპული-მანჩესტერ სიტი 1:1

**ლივერპული:** რეინა, შკრტელი, კარაგერი, დოსენა (76. აურელიო), არბელოა, მასკერანო (83. ბაბელი), ლუკასი, რიერა (63. ელ ზარი), ბენაიუნი, ფერნანდო ტორესი, კუიტი.

**სიტი:** გივენი, ონუოა, რიჩარდ დანი, ბრიჯი, რიჩარდსი, დე იონგი, საბალეტა, კომპანი, რობინიო (88. ფელიპე), ბელამი, ირლანდი.

**გოლები:** 0:1 არბელოა (49-საკ.კარში), 1:1 კუიტი (78).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 23(3)-10(3); **ჯარიმა:** 10-14; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 44 259

## ნიუკასლი-ევერტონი 0:0

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ბასონგი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, სტივ ტეილორი, ნოლანი, ბატი, დაფი (46. გუტიერესი), რაიან ტეილორი, ამეობი (58. მარტინსი), ლიოვენკრანდსი (77. სმიტი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, იობო, ბაინესი, ჟაგიელკა, არტეტა (7. კასტილიო), როდველი, გოსლინგი (74. საა), ფილ ნევილი, ჟო, ანიჩებე (46. ფელაინი).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 5(0)-14(5); **ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 0-6; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 47683

**ჰალ სიტი-ტოტენჰემი** *დღეს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 26 | 19 | 5 | 2 | 46-11 | 62 |
| 2. ლივერპული | 26 | 15 | 10 | 1 | 43-18 | 55 |
| 3. ჩელსი | 26 | 15 | 7 | 4 | 45-15 | 52 |
| 4. ასტონ ვილა | 26 | 15 | 6 | 5 | 40-25 | 51 |
| 5. არსენალი | 26 | 12 | 9 | 5 | 38-25 | 45 |
| 6. ევერტონი | 26 | 11 | 8 | 7 | 34-28 | 41 |
| 7. უიგანი | 26 | 9 | 8 | 9 | 26-24 | 35 |
| 8. ფულჰემი | 25 | 8 | 9 | 8 | 24-22 | 33 |
| 9. ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 33 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 26 | 9 | 5 | 12 | 43-35 | 32 |
| 11. სანდერლენდი | 26 | 8 | 7 | 11 | 27-33 | 31 |
| 12. ბოლტონი | 26 | 9 | 3 | 14 | 29-38 | 30 |
| 13. ჰალ სიტი | 25 | 7 | 8 | 10 | 31-46 | 29 |
| 14. ნიუკასლი | 26 | 6 | 10 | 10 | 33-42 | 28 |
| 15. პორტსმუთი | 26 | 7 | 7 | 12 | 29-43 | 28 |
| 16. ტოტენჰემი | 25 | 6 | 7 | 12 | 26-31 | 25 |
| 17. სტოკ სიტი | 26 | 6 | 7 | 13 | 23-42 | 25 |
| 18. ბლექბერნი | 25 | 5 | 8 | 12 | 28-42 | 23 |
| 19. მიდლსბრო | 26 | 5 | 8 | 13 | 18-36 | 23 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 26 | 6 | 4 | 16 | 24-49 | 22 |

**ბომბარდირები:** 15 – ანელკა (ჩელსი); 12 – კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 – რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 – ზაქი (უიგანი), დეფო (პორტსმუთი/ტოტენჰემი), აგბონლაორი (ასტონ ვილა); 9 – დარენ ბენტი (ტოტენჰემი), სისე (სანდერლენდი), ლემპარდი (ჩელსი), ჯერარდი (ლივერპული), კევინ დევისი (ბოლტონი), ვან პერსი (არსენალი).

## ჩემპიონშიპი. XXXIV ტური

**ნოტინგემი-დერბი 1:3**

**გოლები:** 0:1 ნიატანგა (5), 0:2 ჰალსი (47), 0:3 შონ დევისი (67-პენ), 1:3 ერნშო (87).

**ბარნსლი-ჩარლტონი 0:0**

**ბლექპული-უოტფორდი 0:2**

**გოლები:** 0:1 უილიამსონი (54), 0:2 პრისკინი (85).

**ქოვენთრი-ბირმინგემი 1:0**

**გოლი:** 1:0 დენი (2).

**ნორვიჩი-ბარნლი 1:1**

**გოლები:** 1:0 კიურტონი (20), 1:1 ტომპსონი (36).

**პლიმუთი-შეფილდ იუნ. 2:2**

**გოლები:** 1:0 ფლეტჩერი (49), 1:1 უებერი (63), 2:1 გალაგერი (70), 2:2 ჰალფორდი (72).

**რედინგი-ბრისტოლი 0:2**

**გოლები:** 0:1 ადებოლა (26), 0:2 სკუსი (48).

**შეფილდ უენ.-კრ.პალასი 2:0**

**გოლები:** 1:0 მაკალისტერი (80), 2:0 კლარკი (90).

**საუთჰემპტონი-პრესტონი 3:1**

**გოლები:** 1:0 სურმენი (19), 2:0 საგანოვსკი (29), 3:0 საგანოვსკი (42), 3:1 უოლესი (73).

**სუონსი-დონკასტერი 3:1**

**გოლები:** 0:1 კოპინგერი (11), 1:1 სკოტლანდი (28-პენ), 2:1 გომესი (71), 3:1 გომესი (90).

**გაძევება:** ველენსი (85. დონკასტერი)

**ქუინზ პარკი-იფსვიჩი 1:3**

**გოლები:** 1:0 კარმინი (3), 1:1 სტიდი (14), 1:2 კუნაგო (61), 1:3 უოლტერსი (70).

**ვულვერჰემპტონი-კარდიფი 2:2**

**გოლები:** 1:0 ებანს-ბლეიკი (11), 1:1 ჩოპრა (31), 1:2 ჯონსონი (48), 2:2 კონსტანტოპულოსი (81-საკ.კარში).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტონი | 34 | 19 | 7 | 8 | 66-45 | 64 |
| 2. ბირმინგემი | 33 | 17 | 9 | 7 | 40-29 | 60 |
| 3. რედინგი | 32 | 17 | 8 | 7 | 58-28 | 59 |
| 4. ბრისტოლი | 34 | 14 | 11 | 9 | 44-37 | 53 |
| 5. პრესტონი | 34 | 15 | 8 | 11 | 45-42 | 53 |
| 6. კარდიფი | 30 | 13 | 13 | 4 | 43-28 | 52 |
| 7. შეფილდ იუნ. | 33 | 14 | 10 | 9 | 45-31 | 52 |
| 8. ბარნლი | 34 | 14 | 10 | 10 | 47-46 | 52 |
| 9. სუონსი | 33 | 12 | 15 | 6 | 49-36 | 51 |
| 10. იფსვიჩი | 34 | 13 | 11 | 10 | 48-37 | 50 |
| 11. ქუინზ პარკი | 32 | 12 | 11 | 9 | 34-32 | 47 |
| 12. შეფილდ უენ. | 34 | 12 | 9 | 13 | 36-45 | 45 |
| 13. ქოვენთრი | 33 | 11 | 11 | 11 | 37-39 | 44 |
| 14. კრ.პალასი | 31 | 12 | 7 | 12 | 42-37 | 43 |
| 15. დერბი | 32 | 11 | 8 | 13 | 40-43 | 41 |
| 16. დონკასტერი | 33 | 11 | 7 | 15 | 27-38 | 40 |
| 17. ბლექპული | 34 | 9 | 11 | 14 | 34-48 | 38 |
| 18. უოტფორდი | 32 | 10 | 6 | 16 | 46-53 | 36 |
| 19. ბარნსლი | 32 | 10 | 6 | 16 | 30-41 | 36 |
| 20. პლიმუთი | 34 | 9 | 9 | 16 | 31-44 | 36 |
| 21. ნოტინგემი | 34 | 8 | 10 | 16 | 36-50 | 34 |
| 22. ნორვიჩი | 34 | 8 | 9 | 17 | 44-53 | 33 |
| 23. საუთჰემპტონი | 33 | 7 | 10 | 16 | 32-51 | 31 |
| 24. ჩარლტონი | 33 | 6 | 8 | 19 | 34-55 | 26 |

## I ლიგა

ბრისტოლი-ლესტერი 0:1, კარლაისლი-სტოკპორტი 1:2, კოლჩესტერი-საუთენდი 0:1, ქრუ-ჰადერსფილდი 3:1, ჰარტლპული-ლეიტონი 0:1, ჰერეფორდი-პიტერბორო 0:1, ლიდსი-ჩელტენჰემი 2:0, მილუოლი-ბრაიტონი 0:1, ნორთჰემპტონი-უოლსოლი 0:2, სვინდონი-სკანთორპი 4:2, ტრანმერი-მილტონი 1:1, იოვილი-ოლდჰემი 2:2.

## II ლიგა

ჩესტერფილდი-ბორნმუთი 1:0, პორტ ვეილი-ლინკოლნი 0:1, აქრინგტონი-დაგენჰემი 0:0, ოლდერშოტი-მორკომბი 0:2, ბარნეტი-ბრედფორდი 4:1, ბერი-ნოთს ქაუნთი 2:0, ჩესტერი-ექსეტერი 0:0, დარლინგტონი-გრიმსბი 1:0, ჯილინგემი-მაკლსფილდი 3:1, ლუტონი-შრუსბერი 3:1, როდჩეილი-ბრენტფორდი 1:2, უიკომბი-როტერჰემი დღეს.

## კონფერენსი

ოლტრინჩემი-უოქინგი 1:0, ბაროუ-გრეისი 1:1, ქროული-სელისბერი 0:3, ჰისტონი-ისტბორნი 3:3, კეტერინგი-ტორკი 2:1, ლიუისი-კამბრიჯი 0:2, ოქსფორდი-მანსფილდი 1:0, ვიმუთი-რაშდენი 0:9, იორკი-ოქსფორდი გადაიდო.

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური



კურანის ფანტასტიკური გოლი რურის დერბიში

# 20 წლის შემდეგ...

## დაუმის ისტორიული დღე. ბაიერნმა ისევ წააგო, ახალი ლიდერი ჰამბურგია

პარასკევს რურის რიგით 133-ე დიდ დერბის, წესით, ბევრი რამ უნდა გაერკვია, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რომელიმე გუნდი გაიმარჯვებდა. თუ „შალკე" მოიგებდა, გელზენკირხენული კლუბის მენეჯერი **ანდრეას მიულერი** და მწვრთნელი **ფრედ რუტენი** შვებით ამოისუნთქავდნენ, ხოლო თუ „დორტმუნდი" იმარჯვებდა, ორივე მათგანი უმუშევარი დარჩებოდა. ასეთი იყო „შალკეს" მთლად მთავარი შეფების ულტიმატუმი. მაგრამ შეხვედრაში ფრე დაფიქსირდა და ხსენებულმა დუეტმა ვერც შვებით ამოისუნთქა და არც უმუშევრები დარჩნენ - მოკლედ, არც მწვადი დაიწვა და არც შამფური, „შალკე" კი კრიზისულ ვითარებაში დარჩა. არადა, **ლევან კობიაშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა პირველ ტაიმში მართლაც შესანიშნავად ითამაშეს. თამამად ვიტყვით, რომ ასეთი მონდომებული, შემართული და რაც მთავარია, აზრიანად მოთამაშე „შალკე" ძალიან დიდი ხანია, აღარ გვინახავს. პირველ ტაიმში შესანიშნავი იყო კობიაშვილიც, რომელიც მარცხენა მცველის რანგში გელზენკირხენელთა შეტევების უმეტესობას (!) უძღვებოდა და თავდადებით იბრძოდა. სხვათა შორის, დიდი ხანია, ასეთი კობიც აღარ გვინახავს. ბოლო დროს მუდმივად დეპრესიაში მყოფმა **კევინ კურანიმ** კი მე-20 წუთზე ისეთი გოლი გაიტანა, ავ თვალს რომ არ დაენახვება - **ჰალილ ალთინთოფის** ჩაწოდებას ისეთი მაკრატელა დაუხვედრა, მხოლოდ „აუფ შალკეს" 62 000-იანი პუბლიკა კი არა, თვითონაც გაოგნებული გახლდათ, ნუთუ ასეთი გენიალური გოლი მე გავიტანეო. აღსანიშნავია, რომ მეათე წუთზე ჯალათმა **კევინ პრინც ბოატენგმა მლადენ კრსტაიჩს** სერიოზული ტრავმა მიაყენა. რუტენმა კი უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ მცველის ნაცვლად მოედანზე მეოთხე თავდამსხმელი ჰალილ ალთინთოფი შეუშვა. პრინციპში, მას დიდი არჩევანი არც ჰქონია - სათადარიგოთა სკამზე ერთადერთი ცენტრალური მცველი, **ლევან ყენიას** ასაკის გამოუცდელი **კარლოს სამბრანო** ეჯდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, „შალკემ" მაინც გაუშვა ხელიდან იმის შანსი, რომ კრიზისიდან გამოსულიყო. ხუმარები 81 წუთის განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში გაცილებით პასიურები იყვნენ (კობიაშვილის ჩათვლით), რის გამოც, საპასუხო გოლი ნამდვილად დაიმსახურეს. ხსენებულ დროს კი, დორტმუნდელთა თავკაცი **იურგენ კლოპის** ჯოკერმა **მოჰამედ ზიდანმა** შალკელი მცველების გაურკვევლობაში ყოფნით ისარგებლა და **მანუელ ნოიერს** ბურთი მისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში ჩაუჭედა. *„იმედგაცრუებული ვარ, მთელი მატჩის განმავლობაში ვდომინირებდით და სადავეები ჩვენს ხელთ იყო,"* - განრისხებული იყო ნამატჩევს რუტენი. *„შალკემ" გვაჯობა, მაგრამ ჩვენ უფრო ჭკვიანები აღმოვჩნდით. შედეგით კმაყოფილი ვარ,"* - ეს კი კლოპის სიტყვებია, რომელიც საფინალო სასტვენის შემდეგ ალვირახსნილ ბოატენგს ანუგეშებდა. ნუგეშს კი ეს ბიჭი მართლაც საჭიროებს - თამაში ისე არ ჩაივლის, რომ მისმა ფეხების უაზრო, ჯალათურმა ქნევამ სკანდალი არ გამოიწვიოს. ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე საკმაოდ საფუძვლიანად დაეჭვდნენ, მაგ ბიჭს ემანდ ტვინში ხომ არაფერი უჭირსო...

აქვე ერთი საინტერესო დეტალიც: 2006 წელს დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონიდან" გუნდის სული და გული, უდიდესი ბანერი გაქრა. ეჭვები იმის შესახებ, რომ ის „შალკეს" ფანებმა მოიპარეს, პარასკევს დადასტურდა: გელზენკირხენელებმა უდიდესი ბანერის ერთი ნაწილი ტრიბუნაზე გაშალეს და ნაფლეთებად აქციეს, რითაც ფაქტობრივად „დორტმუნდის" ქომაგებს სულში ჩააფურთხეს. და უნდა გენახათ, რა ამბავი იყო ზიდანის გოლის შემდეგ დორტმუნდელი ფანების ბლოკში...

„ბაიერნის" წაგებების სერია კი... დიახ, გაგრძელდა! რაც არ უნდა გასაოცრად ჟღერდეს, ბავარიელებმა საკუთარ „ალიანს არენაზე" „კიოლნთან" წააგეს: 1:2! და ალბათ მართლები ვიყავით, შაბათს, ტურის წინათქმაში რომ ვივარაუდეთ, რომ შესაძლებელი იყო, „ბაიერნი" ვერ ყოფილიყო მთლად 100 პროცენტით კონცენტრირებული - წინ ხომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალია (რეკორდმაისტერი ლისაბონში ჩადის). **კრისტოფ დაუმისთვის** ეს იყო რიგით 150-ე მატჩი „კიოლნის" თავკაცის რანგში და ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად გამოცდილმა მწვრთნელმა კარიერაში პირველად შეძლო მიუნხენური გიგანტის დამარცხება. *„20 წელი დამჭირდა იმისათვის, რომ „ბაიერნი" დამემარცხებინა. ბედნიერი ვარ!"* - გახარებული იყო დაუმი. ყველასათვის მოულოდნელად, კრისტოფმა 20 წლის ვინმე **დანიელ ბროზინსკი** ათამაშა, რომელიც „თხებმა" „კარლსრუეს" მეორე გუნდიდან გადაიყვანეს და ნახეთ, გადამწყვეტი გოლი სწორედ ამ ფეხბურთელის ანგარიშზეა, რომელსაც საფინალო სასტვენის შემდეგ, თვითონაც არ სჯეროდა, რომ „ბაიერნის" კარში გაიტანა გოლი, რომელმაც მის გუნდს „ალიანს არენაზე" მოაგებინა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩის დასრულების შემდეგ დაუმი **კლინსმანთან** მივიდა და დაუყვავა, ანუგეშა, მერე კი თქვა, ზოგადად ასეთი რამ არ მჩვევია, მაგრამ კლინსის კარგად მესმის, მძიმე მდგომარეობაშია და მეცოდებაო. ასეთია კრისტოფ დაუმი და ნუთუ ვცდებით, როცა ვფიქრობთ, რომ ამით მან თავის სიძლიერეს, კლინსმანზე უპირატესობას გაუსვა ხაზი?

კლინსიმ კი **ლუსიო** დაასვენა და ძალიანაც მიქარა, რადგან „კიოლნის" ორივე გოლი „ბაიერნის" ცენტრალური მცველების სინდისზეა. ძალიან ცუდად ითამაშა **ლუკას პოდოლსკიმ** და საკითხავია, ან „კიოლნს" რაღაში სჭირდება ეს ფეხბურთელი? *„ამ „ბაიერნს" უბრალოდ ყველაფერი აკლია, აგრესიულობა, გამართული ტაქტიკა, ფეხბურთელები ერთმანეთს ვერ უგებენ. ასეთი დაცვით უნდა კლინსმანს თუნდაც ბუნდესლიგის მოგება? აღარაფერს ვამბობ ჩემპიონთა ლიგაზე. არ მესმის, რატომ აჩერებენ გუნდში მარტინ დემიკელისს,"* - ცოფებს ყრიდა ლეგენდარული ბავარიელი **შტეფან ეფენბერგი**. ნამატჩევს, ფანებთან მადლობის გადასახდელად მხოლოდ **რენზინგი, ვან ბომელი** და **ბოროვსკი** მივიდნენ... ტრიბუნებიდან კი მხოლოდ სტვენა ისმოდა.

„შტუტგარტმა" და „ჰოფენჰაიმმა" „მერსედეს ბენც არენაზე" ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს: 3:3. წინა ტურებთან შედარებით, „ჰოფე" აშკარად გამოსწორდა, მაგრამ **რალფ რანგნიკს** დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს და რაც არ უნდა იყოს, „სოფლელებმა" ისევ ვერ მოიგეს. **ვედად იბიშევიჩის** არყოფნაში კი გუნდის ნომერ პირველი ბომბარდირი **დება ბაა**, რომელმაც შვაბებთან ჰეთ-თრიკი შეასრულა. ერთი კვირის წინ სენსაციურად გალიდერებულ ბერლინელებს, როგორც მოსალოდნელი იყო, **ფელიქს მაგათის** „მგლებმა" კარგი გაკვეთილი ჩაუტარეს - ფაქტია, რომ წელს ყველაზე სტაბილური გუნდი სწორედ „ვოლფსბურგია". გუშინ კი, „ჰამბურგმა" სტუმრად „ლევერკუზენის" დამარცხება შეძლო და ახლა სატურნირო ცხრილს სათავეში **მარტინ იოლის** შეგირდები უდგანან. ამიერიდან ჩრდილოგერმანელები ეცდებიან ლიდერობის დიდხანს შენარჩუნებას, მაგრამ ბუნდესლიგის ეს სეზონი ისე მიმდინარეობს, რომ რთული დასაჯერებელია, ჰამბურგელებმა ეს შეძლონ.

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

27 თებერვალი. კიოლნი-არმინია. 28 თებერვალი. აინტრახტი-შალკე, ჰანოვერი-ლევერკუზენი, ბოხუმი-კოტბუსი, ჰერტა-ბორუსია (მ), ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი. 1 მარტი. ვერდერი-ბაიერნი, ჰამბურგი-ვოლფსბურგი, კარლსრუე-შტუტგარტი.

### შალკე-ბორუსია (დ) 1:1

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3, ჰიოვედესი-2.5, კრსტაიჩი (10. ჰალილ ალთინთოფი-3.5), კობიაშვილი-3, ჯონსი-2, ვესტერმანი-4, ენგელაარი-3, ფარფანი-4, კურანი-2, ასამოა-4.5.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, ოვომოიელა-3, სუბოტიჩი-4, სანტანა-5, შმელცერი-4.5, კრინგე-5 (75. კულმანი), კელი-4, ნ. შაჰინი-4, კ. ბოატენგი-5 (46. ზიდანი-2.5), ჰაინალი-4.5, ფრაი-5 (58. ვალდესი-3.5).

**გოლები:** 1:0 კურანი (20), 1:1 ზიდანი (81).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 10(2)-7(2); **ჯარიმა:** 10-24; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 61 673

### კოტბუსი-ვერდერი 2:1

**კოტბუსი:** ტრემელი-2, პავიჩევიჩი-3.5, ბურკა-3, კვიტანოვიჩი-3.5, რადელიჩი-3.5, ტ. როსტი-3, ს. ანგელოვი-4, სკელა-3 (81. რივიჩი), ილიევი-2.5 (77. რაინოხი), რანგელოვი-2.5 (92. დ. სიორენსენი), იულა-4.

**ვერდერი:** ფანდერი-3.5, კ. ფრიტცი-4.5, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-4, ბიონიში-4, ბაუმანი-4, ფრინგსი-3, დ. იენსენი-5 (67. იოზილი-3), დიეგო-4, როზენბერგი-5 (71. ჰარნიკი), უგო ალმეიდა-3.

**გოლები:** 0:1 უგო ალმეიდა (46), 1:1 ილიევი (51), 2:1 რანგელოვი (90).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 11(4)-23(9); **ჯარიმა:** 18-18; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 14 780

### ბორუსია (მ)-ჰანოვერი 3:2

**ბორუსია (მ):** ბეილი-3, გოჰური-2, დაემსი-3, სტალტერი-3.5, დორდა-5 (24. ლეველსი-3), გალაშეკი-4, ბრედლი-4, ბაუმიოჰანი-2.5, მატმური-4 (89. ბრაუერსი), მარინი-2.5 (71. ნოივილი), ფრენდი-4.

**ჰანოვერი:** ენკე-3, ს. პინტუ-3 (86. ჩერუნდოლო), ფარენჰორსტი-4, კ. შულცი-3.5, ტარნატი-4, ანდრეასენი-3.5, ბალიტში-4 (46. შლაუდრაფი-3.5), შტაინერი-3.5, ბრუგინკი-3, კრჟინოვეკი-4.5 (62. ციზო-3.5), ფორსელი-5.

**გოლები:** 1:0 ბაუმიოჰანი (36), 2:0 მარინი (43), 2:1 ს. პინტუ (53), 2:2 კ. შულცი (77), 3:2 ნოივილი (83).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 19(5)-10(2); **ჯარიმა:** 25-16; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 36 166

### კარლსრუე-აინტრახტი 0:1

**კარლსრუე:** მ. მილერი-3.5, ა. გიორლიტცი-3, დრპიჩი-3.5, ბუკი-4.5, ჩელოზი-3, ენგელჰარდტი-4 (79. კაპლანი), ტიმი-5 (57. ზალიკი-3.5), ა. და სილვა-3.5, შტინდლი-3 (76. იაშვილი), ფედერიკო-5, ფრაისი-5.

**აინტრახტი:** პრიოლი-3.5, პ. ოხსი-3, რუსი-3.5, ბელაიდი-4, პეტკოვიჩი-4.5 (46. კაიო-2.5), მ. ფინკი-3.5, ინამოტო-3.5, მაჰდავიკია-5 (75. შტაინჰიოფერი), კიოლერი-3.5, ფენინი-4.5, ლიბეროპულოსი-4 (89. ა. მაიერი).

**გოლი:** 0:1 კაიო (54).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(1)-11(2); **ჯარიმა:** 19-22; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 27 623

### ვოლფსბურგი-ჰერტა 2:1

**ვოლფსბურგი:** ლენცი-4.5, პეკარიკი-3, შიმუნეკი-3.5, ბარძალი-2.5, კარიმოვი-3.5 (61. ესვაინი-3.5), მადლუნგი-4 (68. ოკუბო-4), ჟოსუე-3, გენტნერი-2.5, მიშიმოვიჩი-4.5 (78. ჰასებე), მ. შეფერი-3, ჯეკო-2.

**ჰერტა:** დრობნი-4, მ. შტაინი-4.5 (87. ხერმიტი), ა. ფრიდრიხი-2.5, შიმუნიჩი-2, როდნეი-4, დარდაი-3 (87. დომოვჩიისკი), სისერო-2.5, ებერტი-3 (72. ბაბიჩი), ნიკუ-4.5, რაფაელი-4.5, ვორონინი-4.

**გოლები:** 0:1 სისერო (62), 1:1 ჯეკო (72), 2:1 ჯეკო (84).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(4)-11(3); **ჯარიმა:** 16-15; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 29 300

### არმინია-ბოხუმი 1:1

**არმინია:** აილჰოფი-2, ლამეი-3, მიატოვიჩი-3.5, კუჩერა-4.5, შულერი-3.5, კაუფი-4, ტ. მარქსი-4 (78. ზადიკი), კირხი-4.5 (68. მუნტეანუ-4), კატონგო-4.5, კამპერი-3, ვიხნიარეკი-4.5.

**ბოხუმი:** ფერნანდესი-3.5, ო. შრიოდერი-3.5, პფერტცელი-3.5, მავრაი-3.5, კ. ფუხსი-3, დაბროვსკი-4, იმჰოფი-4, აზაუაგი-3 (89. ფაბიანი), გროტე-3.5 (81. ფრაიერი), ეპალე-3.5 (73. ონო), კლიმოვიჩი-3.5.

**გოლები:** 0:1 კლიმოვიჩი (30), 1:1 მიატოვიჩი (83).

**გაძევება:** კლიმოვიჩი (86. ბოხუმი).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 19(3)-14(4); **ჯარიმა:** 15-20; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 20 200

### შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი 3:3

**შტუტგარტი:** ლემანი-4, ოსორიო-3, ტასკი-4, ბულარუზი-5, ბოკა-3 (30. მანინი-5), ხედირა-3.5, ჰიტცლშპერგერი-4, ჰილბერტი-4, შიმაკი-3.5 (71. ლანიგი), გომესი-1.5, კაკაუ-3 (83. მარიკა).

**ჰოფენჰაიმი:** დ. ჰაასი-3.5, ბეკი-4, იაისლე-4.5, კომპერი-3.5, იბერტსბერგერი-4.5, ფორსა-3, სალიჰოვიჩი-5, ლუის გუსტავო-3.5 (68. ტერაცინო-3.5), ვაისი-3.5 (68. სანოგო-3.5), კარლოს ედუარდო-4, ბა-1 (77. ტებერი).

93-ე წუთზე სალიჰოვიჩმა (ჰოფენჰაიმი) ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

**გოლები:** 0:1 ბა (24), 1:1 კაკაუ (26), 2:1 გომესი (31), 2:2 ბა (45), 3:2 გომესი (63), 3:3 ბა (67).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 12(5)-13(6); **ჯარიმა:** 30-21; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 54 000

### ბაიერნი-კიოლნი 1:2

**ბაიერნი:** რენზინგი-3, ოდო-3.5, დემიკელისი-5, ვან ბუიტენი-4.5, ლაჰმი-4.5, ვან ბომელი-3.5, ზე რობერტო-4.5 (65. ბოროვსკი-4), შვაინშტაიგერი-5 (46. ჰამით ალთინთოფი-3), რიბერი-3.5, კლოზე-3.5, პოდოლსკი-5 (46. დონოვანი-4.5).

**კიოლნი:** მონდრაგონი-2, ბრეჩკო-3, გერომელი-2, მაკენა-2.5, მატიპი-3, პეტიტი-3.5, პეცონი-4, ბროზინსკი-2.5 (76. სანუ), ერეთი-2.5 (85. ბროიხი), ვუჩიჩევიჩი-2 (90. ბოატენგი), ნოვაკოვიჩი-3.

**გოლები:** 0:1 ერეთი (22), 0:2 ბროზინსკი (34), 1:2 ვან ბუიტენი (84).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 24(5)-14(4); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 69 000

### ლევერკუზენი-ჰამბურგი 1:2

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ენრიკე, კადლეცი, როლფესი, რენატო, ვიდალი (79. ხარისტეასი), ბარნეტა (79. დუმი), ჰელმესი, კისლინგი.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი (60. ჯ. ბოატენგი), გრავგაარდი (45+1. ბენჯამინი), მატიისენი, აოგო, ალექს სილვა, იაროლიმი, ტროხოვსკი, იანსენი, გერერო, ოლიჩი (88. ტავარესი).

**გოლები:** 0:1 იანსენი (18), 1:1 ჰელმესი (29), 1:2 იანსენი (66).

**გაძევება:** ჯ. ბოატენგი (86. ჰამბურგი).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 12(3)-9(4); **ჯარიმა:** 16-16; **კუთხური:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 33-28 | 42 |
| 2. ჰოფენჰაიმი | 21 | 12 | 4 | 5 | 49-31 | 40 |
| 3. ჰერტა | 21 | 12 | 4 | 5 | 33-25 | 40 |
| 4. ბაიერნი | 21 | 11 | 5 | 5 | 44-30 | 38 |
| 5. ლევერკუზენი | 21 | 11 | 3 | 7 | 44-29 | 36 |
| 6. ვოლფსბურგი | 21 | 10 | 6 | 5 | 42-27 | 36 |
| 7. შტუტგარტი | 21 | 9 | 6 | 6 | 38-31 | 33 |
| 8. ბორუსია (დ) | 21 | 7 | 11 | 3 | 31-25 | 32 |
| 9. შალკე | 21 | 8 | 7 | 6 | 27-20 | 31 |
| 10. კიოლნი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-29 | 28 |
| 11. ვერდერი | 21 | 7 | 6 | 8 | 42-34 | 27 |
| 12. აინტრახტი | 21 | 6 | 5 | 10 | 27-35 | 23 |
| 13. ჰანოვერი | 21 | 5 | 6 | 10 | 27-41 | 21 |
| 14. კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 18-34 | 20 |
| 15. არმინია | 21 | 3 | 10 | 8 | 19-32 | 19 |
| 16. ბოხუმი | 21 | 3 | 9 | 9 | 24-34 | 18 |
| 17. კარლსრუე | 21 | 5 | 2 | 14 | 18-37 | 17 |
| 18. ბორუსია (მ) | 21 | 4 | 4 | 13 | 23-41 | 16 |

**ბომბარდირები:** 18 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 16 - ჰელმესი (ლევერკუზენი); 13 - გომესი (შტუტგარტი); 12 - ვიხნიარეკი (არმინია), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), გრაფიტე (ვოლფსბურგი); 11 - პისარო (ვერდერი), ბა (ჰოფენჰაიმი); 10 - ჯეკო (ვოლფსბურგი); 9 - პეტრიჩი (ჰამბურგი), კისლინგი (ლევერკუზენი), კლოზე (ბაიერნი), ტონი (ბაიერნი).

### II ბუნდესლიგა

#### XXI ტური

**მაინცი-ჰანზა 3:1**

**გოლები:** 1:0 ფოილნერი (17), 1:1 ფილინგერი (40), 2:1 ბანჩე (77), 3:1 ბანჩე (79).

**ინგოლშტადტი-ალემანია 0:0**

**ფრაიბურგი-აუგსბურგი 1:0**

**გოლი:** 1:0 იდრისუ (56).

**კობლენცი-ფიურტი 3:0**

**გოლები:** 1:0 სუკალო (34), 2:0 სუკალო (44), 3:0 შტიბერი (57).

**ნიურნბერგი-ვეენი 1:0**

**გოლი:** 1:0 აიგლერი (70).

**დუისბურგი-მიუნხენ 1860 4:1**

**გოლები:** 1:0 კუემაა (7), 2:0 კუემაა (35), 3:0 მაკიადი (70), 3:1 შეფლერი (72), 4:1 კუემაა (76).

**ფრანკფურტი-ოსნაბრიუკი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნოლი (91).

**ალენი-ობერჰაუზენი 1:3**

**გოლები:** 0:1 კაია (43), 0:2 ტერანოვა (64), 1:2 გროსკროიტცი (67), 1:3 კაია (82).

**ზტ. პაული-კაიზერსლაუტ.** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრაიბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 36-20 | 42 |
| 2. მაინცი | 21 | 11 | 6 | 4 | 42-24 | 39 |
| 3. ფიურტი | 21 | 10 | 6 | 5 | 45-29 | 36 |
| 4. კაიზერსლაუტ. | 20 | 10 | 5 | 5 | 36-25 | 35 |
| 5. ალემანია | 21 | 9 | 6 | 6 | 35-25 | 33 |
| 6. დუისბურგი | 21 | 8 | 8 | 5 | 32-22 | 32 |
| 7. ნიურნბერგი | 21 | 8 | 8 | 5 | 30-23 | 32 |
| 8. აუგსბურგი | 21 | 8 | 5 | 8 | 27-26 | 29 |
| 9. ზტ. პაული | 20 | 8 | 4 | 8 | 32-38 | 28 |
| 10. ობერჰაუზენი | 21 | 8 | 4 | 9 | 23-34 | 28 |
| 11. ალენი | 21 | 8 | 3 | 10 | 28-40 | 27 |
| 12. მიუნხენ 1860 | 21 | 7 | 5 | 9 | 25-26 | 26 |
| 13. ფრანკფურტი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-28 | 23 |
| 14. ინგოლშტადტი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-36 | 23 |
| 15. კობლენცი | 21 | 6 | 6 | 9 | 29-33 | 21 |
| 16. ოსნაბრიუკი | 21 | 4 | 8 | 9 | 28-41 | 20 |
| 17. ჰანზა | 21 | 4 | 6 | 11 | 30-39 | 18 |
| 18. ვეენი | 21 | 3 | 8 | 10 | 21-37 | 17 |

**ბომბარდირები:** 13 - ალაგუი (ფიურტი); 12 - ტობორგი (ალენი); 11 - აუერი (ალემანია); 10 - მაკიადი (დუისბურგი), რაიზინგერი (ფიურტი), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 9 - კუემაა (დუისბურგი); 8 - იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი).

### III ბუნდესლიგა

ემდენი-კარლ ცაისი 3:1, ოფენბახი-ვუპერტალი 1:2, უნტერჰახინგი-დიუსელდორფი 2:1. *სხვა მატჩები გადაიდო.*

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXV ტური

**გრენობლი-პსჟ 0:0**

**გრენობლი:** ვიმბე, ვიტაკიჩი პეიო, სესარი, რობენი, რომაო (77. ბანინგი), ბატლი, ფეგული (66. კურტუა), გრანდენი (81. აკრური), ბოია, მორეირა.

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, სახო, არმანი, მაკელელე, კლემანი (71. ლუინდულა), სესენონი, როტენი (85. განტომი), ჟიული, ოარო.

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 18 097

**ჰავრი-ოსერი 1:2**

**ჰავრი:** რევო, ბაკა, სამბუ, ა. ბა, მარანჟი, დიოზი, ალა (90+3. ნაბუანი), ანენი, ლესაჟი (70. ნორო), ალასანი, დიალო (70. დავიდა).

**ოსერი:** სორენი, ენგბარტი, ა. კულიბალი, დუდკა, ლეჟონი, ნარი, პედრეტი, შაფნი, კალენბერგი (74. ბირსა), ოლიეში, იელენი (79. ნიკულაე).

**გოლები:** 0:1 კალენბერგი (1), 1:1 ლესაჟი (37), 1:2 ბირსა (78)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 12 741

**ლორიანი-სოშო 1:2**

**ლორიანი:** ოდარი, კალვე, მარშალი, აბრიელი, მორელი, ამალფიტანო, ევოლო, აიევი (73. ობერტანი), ჟუფრე (64. ნამუში), ვაირუა, გამეირო (77. საიფი).

**სოშო:** რიშერი, პიშო, პერკისი, ფატი, მიკარი, კარლაო (28. ტულასნი), მარტენი, ბუდებუ, მორის-ბელეი, ერდინგი, სვერკოსი (87. ნოგეირა).

**გოლები:** 1:0 გამეირო (23), 1:1 სვერკოსი (66), 1:2 ერდინგი (90+2)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 11 588

**ნანსი-ლიონი 0:2**

**ნანსი:** ბრასილიანო, ბერენგერი, უადუ, ანდრე ლუისი, ბიანკალანი (87. კურბელო), ალ. ნ'დიაიე, ნ'გემო, ფერე, ბრისონი (85. ზერკა), ჰაჯი, გუნარსონი (67. აჯე).

**ლიონი:** ლორისი, გასამა, კრისი, ბუმსონგი, კალსტრიომი, ტულალანი, მაკუნი, პიანიჩი (80. ედერსონი), დელგადო (58. ჟუნინიო), მუნიე, პიკიონი (67. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 კრისი (18), 1:1 ბენზემა (90+2)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 18 953

**ნანტი-კაენი 1:1**

**ნანტი:** ნ'დი ასემბე, დას ნევესი, პიერი, პულარი, გიიონი, აბდუნი, და როშა, ვენკოერი, ა. კაპუე, კლასნიჩი (74. ჯორჯევიჩი), ბეკამენგა.

**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, ბუკანსო, სორბონი, ლემაეტრი, სეობი, პრომანი, დერუანი (66. ნივე), ბენ ხალფალა, ფლორენტენი (76. ელუჩანსი), სავიდანი (88. ტუდიჩი).

**გოლები:** 0:1 დერუანი (3), 1:1 ბეკამენგა (43)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 21939

**ნიცა-რენი 0:1**

**ნიცა:** ოსპინა, დ. დიაკიტე, აპამი, კანტე, სიდი, ფაე, საბლე, ელებუიკი (77. ემუაფნი), მა. ტრაორე (46. მულუნგი), ლ. რემი, ბამოგო.

**რენი:** დუშე, ფანი, ჰანსონი, ობეი, ბოკანეგრა, დანზე, ლემუანი, მბია, ბრ. შეირუ, ტომერტი, ბრიანი.

**გოლი:** 0:1 ტომერტი (67)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 9 718

**ტულუზა-ვალანსი 0:0**

**ტულუზა:** კარასო, მატიო, ფოფანა, ებონდო, კონგრე, კაპუე, ბერგუნუ (58. ბონე), სირიეი, მუ. სისოკო, ბრაატენი, გინიაკი.

**ვალანსი:** პენეტო, ბიშევაცი (30. მო. ტრაორე), აბარდონადო, რაფაელი, ტიენე, კ. სანჩესი, ჟეოვანიო, დანიკი (71. საესი), ლაკური, ბანგურა, პუჟოლი (74. სებო).

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 18 397

**მარსელი-ლე მანი 0:0**

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟ. როდრიგესი (32. სიველი), ტაივო, ჰილტონი, ზენდენი, ზიანი, ვალბუენა (66. ბენ არფა), მ'ბამი, კონე, ნიანგი (75. ვილტორი).

**ლე მანი:** პელე, სედრანი, პაულუ ანდრე, გედერი, კორშია, ფ. ტომასი, კუტადორი, ლამა, ესტიგარიბია (56. მაევა), ჰელსტადი, ლე ტალეკი (74. ბუჰურსი).

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 48 680

**სტ. ეტიენი-ბორდო 1:1**

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, დაბო, ბეიალ ალი, ბენალუანი, დერნისი (46. მირალა), ოტკოერი, მატუიდი, მაშადო (87. მონსორო), გომისი, პეიე (74. ტავლარიდისი).

**ბორდო:** ვალვერდე, ჟურიეტი, ს. დიავარა, ენრიკე, ტრემულინასი, ა. დიარა, ფერნანდო, გურკუფი (65. იუსი), შამახი, გუფრანი (65. ვენდელი), ბელიონი (65. კავენაგი).

**გოლები:** 1:0 მატუიდი (53), 1:1 კავენაგი (89)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 27 048

**ლილი-მონაკო 2:1**

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, ემერსონი, რამი, პლესტანი, ბალმონი, ობრანიაკი (86. ჰაზარი), შეიჯუ (77. დუმონი), მავუბა, მიშელ ბასტოსი, ფრო (78. ფოვერგი).

**მონაკო:** რუფიე, მოდესტო, შიმიჩი, ადრიანო, მიულერი, მერიემი, ლეკო, ალონსო, პარკი (62. გაკპე), მოლო (77. ნიმანი), პინიო (41. ლიკატა).

**გოლები:** 1:0 ობრანიაკი (12), 2:0 დუმონი (90+3), 2:1 ადრიანო (90+4)

**გაძევება:** ალონსო (66. მონაკო)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 25 | 15 | 7 | 3 | 35-16 | 52 |
| 2. პსჟ | 25 | 14 | 4 | 7 | 34-24 | 46 |
| 3. მარსელი | 25 | 12 | 9 | 4 | 39-25 | 45 |
| 4. ტულუზა | 25 | 12 | 9 | 4 | 27-16 | 45 |
| 5. ბორდო | 25 | 12 | 8 | 5 | 41-25 | 44 |
| 6. ლილი | 25 | 11 | 10 | 4 | 36-26 | 43 |
| 7. რენი | 25 | 10 | 12 | 3 | 27-16 | 42 |
| 8. ნიცა | 25 | 11 | 6 | 8 | 30-26 | 39 |
| 9. ლორიანი | 25 | 7 | 10 | 8 | 30-29 | 31 |
| 10. ოსერი | 25 | 8 | 6 | 11 | 20-24 | 30 |
| 11. ნანსი | 25 | 7 | 8 | 10 | 23-29 | 29 |
| 12. მონაკო | 25 | 7 | 7 | 11 | 28-31 | 28 |
| 13. გრენობლი | 25 | 6 | 10 | 9 | 14-22 | 28 |
| 14. ნანტი | 25 | 7 | 7 | 11 | 23-34 | 28 |
| 15. ლე მანი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-35 | 27 |
| 16. კაენი | 25 | 5 | 11 | 9 | 29-32 | 26 |
| 17. ვალანსი | 25 | 5 | 10 | 10 | 21-27 | 25 |
| 18. სტ. ეტიენი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-36 | 25 |
| 19. სოშო | 25 | 4 | 11 | 10 | 26-33 | 23 |
| 20. ჰავრი | 25 | 4 | 3 | 18 | 19-45 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - გინიაკი (ტულუზა); 13 - ოარო (პსჟ), კავენაგი (ბორდო); 12 - ბენზემა (ლიონი); 10 - სავიდანი (კაენი); 9 - ბასტოსი (ლილი); 8 - ალასანი (ჰავრი), ერდინგი (სოშო), ობრანიაკი (ლილი); 7 - ლიკატა (მონაკო), რემი (ნიცა), შამახი (ბორდო), ჰელსტადი (ლე მანი), გამეირო (ლორიანი), კონე (მარსელი).

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-ბრესტი | 1:1 |
| ამიენი-ბასტია | 0:1 |
| ანჟერსი-ვანი | 0:1 |
| ბულონი-რეიმსი | 0:3 |
| გინგამი-შატორუ | 2:1 |
| მონპელიე-დიჟონი | 4:1 |
| სტრასბური-სედანი | 1:3 |
| ტური-ნიმი | 4:1 |
| ტრუა-კლერმონი | 4:1 |
| მეცი-ლანსი | დღეს |

## თურქეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| გაზიანთეპი-ბეშიქთაში | 0:3 |
| ბუიუქშეჰირი-ანკარაგუჯუ | 1:2 |
| კაისერი-ბურსა | 0:0 |
| კონია-ანთალია | 2:0 |
| ტრაბზონი-დენიზლი | 0:2 |
| გენჩლერი-ფენერბაჰჩე | 1:0 |
| ჰაჯეთეფე-ანკარა | 3:1 |
| სივასი-ესქიშეჰირი | 1:0 |
| გალათასარაი-კოჯაელი | 2:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სივასი | 21 | 13 | 6 | 2 | 34-13 | 45 |
| 2. ტრაბზონი | 21 | 12 | 6 | 3 | 29-18 | 42 |
| 3. ბეშიქთაში | 21 | 11 | 6 | 4 | 33-19 | 39 |
| 4. ფენერბაჰჩე | 21 | 11 | 4 | 6 | 39-22 | 37 |
| 5. გალათასარაი | 21 | 11 | 4 | 6 | 43-28 | 37 |
| 6. ანკარა | 21 | 10 | 3 | 8 | 29-21 | 33 |
| 7. კაისერი | 21 | 8 | 9 | 4 | 21-12 | 33 |
| 8. ბურსა | 21 | 8 | 7 | 6 | 26-26 | 31 |
| 9. გაზიანთეპი | 21 | 8 | 6 | 7 | 28-29 | 30 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-32 | 25 |
| 11. ესქიშეჰირი | 21 | 5 | 9 | 7 | 28-29 | 24 |
| 12. გენჩლერი | 21 | 6 | 6 | 9 | 25-28 | 24 |
| 13. კონია | 21 | 6 | 6 | 9 | 21-29 | 24 |
| 14. ანთალია | 21 | 5 | 7 | 9 | 20-28 | 22 |
| 15. დენიზლი | 21 | 6 | 3 | 12 | 27-37 | 21 |
| 16. ანკარაგუჯუ | 21 | 5 | 6 | 10 | 21-31 | 21 |
| 17. კოჯაელი | 21 | 4 | 3 | 14 | 29-48 | 15 |
| 18. ჰაჯეთეფე | 21 | 3 | 5 | 13 | 14-40 | 14 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

მალათია-რიზე 1:2; საქარია-გირეშუნი 1:0; ადანა-ქართალი 3:1; ალთაი-ორდუ 2:1; ბბ გაზიანთეფი-ქარსიაქა 1:0; ქარაბუქი-ბოლუში 0:2; ქასიმფაშა-გიუნგორენი 0:2; სამსუნი-მანიშა 1:0; დიარბაქირი-ერჩიესი დღეს.

## საბერძნეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ქსანთი-ოფი | 0:0 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 2:1 |
| პაოკი-ირაკლისი | 1:0 |
| პანსერაიკოსი-ლევადია | 1:0 |
| ლარისა-არისი | 1:1 |
| თრასივულოსი-პანთრაკიკოსი | 0:2 |
| ასტერასი-აეკ | 0:1 |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 23 | 18 | 3 | 2 | 38-10 | 57 |
| 2. პანათინაიკოსი | 23 | 13 | 7 | 3 | 41-16 | 46 |
| 3. პაოკი | 23 | 13 | 7 | 3 | 27-12 | 46 |
| 4. აეკ | 23 | 10 | 11 | 2 | 27-18 | 41 |
| 5. ლარისა | 23 | 8 | 11 | 4 | 29-21 | 35 |
| 6. არისი | 23 | 8 | 8 | 7 | 18-21 | 32 |
| 7. პანიონიოსი | 23 | 8 | 5 | 10 | 27-28 | 29 |
| 8. ქსანთი | 23 | 6 | 11 | 6 | 17-13 | 29 |
| 9. პანთრაკიკოსი | 23 | 8 | 4 | 11 | 14-24 | 28 |
| 10. ერგოტელისი | 23 | 7 | 6 | 10 | 22-31 | 27 |
| 11. ირაკლისი | 23 | 6 | 8 | 9 | 16-21 | 26 |
| 12. ასტერასი | 23 | 5 | 10 | 8 | 23-22 | 25 |
| 13. ლევადია | 23 | 6 | 4 | 13 | 17-28 | 22 |
| 14. პანსერაიკოსი | 23 | 5 | 6 | 12 | 13-30 | 21 |
| 15. ოფი | 23 | 4 | 7 | 12 | 24-37 | 19 |
| 16. თრასივულოსი | 23 | 3 | 4 | 16 | 17-38 | 13 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

აგროტიკოსი-აპოლონი 1:0; ანაგენისი-პიერიკოსი 1:0; ატრომიტოსი-იანინა 2:1; ეთნიკოსი-კალამატა 1:1; კასტორია-კავალა 2:2; კერკირა-ილისიაკოსი 2:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-დიაგორასი 0:1; ვერია-ეთნიკოსი (ა) 1:0; იონიკოსი-კალითეა დღეს.

## ჰოლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ვიტესი-როდა | 3:0 |
| ჰერენვენი-ვილემი | 3:1 |
| დენ ჰააგი-ბრედა | 1:1 |
| ჰერაკლესი-ალკმაარი | 0:2 |
| გრონინგენი-ეინდჰოვენი | 0:1 |
| გრააფშაპი-ფეიენოორდი | 0:2 |
| უტრეხტი-ნიმეგენი | 0:2 |
| სპარტა-ტვენტე | 1:2 |
| აიაქსი-ვოლენდამი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 24 | 19 | 3 | 2 | 51-14 | 60 |
| 2. ტვენტე | 24 | 15 | 6 | 3 | 47-23 | 51 |
| 3. აიაქსი | 24 | 15 | 3 | 6 | 52-28 | 48 |
| 4. ეინდჰოვენი | 24 | 13 | 6 | 5 | 50-25 | 45 |
| 5. ჰერენვენი | 24 | 13 | 6 | 5 | 49-42 | 45 |
| 6. გრონინგენი | 24 | 12 | 4 | 8 | 43-26 | 40 |
| 7. უტრეხტი | 24 | 10 | 7 | 7 | 35-28 | 37 |
| 8. ბრედა | 24 | 10 | 6 | 8 | 34-37 | 36 |
| 9. ნიმეგენი | 24 | 9 | 8 | 7 | 32-26 | 35 |
| 10. ვიტესი | 24 | 7 | 8 | 9 | 26-33 | 29 |
| 11. ფეიენოორდი | 24 | 7 | 6 | 11 | 35-33 | 27 |
| 12. ვილემი | 24 | 7 | 4 | 13 | 28-40 | 25 |
| 13. სპარტა | 24 | 6 | 6 | 12 | 36-50 | 24 |
| 14. დენ ჰააგი | 24 | 6 | 5 | 13 | 25-39 | 23 |
| 15. ჰერაკლესი | 24 | 5 | 8 | 11 | 24-40 | 23 |
| 16. როდა | 24 | 4 | 6 | 14 | 25-44 | 18 |
| 17. გრააფშაპი | 24 | 4 | 5 | 15 | 15-47 | 17 |
| 18. ვოლენდამი | 24 | 4 | 3 | 17 | 27-59 | 15 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

ფორტუნა-დენ ბოში 1:0; აპელდორნი-ვეენდამი 4:1; კამბური-ომნივორლდი 2:0; ემენი-ცვოლე 1:0; დორდრეჰტი-ჰელმონდი 1:0; ეინდჰოვენი A-მაასტრიხტი 1:1; იგლზი-ექსელსიორი 1:1; ჰაარლემი-ვაალვიკი 0:2; როსენდალი-ტელსტარი 1:0; ტოპ ოსი-ვენლო 4:2.

## პორტუგალია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ფერეირა-პორტუ | 0:2 |
| რიუ ავე-სეტუბალი | 1:0 |
| სპორტინგი-ბენფიკა | 3:2 |
| აკადემიკა-მარიტიმუ | 3:1 |
| ამადორა-ნასიონალი | 1:0 |
| ნავალი-ბრაგა | 1:2 |
| გიმარაეში-ტროფენსე | 0:1 |
| ლეიქსოეში-ბელენენსეში | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 19 | 12 | 5 | 2 | 35-14 | 41 |
| 2. ბენფიკა | 19 | 10 | 7 | 2 | 32-18 | 37 |
| 3. სპორტინგი | 19 | 11 | 4 | 4 | 26-14 | 37 |
| 4. ლეიქსოეში | 18 | 9 | 7 | 2 | 20-12 | 34 |
| 5. ნასიონალი | 19 | 9 | 5 | 5 | 30-20 | 32 |
| 6. ბრაგა | 19 | 9 | 5 | 5 | 21-12 | 32 |
| 7. მარიტიმუ | 19 | 8 | 5 | 6 | 21-19 | 29 |
| 8. გიმარაეში | 19 | 6 | 6 | 7 | 19-22 | 24 |
| 9. ამადორა | 19 | 6 | 6 | 7 | 15-21 | 24 |
| 10. აკადემიკა | 19 | 5 | 6 | 8 | 16-20 | 21 |
| 11. ნავალი | 19 | 5 | 5 | 9 | 17-24 | 20 |
| 12. ტროფენსე | 19 | 4 | 5 | 10 | 16-25 | 17 |
| 13. რიუ ავე | 19 | 4 | 4 | 11 | 13-23 | 16 |
| 14. ფერეირა | 19 | 4 | 4 | 11 | 23-34 | 16 |
| 15. სეტუბალი | 19 | 4 | 4 | 11 | 11-24 | 16 |
| 16. ბელენენსეში | 18 | 3 | 6 | 9 | 15-28 | 15 |

### II დივიზიონი

XIX ტური

პორტიმონენსე-სანტა კლარა 1:1; ავეში-ბოავიშტა 2:0; ბეირა მარი-ეშტორილი 3:1; ფეირენსე-კოვილია 2:1; ფრეამუნდე-ჟილ ვისენტე 1:0; ოლანენსე-ვარზიმი 1:0; ოლივეირენსე-ვიზელა 0:0; ლეირია-გონდომარი 3:1.

## კვიპროსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| აპეპ-ალკი | 2:1 |
| აპოელ-ატრომიტოსი | 4:0 |
| ეთნიკოსი-აპოპ | 1:4 |
| აეპ-აეკ | 0:3 |
| დოხა-ენოსისი | 0:1 |
| ანორთოსისი-აპოლონი | 2:1 |
| აელ-ომონია | 0:2 |

## ხორვატია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ოსიეკი-რიეკა | 2:2 |
| ზადარი-ციბალია | 2:1 |
| ზაგრები-ინტერი | 0:1 |
| სლავენი-შიბენიკი | 3:1 |
| ვარტექსი-კროაცია | 2:1 |
| ჰაიდუკი-დინამო | 2:0 |

## ისრაელი

XX ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ფ-თ) | 1:2 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |
| ბნეი სახნინი-აშდოდი | 0:2 |
| ჰაკოახი-ჰაპოელი (ქ-შ) | 1:0 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | 1:0 |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (ჰ) | დღეს |

## ეკვადორი

### აპერტურა

IV ტური

| | |
|---|---|
| ბარსელონა-მაკარა | 0:0 |
| დეპ. კუენკა-პორტოვიეხო | 3:0 |
| ელ ნასიონალი-ლიგა დე კიტო | 1:1 |
| მანტა-დეპ. კიტო | 1:0 |
| ტექ. უნივერსიტარიო-ემელეკი | 2:1 |
| ოლმედო-ესპოლი | 0:1 |

## ბელგია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| გენკი-მუსკრონი | 1:1 |
| გენტი-ბევერსხოტი | 1:3 |
| სერკლი-ლოკერენი | 0:0 |
| დენდერი-მეხელენი | 1:2 |
| კორტრეიკი-შარლერუა | 1:1 |
| რუზელარე-მონსი | 3:2 |
| ტუბიზე-ვარეგემი | 0:6 |
| ვესტერლო-ბრიუგე | 1:1 |
| ანდერლეხტი-სტანდარტი | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 23 | 17 | 2 | 4 | 57-25 | 53 |
| 2. სტანდარდი | 23 | 15 | 4 | 4 | 45-23 | 49 |
| 3. ბრიუგე | 23 | 12 | 5 | 6 | 39-30 | 41 |
| 4. გენკი | 23 | 12 | 4 | 7 | 35-30 | 40 |
| 5. ვარეგემი | 23 | 11 | 4 | 8 | 39-28 | 37 |
| 6. ვესტერლო | 23 | 10 | 6 | 7 | 27-25 | 36 |
| 7. სერკლი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-34 | 35 |
| 8. ლოკერენი | 23 | 8 | 10 | 5 | 28-21 | 34 |
| 9. გენტი | 23 | 9 | 6 | 8 | 47-35 | 33 |
| 10. მუსკრონი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-30 | 31 |
| 11. კორტრეიკი | 23 | 7 | 9 | 7 | 24-32 | 30 |
| 12. ბევერსხოტი | 23 | 7 | 8 | 8 | 31-29 | 29 |
| 13. მეხელენი | 23 | 6 | 9 | 8 | 32-39 | 27 |
| 14. შარლერუა | 23 | 6 | 5 | 12 | 29-40 | 23 |
| 15. ტუბიზე | 23 | 5 | 3 | 15 | 25-56 | 18 |
| 16. დენდერი | 23 | 4 | 6 | 13 | 26-42 | 18 |
| 17. რუზელარე | 23 | 4 | 5 | 14 | 23-45 | 17 |
| 18. მონსი | 23 | 3 | 8 | 12 | 26-36 | 17 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ანტვერპენი-ვირტონი 2:1; დაინცეეუპენი 1:2; ოსტენდე-რონსე 3:1; ტურნელიერსი 2:1; ნამური-სტ. ტრუიდენი 0:1; ვაასლანდი-ოლ. შარლერუა 0:1; ლიეჟი-ბევერენი 5:2; ჰეევერლე-ჰამე 0:1; ტინენი-ლომელი 1:1.

## შოტლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი იუნ | 2:2 |
| ფალკირკი-ჰამილტონი | 1:2 |
| ჰართსი-სტ. მირენი | 1:1 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2:0 |
| რეინჯერსი-კილმარნოკი | 3:1 |
| მაზერველი-სელტიკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 26 | 17 | 6 | 3 | 56-19 | 57 |
| 2. სელტიკი | 26 | 17 | 6 | 3 | 53-26 | 57 |
| 3. ჰართსი | 26 | 12 | 6 | 8 | 28-28 | 42 |
| 4. დანდი იუნ | 26 | 10 | 10 | 6 | 36-33 | 40 |
| 5. აბერდინი | 26 | 11 | 5 | 10 | 32-29 | 38 |
| 6. მაზერველი | 26 | 9 | 6 | 11 | 29-34 | 33 |
| 7. ჰიბერნიანი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-35 | 32 |
| 8. ჰამილტონი | 26 | 10 | 2 | 14 | 25-38 | 32 |
| 9. სტ. მირენი | 26 | 7 | 7 | 12 | 22-31 | 28 |
| 10. კილმარნოკი | 26 | 8 | 4 | 14 | 25-36 | 28 |
| 11. ფალკირკი | 26 | 5 | 8 | 13 | 28-39 | 23 |
| 12. ინვერნესი | 26 | 6 | 4 | 16 | 25-42 | 22 |

### I დივიზიონი

XXV ტური

დანფერმლაინი-როსი 1:2; დანდი-ლივინგსტონი 4:1; პარტიკი-მორტონი 1:0; ქუინი-სტ. ჯონსტონი 3:3; ეირდრი-კლაიდი 1:0.

### II დივიზიონი

XXVI ტური

ალოა-ისტ ფაიფი 0:1; არბროა-ქუინზ პარკი 3:0; ეირი-ბრეჩინი 4:2; პიტერჰედი-სტრანრარი 1:0; რეითი-სტირლინგი 1:1.

### III დივიზიონი

XXVI ტური

ანენი-ფორფარი 1:0; დამბარტონი-კოუდენბითი 1:1; ელჯინი-ალბიონი 1:0; მონროუზი-ისტ სტირლინგი 0:2; სტენჰაუზმური-ბერუიკი 1:2.

## უელსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ნიეი-პორტმადოგი | 2:4 |
| აირბასი-აბერისტვითი | 1:2 |
| ქერსუსი-კარმართენი | 0:2 |
| კონაჰსი-რილი | 2:3 |
| ნიუთაუნი-ქერნარფონი | 2:2 |
| პორტ ტელბოტი-ბანგორი | 2:1 |
| პრესტატინი-ლანელი | 0:1 |
| ტნს-ჰევერფორდვესტი | 0:0 |
| უელშპული-ნითი | 2:1 |

## უნგრეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ვასაში-ჰონვედი | 3:1 |
| დიოშდიორი-რეაკ | 2:1 |
| ფეჰერვარი-შიოფოკი | 2:1 |
| მტკ-კაპოშვარი | 2:1 |
| პაკში-კეჩკემეტი | 2:2 |
| ნირეძჰაზა-უიპეშტი | 1:3 |

## არგენტინა

### კლაუსურა

III ტური

| | |
|---|---|
| ნიუელსი-ხიმნასია (ხ) | 1:1 |
| ურაკანი-ხიმნასია (ლ) | 0:2 |
| ინდეპენდიენტე-რასინგი | 2:0 |
| კოლონი-როსარიო | 2:0 |
| გოდოი-არსენალი | 1:0 |
| ტიგრე-ველესი | 1:2 |
| არგ. ხუნიორსი-სან მარტინი | 2:2 |
| ლანუსი-ბოკა | 1:0 |
| რივერი-ბანფილდი | გვ. დასრულდა |
| ესტუდიანტე-ს. ლორენსო | გვ. დასრულდა |

## ჩეხეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ვიქტორია-ჟლინი | 1:1 |
| ბრნო-ბანიკი | 2:0 |
| ბუდეიოვიცე-პრშიბრამი | 2:2 |
| კლადნო-ბოჰემიანსი | 1:0 |
| ტეპლიცე-ლიბერეცი | 4:0 |
| სიგმა-სპარტა | 0:1 |
| ბოლესლავი-იაბლონეცი | 1:2 |
| სლავია-პლზენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 16 | 11 | 4 | 1 | 37-11 | 37 |
| 2. ბოლესლავი | 17 | 9 | 4 | 4 | 24-18 | 31 |
| 3. ბანიკი | 17 | 9 | 3 | 5 | 30-18 | 30 |
| 4. სპარტა | 17 | 9 | 3 | 5 | 28-17 | 30 |
| 5. ლიბერეცი | 17 | 7 | 5 | 5 | 21-18 | 26 |
| 6. სიგმა | 17 | 7 | 5 | 5 | 21-22 | 26 |
| 7. ტეპლიცე | 17 | 7 | 4 | 6 | 18-14 | 25 |
| 8. იაბლონეცი | 17 | 7 | 4 | 6 | 18-21 | 25 |
| 9. ბრნო | 17 | 6 | 5 | 6 | 19-16 | 23 |
| 10. პლზენი | 16 | 5 | 7 | 4 | 23-19 | 22 |
| 11. პრშიბრამი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-23 | 19 |
| 12. ბოჰემიანსი | 17 | 6 | 1 | 10 | 23-30 | 19 |
| 13. ბუდეიოვიცე | 17 | 3 | 10 | 4 | 16-24 | 19 |
| 14. კლადნო | 17 | 4 | 4 | 9 | 10-27 | 16 |
| 15. ვიქტორია | 17 | 3 | 3 | 11 | 17-27 | 12 |
| 16. ჟლინი | 17 | 2 | 4 | 11 | 9-28 | 10 |

## ჩრ. ირლანდია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ინსტიტუტი-კლიფტონვილი | 0:2 |
| ბანგორი-ლინფილდი | 0:1 |
| კრუზეიდერსი-ბალიმენა | 0:0 |
| დუნგანონი-ნიური | 1:2 |
| გლენავონი-ლისბურნი | 1:0 |
| გლენტორანი-კოლრეინი | 1:3 |

## კოლუმბია

### აპერტურა

IV ტური

| | |
|---|---|
| ატ. უილა-მილიონარიოსი | 2:1 |
| ონსე კალდასი-ატ. ხუნიორი | 1:1 |
| სანტა ფე-ენვიგადო | 1:1 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. კინდიო | 0:1 |
| ჩიკო-ინდეპენდიენტე | 3:2 |
| კუკუტა-ტოლიმა | 2:0 |
| დეპ. პასტო-ამერიკა დე კალი | 1:0 |
| რეალი-დეპ. პერეირა | 3:1 |
| დეპ. კალი-ლა ეკიდად | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### კლაუსურა

VII ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-პუებლა | 2:4 |
| სან ლუისი-ატლანტე | 1:1 |
| მორელია-ჩივასი | 1:1 |
| პაჩუკა-ინდიოსი | 3:0 |
| ტიგრესი-ამერიკა | 2:3 |
| ატლასი-პუმასი | 2:0 |
| ტოლუკა-ტეკოსი | 1:1 |
| ნეკაქსა-კრუს აზული | გვ. დასრულდა |
| სანტოსი-მონტერეი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

### აპერტურა

IV ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-უაჩიპატო | 5:0 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. ჩილე | 0:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ო'ჰიგინსი | 2:0 |
| ევერტონი-რეინჯერსი | 3:2 |
| კობრესალი-კობრელოა | 1:4 |
| მუნისიპალი-პალესტინო | 3:0 |
| კურიკო-ლა სერენა | 1:1 |
| უნ. კატოლიკა-ნუბლენსე | 1:0 |
| აუდაქსი-კოლო კოლო | გვ. დასრულდა |

## ავსტრია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-რიდი | 2:2 |
| კაპფენბერგი-ავსტრია (კ) | 2:1 |
| ზალცბურგი-რაპიდი | 2:1 |
| ალტახი-ლინცი | გადაიდო |
| ავსტრია (ვ)-შტურმი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 22 | 15 | 4 | 3 | 59-30 | 49 |
| 2. რაპიდი | 23 | 12 | 6 | 5 | 56-28 | 42 |
| 3. შტურმი | 21 | 13 | 3 | 5 | 49-24 | 42 |
| 4. ავსტრია (ვ) | 22 | 12 | 6 | 4 | 35-26 | 42 |
| 5. რიდი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-28 | 33 |
| 6. ავსტრია (კ) | 21 | 9 | 5 | 7 | 33-24 | 32 |
| 7. ლინცი | 22 | 8 | 1 | 13 | 22-41 | 25 |
| 8. კაპფენბერგი | 23 | 6 | 3 | 14 | 28-50 | 21 |
| 9. მატერსბურგი | 23 | 3 | 5 | 15 | 25-51 | 14 |
| 10. ალტახი | 22 | 4 | 1 | 17 | 29-66 | 13 |

## შვეიცარია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ვადუცი-ბელინცონა | 1:0 |
| იანგ ბოიზი-არაუ | 4:0 |
| ბაზელი-ციურიხი | 2:1 |
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 1:0 |
| ქსამაქსი-სიონი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 21 | 13 | 5 | 3 | 45-20 | 44 |
| 2. ბაზელი | 21 | 13 | 3 | 5 | 40-25 | 42 |
| 3. იანგ ბოიზი | 21 | 12 | 5 | 4 | 47-25 | 41 |
| 4. გრასჰოპერსი | 20 | 8 | 9 | 3 | 30-17 | 33 |
| 5. არაუ | 20 | 6 | 8 | 6 | 22-27 | 26 |
| 6. ქსამაქსი | 21 | 5 | 8 | 8 | 29-33 | 23 |
| 7. ბელინცონა | 21 | 5 | 6 | 10 | 19-31 | 21 |
| 8. სიონი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-36 | 21 |
| 9. ვადუცი | 21 | 4 | 6 | 11 | 13-36 | 18 |
| 10. ლუცერნი | 21 | 3 | 4 | 14 | 22-40 | 13 |

### ჩელენჯლიგა

XVI ტური

სტ. გალენი-ვოლენი გადაიდო; სერვეტი-ვინტერტური 0:0; გოსაუ-ვილი გადაიდო; შო დე ფონი-ლუგანო გადაიდო; ლოკარნო-შაფჰაუზენი 0:0; ბილი-ნიონე გადაიდო; ივერდონი-კონკორდია გადაიდო; თუნი-ლოზანა დღეს.

## სლოვენია

XXI ტური

| | |
|---|---|
| გორიცა-რუდარი | 0:1 |
| ინტერბლოკი-კოპერი | 1:1 |
| ნაფტა-პრიმორიე | 2:0 |
| მარიბორი-დრავა | 2:1 |
| პუბლიკუმი-დომჟალე | 0:1 |

## პერუ

### აპერტურა

II ტური

| | |
|---|---|
| მელგარი-ტოტალ ჩალაკო | 1:0 |
| ხუან აურიჩი-ინტი გასი | 1:0 |
| ბოლონიესი-ალ. ლიმა | 1:2 |
| სპორტი-სან მარტინი | 1:1 |
| ხოსე გალვესი-სიენსიანო | 1:1 |
| სპ. კრისტალი-ალ. ატლეტიკო | 5:0 |
| სეს. ვალეხო-კოლეხიო | გვ. დასრულდა |
| უნ. პერუ-სპორტ ანკაში | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

### კლაუსურა

II ტური

| | |
|---|---|
| სერო-დეფენსორი | 0:1 |
| ლივერპული-ესპანიოლა | გადაიდო |
| პენიაროლი-მონტევიდეო | 1:0 |
| რივერი-რასინგი | 2:2 |
| ბელა ვისტა-ტაკუარემბო | 2:3 |
| სენტრალი-რამპლა | 2:2 |
| დანუბიო-სერო | 1:1 |
| ნასიონალი-ხუვენტუდი | 2:2 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სილვა არსენალში?

**არსენ ვენგერს** ვალენსიელი **დავიდ სილვას** შეძენა სურს. ზაფხულის ტრანსფერებისას ის "მეთოფეების" უმთავრესი სამიზნე იქნება. სილვას შესაძენად 20 მილიონი გირვანქაა საჭირო. ინგლისელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ლონდონელებს ამ თანხის მოძიება გაუჭირდებათ. იანვრის ბაზარზე, "არსენალმა" ზენიტისა და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი **ანდრეი არშავინი** შეიძინა. არშავინი 13 მილიონი გირვანქა ღირდა, თუმცა ამ თანხის მოსაგროვებლად ლონდონელებს თითქმის მთელი ერთი თვე დასჭირდათ.

ვენგერი იმედიანადაა განწყობილი. მას მიაჩნია, რომ დავიდ სილვა "არსენალისათვის" ფასდაუდებელი შენაძენი იქნება. სხვადასხვა დროს სილვას "რეალი" და "ბარსელონაც" ეპატიჟებოდნენ, თუმცა "ვალენსიამ" ამ ფეხბურთელის შენარჩუნება მოახერხა. დავიდი **ფრანსესკ ფაბრეგასის** უახლოესი მეგობარია. ისინი ჯერ კიდევ ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრებიდან იცნობენ ერთმანეთს. დავიდ სილვას ტრანსფერი კიდევ ერთი წონადი არგუმენტი იქნება საიმისოდ, რომ ფაბრეგასი ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაიყოლიონ.

სილვა ვალენსიელი გულშემატკივრის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. ის გუნდში 2004 წელს ჩაირიცხა. მას **პაბლო აიმარის** ნაქონი 21-ნომრიანი მაისურა გადასცეს: თუმცა იქამდე იჯარით ჯერ "ეიბარში" მიავლინეს, ხოლო შემდეგ "სელტაში". 2006 წლის შემოდგომიდან სილვა ვალენსიელთა ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობს. მის აქტივში 74 მატჩი და 11 გოლია. სილვა ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორითაც "ღამურების" უმთავრესი ვარსკვლავები – **დავიდ ვილია** და **ხოაკინ სანჩესი**. დავიდმა ესპანეთის ნაკრებში 21 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი შეაგდო, მათ შორის, ერთი რუსეთის ნაკრების კარში გასული წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისას (საგოლე პასი ფაბრეგასმა მიაწოდა).

დასასრულს გეტყვით, რომ 2007 წლის ზაფხულში დავიდ სილვამ "ვალენსიასთან" კონტრაქტი შვიდი წლით გააგრძელა. მისი ასტრონომიული ფასიც ბევრწილად ამით აიხსნება.

ტყვიის სროლა

# ნინო ევროპაში მეორეა, საქართველო მეოთხე

40 წლის **ნინო სალუქვაძემ** ისედაც მედლებით დახუნძლულ კარიერას კიდევ ერთი შემატა - პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მეორე ადგილი დაიკავა. შაბათ-კვირას ქართულმა კვარტეტმა (ნინო სალუქვაძე, **ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი** და **ლევან ქადაგიძე**) ჩეხეთში 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში იასპარეზა.

შაბათს, ქალ მსროლელთა საკვალიფიკაციო ტურნირში ფინალს მიღმა დარჩნენ ნინო უჩაძე და თამილა ასათიანი. უჩაძეს ბევრი არ დაჰკლებია ფინალამდე, მან პირველ ცდაზე 99 ქულა აიღო, სამწუხაროდ, ასე ველარ გააგრძელა (99, 94, 93, 94) და 380 ქულით მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა. თამილა ასათიანმა კი 370 ქულით (92, 94, 93, 91) 47-ე ადგილი დაიკავა. უჩაძეს ფინალის საგზურამდე ორი ქულა დააკლდა. ნინომ საკვალიფიკაციო ეტაპზე 384 ქულამოაგროვა, ფინალში გავიდა და თავის მონაგარს 100,4 ქულა მიუმატა. სალუქვაძემ 484,4 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონი 487,4 ქულით ბულგარელი **მარია გროზდევა** გახდა. ბრინჯაოს მედალოსანი კი ჩეხი **ლენკა მარუშკოვაა** (483 ქულა).

გუნდურში საქართველოს ნაკრებს სულ ცოტა დააკლდა პოდიუმამდე და მეოთხე ადგილი დაიკავა. როგორც ნაკრების თავკაცმა **ვახტანგ სალუქვაძემ** განაცხადა, რომ არა ბოლო შვიდ სროლაში დაკარგული 7 ქულა, გუნდი მეორე ადგილზე გავიდოდა. მეორე პრიზიორ რუსებს ჩვენები მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩნენ.

გუშინ ვაჟთა შორის შეჯიბრებაში ძალიან სუსტად იასპარეზა ლევან ქადაგიძემ, რომელმაც 554 ქულით (96, 94, 92, 90, 92, 90) 52 მონაწილეს შორის ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და მხოლოდ ანდორელ მსროლელს აჯობა.

აი, რა განუცხადა გუშინ ნინო სალუქვაძემ რადიო „თავისუფლებას": „ძალიან დაძაბული ფინალი გამოვიდა, რადგან მეორედან მერვე ადგილის ჩათვლით, ყველას თითქმის თანაბარი ქულები გვქონდა, გროზდევა კი 4-ქულიანი უპირატესობით იყო წინ გაჭრილი. საკვალიფიკაციოს შემდეგ მეოთხე ვიყავი, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლე და მეორე ადგილი მოვიპოვე".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# სამი მედალი კიევიდან

21-22 თებერვალს კიევის სპორტის სასახლემ უმასპინძლა რიგით მე-15 საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 22 ქვეყნის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. საქართველოს 11 მოჭიდავე წარადგენდა. შაბათს ქართველებმა ორი მედალი მოიპოვეს. 120 კგ წონით კატეგორიაში **დავით ოთიაშვილმა** ფინალი ამერიკელ მეტოქესთან, **ტარველ დლაგნევთან** დათმო - 1:3, 0:6 და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 55 კგ წონით კატეგორიაში კი **ბესიკ გოჩაშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 66 კგ-ში ვერაფერი გააწყვეს **ზურაბ კოტორაშვილმა** და **მალხაზ მუზიაშვილმა**, 84-ში **თორნიკე სვანიძე** და **არჩილ ქიტიაშვილი** დარჩნენ უმედლოდ, მძიმეში - **ალექსი მოდებაძე**.

გუშინ 60, 74 და 96 კგ წონით კატეგორიებში გამოდიოდნენ ჩვენებურები. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **მალხაზ ქურდიანმა** (60 კგ), **გელა სალირაშვილი** (74 კგ) უმედლოდ დარჩა, ისევე როგორც 96 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავეები **ბელდუხ გავაშელიშვილი** და **გიორგი ჩიქოვანი**. 74 კგ წონით კატეგორიაში ორი უკრაინელი ქართველი მოჭიდავე შეხვდა ერთმანეთს ფინალში, **გია ჩიხლაძემ ჯამბულ ცოტაძე** დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

ახალგაზრდული ჩემპიონატი

# მადლობა გლდანს

გლდანის კრივის დარბაზში გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი დასრულდა. მონაწილეებით (170) და მაყურებლებით გაჯერებულმა ტურნირმა ოთხ დღეს გასტანა. თბილისში შექმნილმა ენერგეტიკულმა პრობლემამ ჩემპიონატი მცირე ხნით შეაფერხა, მაგრამ მოკლე დროში დენის ალტერნატიული წყარო ჩაირთო და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. საერთოდ, ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის გლდანელებმა მადლობა დაიმსახურეს.

ჩემპიონატში 17 ქალაქის წარმომადგენლებმა იასპარეზეს 11 წონით კატეგორიაში. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მესამე ადგილისთვის შეხვედრები არ ჩატარდა და ნახევარფინალში დამარცხებულ მოკრივეებს ავტომატურად მიეკუთვნათ ბრინჯაოს მედლები. მაშ ასე, საუკეთესო სამეულები წონების მიხედვით ასე გამოიყურება:



**48 კგ (6 მონაწილე)**

1. სევერიან ჭელიძე (თბილისი, დკდ)
2. გოჩა ლარცულიანი (ქუთაისი)
3. ვენეტიკ ერანოსიანი (ახალქალაქი)
3. ედნარ კოჩანიძე (ბათუმი)

**51 კგ (6 მონაწილე)**

1. ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი)
2. ლევან კაჭაშვილი (თბილისი, დკდ)
3. ჯუმბერ ტოგონიძე (ფოთი)
3. გელა აბაშიძე (ბათუმი)

**54 კგ (4 მონაწილე)**

1. ადილ ასლანოვი (თბილისი, დკდ)
2. გარიკ ჩნავაიანი (ახალქალაქი)
3. რამაზ ფაჩულია (ფოთი)
3. დავით კუსრაევი (თბილისი, დკდ)

**57 კგ (11 მონაწილე)**

1. თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი)
2. ჯამბულ გოგიტაძე (აჭარა)
3. გიორგი ათენოვი (გორი)
3. დავით ტაბატაძე (თბილისი, დკდ)

**60 კგ (16 მონაწილე)**

1. თამაზ ყაულაშვილი (თბილისი, დკდ)
2. გიორგი სტაიანოვიჩი (თბილისი)
3. ზაზა ამირიძე (თბილისი)
3. ირაკლი არდოტელი (გამარჯვება)

**64 კგ (14 მონაწილე)**

1. გიორგი ჯაფარიძე (ჭიათურა)
2. ალბერტ რევაზოვი (თბილისი)
3. ვლადიმერ ლობაჩოვი (თბილისი)
3. ნერსეს ანტონიანი (ახალქალაქი)

**69 კგ (15 მონაწილე)**

1. ბერდია უტიაშვილი (გურჯაანი)
2. ბესიკ წკრიალაშვილი (გორი)
3. ლევან ყვარელაშვილი (თელავი)
3. გიორგი გიორგაძე (თბილისი, დკდ)

**75 კგ (15 მონაწილე)**

1. ბესიკ ნოზაძე (თბილისი, დკდ)
2. მალხაზ ჯოგავა (თბილისი, დკდ)
3. ალექსანდრე ნოზაძე (ძარელი)
3. გიორგი გულბანი (გარდაბანი)

**81 კგ (9 მონაწილე)**

1. იაგო კიზირია (ფოთი)
2. ზაზა სტურკი (რუსთავი)
3. ხვიჩა ბეკარიშვილი (თეთრიწყარო)
3. ივერი ზოიძე (ბათუმი)

**91 კგ (7 მონაწილე)**

1. ეგნატე პატარაია (ფოთი)
2. დავით შარვაძე (ტყიბული)
3. ლევან ზავრალაშვილი (რუსთავი)
3. ბადრი ზურაბიანი (გარდაბანი)

**+91 კგ (4 მონაწილე)**

1. ავთანდილ ჭეჭელაშვილი (გორი)
2. ვალერი ბობონიძე (თბილისი)
3. გიორგი ციხიშვილი (რუსთავი)
3. სერგო ბუიძე (ტყიბული)

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

ძიუდო

ჰამბურგის გრანპრი. 21-22 თებერვალი. გერმანია

# ოლიმპიური ჩემპიონი იპონზე დაგვიგდეს

ჰამბურგის გრანპრი წარუმატებელი გამოდგა ქართველი ძიუდოისტებისთვის - ჩვენ მხოლოდ ერთი მედალი მოვიპოვეთ, პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული **ირაკლი ცირეკიძე** მესამე ადგილს შესწვდა. ჰამბურგში (საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი) სულ 8 ქართველი მონაწილეობდა, ტრავმამ **ზაზა კედელაშვილს** არ მისცა გერმანიაში წასვლის საშუალება.

შაბათს საუკეთესო შედეგი ყველაზე მსუბუქ წონაში (60 კგ) გვქონდა - **ლევან ჩუბინიძემ** მე-5 ადგილი დაიკავა. მეორე წრეში (პირველში ლევანი ისვენებდა) მან კანადელი **ფრეიზერ ვილი** სამ წუთზე ნაკლებ დროში დაამარცხა, შემდეგ კი თავად წააგო მომავალ ჩემპიონ უზბეკ **რიშოდ სობიროვთან** (2 ვაზარით). გრანპრიზე მეოთხედფინალში დამარცხებულები ავტომატურად მე-5 ადგილის მფლობელები ხდებიან. **ბეთქილ შუკვანმა** უმალ მოუთავა საქმე (წუთსა და 58 წამში) ჩინელ **რენვან ლიუს**. მეორე წრეში ბეთქილი უკრაინელ **მაქსიმ კოროტუნთან** დამარცხდა.

66 კგ-ში ვერაფრით გამოიჩინა თავი **შალვა ქარდავამ**. მართალია, მან იპონზე დააგდო რუსი **მიხაილ პულიაევი**, მაგრამ შებოჭილად იჭიდავა აზერბაიჯანელ **რამილ გასიმოვთან** და მეოთხე წუთზე იპონით წააგო. 73 კგ წონით კატეგორიაში **დავით კუპრაშვილმა** პირველივე ორთაბრძოლა დათმო თურქ **ჰასან ვანლიოღლუსთან** (იუკო).

გუშინ სხვა ოთხეულმა იჭიდავა ჰამბურგის ტატამზე. 81 კგ-ში ხელი მოეცარა **საბა გავაშელიშვილს**, 1,21 წუთში საბამ იპონზე დააგდო ირანელი **ჰამიდ ლასემინეზადე**. მეორე წრეში მან ბოლო წუთზე იპონით წააგო **ჟოაო ნეტოსთან** (პორტუგალია). 90 კგ-ში **მინდია ბოდაველს** რუსებთან მოუხდა ჭიდაობა. ჯერ **ზაფარ მახმადოვი** ორ წუთში დაამარცხა, შემდეგ **კირილ დენისოვთან** იპონით დამარცხდა.

100 კგ წონით კატეგორიაში **მალხაზ ნიჟარაძემ** მალევე იგემა იპონი ფრანგ **ტიერი ფაბრთან**. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს ოლიმპიური ჩემპიონის ირაკლი ცირეკიძის ჭიდაობა იწვევდა. მას ხომ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის შემდეგ ფეხი არ დაუდგია ტატამზე. თან ირაკლი მისთვის უცხო, 100 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა (სულ მეორედ). პირველი სამი ორთაბრძოლა ჩვენებურმა ბოლო წუთზე მოიგო, - გერმანელ **დიმიტრი პეტერსთან**, კორეელ **ჩეონ ჩოისთან** და ჰოლანდიელ **ელკო ფანდერ ხესტთან**. ასე გავიდა ჩვენებური ნახევარფინალში, სადაც კიდევ ერთ ჰოლანდიელს, **ჰენკ ხროლს** შეხვდა. ამჯერად ბოლო წუთზე მან შიდო მიიღო, რაც მისთვის მეორე იყო და ანგარიში გათანაბრდა (2-2 შიდო). დამატებით დროში ხროლმა მთელი ძალისხმევით შეძლო იპონით გამარჯვება. ცირეკიძის იპონზე დაგდება იოლი საქმე არ არის, თუმცა უნდა ალვნიშნოთ, რომ ამ წონითი კატეგორიისთვის ჩვენებური ტანმორჩილია. ორივე ჰოლანდიელთან თვალსაჩინო იყო სხვაობა გაბარიტებში მეტოქეთა სასარგებლოდ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




**60 კგ**

1. რიშოდ სობიროვი (უზბეკეთი), 2. პიკერ იასმანი (კუბა), 3. ჰიროკა ჰიროაკი (იაპონია), ხერონ მოორენი (ჰოლანდია).

**66 კგ**

1. კიმ იო-ინი (კორეა), 2. კიმ ჰიუნ-იუ (კორეა), 3. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), რასიმ გასიმოვი (აზერბაიჯანი).

**73 კგ**

1. მანსურ ისაევი (რუსეთი), 2. აზამატ სიდაკოვი (რუსეთი), 3. ალი მალომატი (ირანი), დირკ ვან ტიხელტი (ბელგია).

**81 კგ**

1. სირაჯუდინ მაგომედოვი (რუსეთი), 2. ჟოაო ნეტო (პორტუგალია), 3. ხორხე ბენავენტე (ესპანეთი), ივან ნიფონტოვი (რუსეთი).

**90 კგ**

1. ივ მატეო დაფრევილი (საფრანგეთი), 2. იუია იოშიდა (იაპონია), 3. ელხან მამედოვი (აზერბაიჯანი), ვადიმ სინიავსკი (უკრაინა).

**100 კგ.**

1. ტაკამასა ანაი (იაპონია), 2. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 3. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო), დანიელ ბრატა (რუმინეთი).

**მძიმე**

1. აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი), 2. ოსკარ ბრისონი (კუბა), 3. ანის ჩედლი (ტუნისი), იასუიუკი მუნეტა (იაპონია).

რაგბი

ლეგიონერები

# ტანა უმაგა დაბრუნდა

ექვსი ერისა და ერთა თასის გათამაშების შუალედებში საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელშიც საქართველოს ნაკრების მორაგბეებიც მონაწილეობდნენ.

ელიტარულ პირველ დივიზიონში მე-17 ტურის მატჩებში დიდ ინტერესს იწვევდა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის „სტად ფრანსეს" საშინაო დაპირისპირება **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონთან". ამ შეხვედრაში ტულონელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა ლეგენდარული ზელანდიელი შუამარბი **ტანა უმაგა**, რომელიც ქართველ მორაგბეთა ამ გუნდის დამრიგებელიცაა. სამწუხაროდ, უმაგამ თავის დამოძლვრილ გუნდს პარიზელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფერი უშველა. „ტულონი" დამარცხდა - 12:22. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს. ლაბაძე თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა სატურნირო ცხრილის შუაგულში მეზობლად მოკალათებული **გოდერძი შველიძის** „მონტობანისა" და **მამუკა გორგოძის** „მონპელიეს" დაპირისპირება. 49-ე წუთისთვის სტუმრები, მონპელიელი მორაგბეები ანგარიშში სამი ქულით წინ იყვნენ 19:16. თუმცა გარდამტეხი უპირატესობის მოპოვება მასპინძლებმა ბოლო 15 წუთში მაინც მოახერხეს და შეხვედრა 27:19 მოიგეს. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს. გორგოძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო და ოთხ წუთში მატჩის არბიტრმა სინბინში გაუშვა.

უაღრესად საჭირო გამარჯვებას მიაღწია სტუმრად **ირაკლი გიორგაძის** „დაქსთან" მისი უფროსი ძმის **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" - 32:16. კასტრელებმა ამ გამარჯვებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა და ამჟამად ბოლოდან მეოთხე ადგილზე არიან. ირაკლი განაცხადში არ იყო. აქვსენტი ძირითად შემადგენლობაში 62-ე წუთზე შეცვალეს.

შინ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ბასკურ „ბიარიცთან" **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" - 19:15. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-40 წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVII ტური. **სტად ფრანსე-ტულონი 22:12, მონტობანი-მონპელიე 27:19, ბრივი-ბიარიცი 19:15, დაქსი-კასტრი 16:32, მონ დე მარსანი-ბურგუენი 16:16, ბაიონი-პერპინიანი 19:13.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. სტად ფრანსე - 60 ქულა, 2. ტულუზი - 58, 3. პერპინიანი - 55, 4. კლერმონი - 50, 5. ბაიონი - 44, 6. ბრივი - 43, 7. მონტობანი - 41, 8. მონპელიე - 36, 9. ბიარიცი - 35, 10. ბურგუენი - 30, 11. კასტრი - 29, 12. დაქსი - 26, 13. ტულონი - 25, 14.მონ დე მარსანი - 22.**

მეორე დივიზიონში საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობს **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგი", რომელიც უახლოეს მდევარ „ალბის" 11 ქულით უსწრებს. მეოცე ტურში პარიზელებმა შინ დაამარცხეს „გრენობლი" - 31:12. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. თუ „მეტრო რასინგმა" რეგულარული გათამაშების დასრულება სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე შეძლო, პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად მოიპოვებს.

პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი კი ქართველ მორაგბეთა კიდევ ორ გუნდს „ოიონაქსს" და „აჟენს" აქვს. **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" ამჯერად **მალხაზ ურჯუკაშვილის, ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „ორიაკს" უმასპინძლა და საკმაოდ იოლად სძლია - 34:7. ორიაკელთა განაცხადში ქართველები არ იყვნენ. აშვეთია თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

**ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენი" სტუმრად დამარცხდა „ბორდოსთან" - 28:37. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში 53-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელი განაცხადში არ იყო.

შინ გაიმარჯვა **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიესთან" დაპირისპირებაში **გიორგო კუთარაშვილის** „ნარბონმა" - 37:24. კოპალიანი განაცხადში არ იყო. კუთარაშვილი, რომელიც მე-40 წუთზე შეცვალეს, მატჩის არბიტრმა მე-12 წუთზე მოედნიდან ათი წუთით გააძევა.

სტუმრად დამარცხდა „ოშთან" გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე" - 8:32. მალაღურაძე განაცხადში არ იყო. „ტარბის" შემადგენლობაში არ გამოჩენილა შერკინების პირველხაზელი **მამუკა მაგრაქველიძეც**, რომლის გუნდმა შინ გაანადგურა „ბურგ ან ბრესი" - 59:9.

II დივიზიონი. XX ტური. **ალბი - ლიონი 19:13, ოში-ბეზიე 32:8, ნარბონი-კოლომიე 37:24, ოიონაქსი-ორიაკი 34:7, ბორდო-აჟენი 37:28, ტარბი-ბურგ ან ბრესი 59:9, მეტრო რასინგი-ალბი 31:12.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 72 ქულა, 2. ალბი - 61, 3. ოიონაქსი - 58, 4. აჟენი - 54, 5. ლა როშელი - 54, 6. პო - 52, 7. ლიონი - 48, 8. ტარბი - 47, 9. გრენობლი - 45, 10. ბორდო - 45, 11. ოში - 42, 12. ორიაკი - 42, 13. ნარბონი - 41, 14. კოლომიე - 36, 15. ბეზიე - 27, 16. ბურგ ან ბრესი - 21.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. XIII ტური

# კალათბურთმა მეტროს გაასწრო



მაკაბის ფარს უტევს ბექა წივწივაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**22 თებერვალი**

თბილისი. სპორტის სასახლე

**სასოფლო–მაკაბი 102:76**

24:21, 25:12, 36:20, 17:23

სასოფლო: გულისაბედაშვილი (14ქ, 6მ), თვაური, გასიტაშვილი (7ქ), ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (6ქ, 5მ), წივწივაძე (20ქ), ათანელიშვილი (21ქ, 13მ), ყველაშვილი (8ქ), გ. ბარბაქაძე (18ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), ბოქოლიშვილი (8ქ, 4)

მაკაბი: კილაძე (2ქ, 3პ), აჰმედიანი (5ქ), ანთაძე (25ქ, 7მ, 3პ, 4ჩ), ლონდარიძე (21ქ, 18მ), ჯანგველაძე (8ქ), ბიბილური (2ქ, 9მ), თევზაძე, არონია (3ქ), სუდაძე (10ქ, 3პ), მჭედლიშვილი

მსაჯები: დ. არეშიძე, დ. მაჭავარიანი

**ნტდ\თბილისი–დინამო 80:78**

25:16, 24:19, 12:30, 19:13

ნტდ\თბილისი: ტეტელაშვილი, ჩიტაშვილი (10ქ), ფაშაევი (21ქ, 5მ, 7პ, 4ჩ), სარიევი (8ქ), ნიფტალიევი (3ქ), კოლუაშვილი (2ქ), ბახშიევი (12ქ, 6მ), სუხიშვილი (2ქ, 6მ), ბარბაქაძე (10ქ, 8მ, 4პ, 5ჩ), ათუაშვილი (12ქ)

დინამო: გ. ბაქრაძე (13ქ, 9პ, 4ჩ), ნანიტაშვილი (20ქ, 5მ), სორდია, ლაფანაშვილი (14ქ, 9მ), ი. დოლიძე (2ქ), გემაზაშვილი (2ქ), ქადარია (6ქ, 11მ), ხანიაშვილი (17ქ), კობიძე, ხიზანიშვილი (4ქ, 5მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 11 | 11 | 0 | 22 |
| 2. სასოფლო | 12 | 8 | 4 | 20 |
| 3. თსუ | 12 | 7 | 5 | 19 |
| 4. ნტდ | 11 | 8 | 3 | 19 |
| 5. ავიამშენი | 11 | 8 | 3 | 19 |
| 6. დინამო | 12 | 3 | 9 | 15 |
| 7. ბათუმი | 10 | 4 | 6 | 14 |
| 8. შსს | 11 | 2 | 9 | 13 |
| 9. მაკაბი | 12 | 0 | 12 | 12 |

ორი-სამი წლის წინათ, ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვისას ყველაზე ხშირად სიტყვა "სიბნელეს" ვიყენებდით. მაშინ მატჩები ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში იმართებოდა და ელემენტარულ პირობებზე რომ არაფერი ვთქვათ, კალათბურთელებს სიბნელეში, ზოგჯერ კი ტაბლოს გარეშე უხდებოდათ თამაში.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ – გათენდა! სპორტის სასახლისკენ მიმავალს ჩემი მეტროსადგურის კარი დაკეტილი დამხვდა – დენი არ არის და მოძრაობაც შეჩერებულიაო. ამის გამო პირველ თამაშზე ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ დარბაზში შესულს არენა განათებული, მატჩი დაწყებული დამხვდა. აბა, მე ვინ დამელოდებოდა. ასე რომ, თბილისში ძაბვის საერთო ვარდნას კალათბურთელთათვის ხელი არ შეუშლია, რაც მისასალმებელია.

ახლა დროა მოთამაშეებს მოვთხოვოთ იმ დონის კალათბურთი, რა პირობებიც აქვთ. ცოტა სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებაც და...

გუშინდელი ცენტრალური მატჩის მონაწილეების მისამართით ტრიბუნებზე მსხდომთ საყვედური ნამდვილად არ გვეთქმოდა, რასაც ვერ ვიტყვით მწვრთნელებზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: უფრო უკმაყოფილო გამარჯვებული "ნტდ\თბილისის" თავკაცი **ნუგზარ კანდელაკი** იყო. მას გაბრაზების საფუძველი ჰქონდა – ჩემპიონატში მხოლოდ სამჯერ მომგებ "დინამოს" კინალამ მეოთხე გამარჯვება აჩუქა. ამ ფრაზას დინამოელები რომ წაიკითხავენ, შეიძლება ეწყინოთ – საჩუქებელი რა გვჭირდა, აქეთ გვქონდა მოსაგებიო...

მოკლედ, მივყვეთ მატჩის მსვლელობას, თავად განსაჯეთ, ვინ რას იმსახურებდა.

"დინამომ" შეხვედრის პირველი წუთები თამამად დაიწყო და 8:2 დაწინაურდა, თუმცა "ნტდ\თბილისმა" პირველი მეოთხედის შუიდან თამაში დაალაგა. ანგარიშში წინსვლა კი მისი აზერბაიჯანელი გამთამაშებლის **ზაურ ფაშაევის** შორეული ტყორცნების შედეგი იყო. ზაურმა საწყის მეოთხედში სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო. პირველ მეოთხედში დაწყებული წინსვლა "ნახევრადბაქოელებმა" მეორე ათწუთეულში განავრცეს და 11:0 სპურტის შემდეგ 30:16 დაწინაურდნენ. უმთავრესად გუნდური თამაშის წყალობით, მესამე პერიოდის დასაწყისში "ნტდ\თბილისმა" 16-ქულიანი ფორა მოიპოვა.

როცა სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდი მასზე რამდენიმე საფეხურით ქვემოთ მყოფთან 16-ქულიან უპირატესობას მოიპოვებს, ჟურნალისტები ხელს ჩავიქნევთ ხოლმე – მატჩი დამთავრებულიაო. კიდევ კარგი, გუშინ ეს ფრაზა არ წამოგვცდენია – სოლიდური ჩამორჩენის შემდეგ "დინამომ" ძალები გამოძებნა, 13:0 სპურტი მოაწყო და ანგარიში გაათანაბრა (57:57). დილმელთა სახეცვლილება, პირველ რიგში, მათი გამთამაშებლის **გიორგი ნანიტაშვილის** დამსახურებაა. მწვრთნელი, **ზაზა ცაგარეიშვილი** თითქოს გრძნობდა, რომ გუშინდელი დღე ნანიტაშვილისა იქნებოდა – გიორგი სასტარტო შემადგენლობაში გაამწესა. აქამდე ნანიტაშვილი მხოლოდ სათადარიგოებით კმაყოფილდებოდა. ზოგჯერ მისი სათამაშო დრო 10 წუთსაც არ აღემატებოდა...

ახლა უფრო კონკრეტულად, რა ჩაიდინა გიორგიმ: პირველ ტაიმში ჩაგდებულ ერთ სამქულიანს, მესამეში 5 შორეული ტყორცნა და ერთი ორქულიანი მიაყოლა და "დინამოს" მეოთხედი 30:12 მოაგებინა.

მესამე ათწუთეულის დასრულებამდე 1:55 წუთით ადრე **ვახტანგ ქადარიას** ორქულიანის შემდეგ "დინამო" 63:59 დაწინაურდა და ნუგზარ კანდელაკმა წუთშესვენებით სცადა თამაშის დაწყნარება. მან ყველასათვის მოულოდნელი სვლა გააკეთა – მოედანზე გაიყვანა მანამდე უთამაშებელი **გიორგი ტეტელაშვილი** და **ვიქტორ კოლუაშვილი**. ასეთმა სვლამ არ გაამართლაო, ვერ ვიტყვით, ვერც იმას დავამატებთ – თამაში ისევ ნტდ-ს სასარგებლოდ შემოტრიალდაო. მოკლედ, თამაშს ისეთი პირი უჩანდა, გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე უნდა გადაწყვეტილიყო. ვიდრე მეოთხე პერიოდზე გადავალთ, ზემონახსენებ გვარს აქ გადმოვწერთ – ქადარია. "ნტდ\თბილისში" საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე მაღალი კალათბურთელი, **სერგო ათუაშვილი** (224 სმ) თამაშობს. როგორც წესი, მისი გუნდი მოხსნებში თითქმის ყველა მეტოქეს სჯობნის. ჰოდა, ნტდ-მ "დინამოს" ფარქვეშ რომ ვერ აჯობა, სწორედ ვახტანგ ქადარიას დამსახურებაა. იგი ათუაშვილსაც არაფერს უთმობდა და **ლადო სუხიშვილსაც**. საბოლოოდ, ქადარიამ 11 მოხსნა მოაგროვა, "ნტდ\თბილისმა" – 45, "დინამომ" – 43.

ბოლო რაუნდის დასრულებას 1:08 წუთი უკლდა, როცა **გიორგი ხანიაშვილმა** ფარქვეშიდან ზუსტი ტყორცნით დინამოელები 78:77 დააწინაურა. საპასუხო შეტევაში ნტდ-ელთა ნასროლი ბურთი ქადარიამ მოხსნა, ხოლო შემდეგ **ლექსო ლაფანაშვილმა** დაუფარა. "დინამოს" მორიგი შეტევა ხანიაშვილმა დაიწყო, მაგრამ სამი მეტოქის გარემოცვაში ბურთს ვერ შეელია. მართალია, მას მსაჯმა ბურთი ჩამოართვა, მაგრამ ხანიაშვილზე აუგის სათქმელად ენა ვერ მოგვიბრუნდება. ესპანურ "არონაში" გამოწვრთნილი გიორგი პირველ ტაიმში საუკეთესო დინამოელი იყო. ასე რომ, ჩემპიონატს ერთი უნივერსალი შეემატა.

...23 წამით ადრე ზაურ ფაშაევმა ნტდ-ს იერიში წამოიწყო და 14 წამით ადრე ორი ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა – 79:78. "დინამოს" გამარჯვების შანსი სირენამდე 6 წამით ადრე მიეცა, მაგრამ ქადარიას პასის შემდეგ ლაფანაშვილმა ფარქვეშიდან ვერ ჩააგდო. საფინალო ანგარიში ისევ ფაშაევმა დააფიქსირა (80:78) და ტურის საუკეთესო კალათბურთელიც ის გახდა. MVP-დ მის დასახელებას სტატისტიკამაც შეუმზადა საფუძველი: 21 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა.

მატჩის შემდეგ "დინამოს" მწვრთნელმა, ზაზა ცაგარეიშვილმა გვითხრა: *"კინალამ მატჩისწინა დანაპირები ავასრულე და "ნტდ\თბილისი" დავამარცხე. ნაგების მიუხედავად, ბიჭების მიმართ საყვედური არ მეთქმის. ყველამ ბოლომდე იბრძოლა. ჩვენი მარცხი გამოუცდელობის ბრალი იყო. ნტდ-ს "დინამოსთან" შედარებით ნაცადი შემადგენლობა ჰყავს, რამაც ბოლო წამებზე თავისი გავლენა იქონია".*

"ბათუმმა" შსს რომ დაამარცხა, "ენერჯიმ" - თსუ, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში გესაუბრეთ. რაც შეეხება "სასოფლოსა" და "მაკაბის" დაპირისპირებას, მასზე საფინალო ანგარიშიც ამომწურავად ლაპარაკობს. გირჩევთ, ამ შეხვედრის ოქმის გადახედვისას ქვემოთ ჩამოუყვეთ და ორ ეფექტურ ორმაგ დუბლსაც იხილავთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართველი NBA-ში

# "უქველოდ"

აქამდე არაერთხელ გვითქვამს – **ზაზა ფაჩულიას** მონაგარი ეფექტური იმიტომ არ იყო, რომ მწვრთნელმა სათამაშო დრო შეუზღუდაო. "პორტლენდთან" მატჩში ზაზას დაბალშედეგიანობას მწვრთნელი, **მაიკ ვუდსონს** ვეღარ დავაბრალებთ. "ატლანტას" თავკაცი ფაჩულიას ყველა პერიოდში ენდო, მაგრამ ქართველმა მწვრთნელს იმედები ვერ გაუმართლა. ზაზამ კი არა, მთელმა "ჰოქსმა" ვერაფერი დააკლო "პორტლენდს" – 98:108.

სადღეისოდ "ატლანტას" მოგება-წაგებები სარკისებურად უწერია – 32 გამარჯვება და 23 მარცხი. ასეთი მაჩვენებლით "ქორები" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილზე არიან. "ატლანტას" მორიგი მატჩი 23 თებერვალს გაიმართება. ჯორჯიელები გასვლით შეხვედრაში "იუტას" დაუპირისპირდებიან.

**ფაჩულიას მონაგარი**

**პორტლენდი–ატლანტა 108:98**

ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 1 ფოლი

**I პერიოდი**

02:49 ზაზამ პორფორდი შეცვალა
02:26 მოხსნა: შეტ-0, დაც-1

**II პერიოდი**

10:10 ორქულიანი: არაზუსტი
09:14 ჩაჭრა: 1 (ოლდრიჯს ჩაუჭრა)
08:59 შეცდომა: 1
05:23 ზაზა ჯონსმა შეცვალა

**III პერიოდი**

06:55 ზაზამ სმიტი შეცვალა
03:56 სმიტმა ზაზა შეცვალა
00:55 ზაზა უილიამსმა შეცვალა

**IV პერიოდი**

10:18 ფოლი: 1 (ტექნიკური)
10:18 ზაზა ჰორფორდმა შეცვალა

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალი იკმარა

## როდის მოიგებს ანა ტატიშვილი?

WTA-ს ტურნირში, რომელიც მექსიკის ქალაქ აკაპულკოში იმართება, სუსტად იასპარეზა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (154). 19 წლის ქართველმა 220-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში წააგო. ანა მე-7 ნომრად იყო განთესილი, მან სამხრეთაფრიკელ **ნატალი გრანდინთან** (243) წააგო - 3:6, 3:6. ანა ვერაფრით შევიდა ფორმაში, სეზონი კარგა ხანია დაიწყო და მას ჯერ ერთი გამარჯვებაც არ აქვს მოპოვებული.

ამერიკის ქალაქ სურპრაიზში საჩოგბურთო ტურნირს (25 ათასი $) მეოთხედფინალურ სტადიაზე დაემშვიდობა **მაკა ჩახნაშვილი** (223). მაკამ უკრაინელ **იულია ვაკულენკოსთან** (273) დათმო - 5:7, 4:6. ჩახნაშვილი არგენტინელ **მარია ირიგოიენთან** (381) დუეტში წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში იყო გასული. ქართულ-არგენტინული გუნდი მე-2 ნომრად განთესილ რუსულ-არგენტინულ (**ეკატერინა ივანოვა, ხორგელინა კრავერო**) წყვილთან სასტიკად დამარცხდა - 1:6, 0:6. ჩახნაშვილი კვლავ ამერიკაშია, ის ქლეარუოთერის ტურნირის (50 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრადაა განთესილი. მისი პირველი მეტოქე სლოვენიელი **პეტრა რამპრეა** (378).

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1222) ხორვატიიდან ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ტეხასის შტატის ქალაქ ჰარლინგენში (10 ათასი $) ასპარეზობს. ნიკამ უკვე გაიარა პირველი საკვალიფიკაციო წრე, მან მექსიკელი **ხავიერ ერერა** (1487) დაამარცხა - 6:2, 7:5. მეორე წრეში მისი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ამერიკელი **შეევა პარბუა** (743), რომელთანაც შარშან ერთი მატჩი დათმო. ესპანურ ტერასაში (10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში დაასრულა ასპარეზობა **ლაზარე კუხალაშვილმა** (921). პირველ წრეში მე-10 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ესპანელ **გილემ კლოსას** (1342) მოუგო - 7:6 (4), 6:2. თუმცა მეორე წრეში მან ვერაფერი მოუხერხა იტალიელ **რიკარდო მარკონს** (1850) - 6:3, 1:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# გერმანიაში გვიჭირს

**ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** რომ გერმანიაში, ქალაქ ნოიშდატში არიან და ფალცოუფენში თამაშობენ, „ლელოს" მკითხველმა კარგად იცის. ამ უქმეებზე მე- 7 და მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. ჩვენებურებმა, სამწუხაროდ, დიდად ვერც განვლილ ორ ტურში გაგვახარეს. თუმცა ბელა ხოტენაშვილმა შეძლო სატურნირო მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება - ერთი პარტია ყაიმით დაასრულა, ერთშიც იმარჯვა, რითაც 5 ქულას მოუყარა თავი და ქალთა შორის საპრიზო სამეულში მოხვედრის მცირე, მაგრამ შანსი მაინც გაიჩინა. ნინომ კი ორჯერვე მარცხი განიცადა და გარდა იმისა, რომ არავითარი პერსპექტივა აღარ შერჩენია, ძალიან დაბალ რეიტინგიანებთან წააგო. მე-9 ტურში იმდენად დაბალი კვალიფიკაციის მეტოქე ჰყავს, 301-ეა განთესვით. მასაც რომ ვერ მოუგოს, დანაკარგის ანაზღაურებისთვის ვინძლო მთელი წლის განმავლობაში კარგმა თამაშმაც ვერ უშველოს. ბაციაშვილს 3,5 ქულა აქვს და ცხრილში დღეისათვის 193-ე ადგილი უჭირავს, ხოტენაშვილი კი 82 - ეა.

ბელას ბოლო ტურში წარმატების კარგი შანსი აქვს - შავებით ხვდება გერმანელ **ანდრე ვურცელს**, რომელიც მას რეიტინგით საკმაოდ ჩამორჩება. მართალია, ბელა შავებით იქნება, მაგრამ გამარჯვება სავსებით შესაძლებელია. ბაციაშვილის მეტოქეც გერმანელია - **კლაუს-პიტერ კლაიმი**. პიტერი აშკარად ახალბედაა - მას დამწყები მოჭადრაკის რეიტინგი აქვს - 1674. ამიტომაც აუცილებელია, რომ ნინომ გაიმარჯვოს, რათა ბევრად არ იზარალოს.

ქალთა შორის დები **მუზიჩუკები** გამოირჩევიან, განსაკუთრებით სლოვენიის სახელით მოთამაშე **ანა.** მას 6 ქულა აქვს და ვაჟებსაც უწევს კონკურენციას; **მარიას** კი 5,5 ქულა და კარგი კოეფიციენტი აქვს. 5,5 ქულა კიდევ სამ ქალბატონს მოუგროვდა: პოლონელ **ნატალია ზდებსკაიას**, რუს **სვეტლანა ვასილკოვას** და გერმანელ **ელიზაბეტ პეჰცს**; ხოტენაშვილივით 5 ქულა კი უკრაინელ **ინა გაპონენკოს**, ინდოელ **ტანია საჩდევს**, გერმანელ **მანუელა მადერის** და ბელარუს **ანა ზოზულიას** აქვთ. ასეთი კონკურენციის პირობებში ქართველის შანსები რომ დიდად არ ჩანს, გასაგებია, მით უფრო მაშინ, როცა ხელს კოეფიციენტიც არ გიწყობს, - ბელას ეს მაჩვენებელი არასახარბიელო აქვს...

ტურნირს კი რეიტინგის სათავეში მყოფი ჰოლანდიელი **სერგეი ტივიაკოვი** ერთპიროვნულად ლიდერობს 7ქულით. ნახევარქულიანი ჩამორჩენით მას კვალში 4 მოჭადრაკე მიჰყვება...

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 20 თებერვალი

**შარლოტი–ორლანდო 80:92**

18:21, 17:28, 26:28, 19:15

შ: ფელტონი (16), დიაო (15+8 მოხსნა), ოკაფორი (13+11 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. უოლასი (11).

ო: თურქოგლუ (24+7 მოხსნა), ლუისი (18+3 დაფარება), დ. ჰოვარდი (13+16 მოხსნა+6 დაფარება).

**ნიუ ჯერსი–ვაშინგტონი 96:107**

18:20, 24:25, 23:35, 31:27

ნ-ჯ: დ. ჰარისი (26+10 პასი), ვ. კარტერი (17+7 პასი), ბ. ლოპესი (16+8 მოხსნა+3 დაფარება), დულინგი (13), ბ. სიმონსი (12).

ვ: ჯეიმისონი (28+12 მოხსნა), კ. ბატლერი (19+9 მოხსნა), მ. ჯეიმსი (19), მაკგუაირი (11+14 მოხსნა+3 დაფარება), სონგაილა (10).

**ნიუ იორკი–ტორონტო 125:97**

42:22, 33:28, 26:25, 24:22

ნ-ი: ჩენდლერი (32), რობინსონი (26+7 პასი), დ. ლი (24+15 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (20), გალინარი (10).

ტ: ჯ. გრეში (19+7 მოხსნა), ბარნიანი (18+4 დაფარება), მერიონი (14+12 მოხსნა), კაპონო (14), ბოში (12+9 მოხსნა+3 დაფარება), კალდერონი (9+10 პასი).

**ჰიუსტონი–დალასი 93:86**

19:28, 25:23, 30:13, 19:22

ჰ: იაო მინი (22+13 მოხსნა), ბრუქსი (19+8 პასი), არტესტი (17+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), სკოლა (15+15 მოხსნა).

დ: ბარეა (26), ჯ. ჰოვარდი (21), ბასი (13), ა. რაიტი (11), ნოვიცკი (9+11 მოხსნა).

**მემფისი–საკრამენტო 106:115**

28:27, 22:27, 28:27, 28:34

მ: მაიო (24+3 ჩაჭრა), გეი (23+10 მოხსნა), კონლი (16+10 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), მილიჩიჩი (12+8 მოხსნა), არტური (10+7 მოხსნა).

ს: მარტინი (33), უდრიხი (18+6 პასი), ტომპსონი (17+9 მოხსნა), გარსია (15), ჰოვსი (11), დ. გრინი (11+4 დაფარება), ბ. ჯექსონი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**მინესოტა–ინდიანა 105:112**

26:33, 22:26, 23:27, 34:26

მ: ფოიე (36+4 ჩაჭრა), გომესი (26), მ. მილერი (18+8 მოხსნა), ლავი (5+12 მოხსნა).

ი: მ. დენიელსი (24), ჯეკი (18), მერფი (16+14 მოხსნა), ფორდი (13), ბ. რაში (10).

**ჩიკაგო–დენვერი 116:99**

19:31, 35:23, 29:23, 33:22

ჩ: ბ. გორდონი (37), დენგი (22+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტ. ტომასი (21+12 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ნოა (13+7 მოხსნა), დ. როუზი (10+6 პასი).

დ: ბილაპსი (25+6 პასი), ნენე (19), კლეიზა (16), ენტონი (12+8 მოხსნა).

**მილუოკი–კლივლენდი 103:111**

27:25, 30:26, 25:35, 21:25

მ: ვილანუევა (26+13 მოხსნა+6 პასი), რ. ჯეფერსონი (17), ბელი (15), სეშენსი (12), ელსონი (10), ბოგანსი (10).

კ: ლ. ჯეიმსი (55+9 პასი), მ. უილიამსი (23+6 პასი+4 ჩაჭრა), ილგაუსკასი (11).

**ფინიქსი–ოკლაჰომა 140:118**

38:23, 41:34, 24:36, 37:25

ფ: ბარბოზა (41+7 მოხსნა+7 პასი+6 ჩაჭრა), ჯ. რიჩარდსონი (34), შ. ო'ნილი (22+9 მოხსნა), ბარნსი (14+9 პასი+4 ჩაჭრა), ნეში (13+8 პასი).

ო: დურანტი (35+8 მოხსნა), უესტბრუკი (19+8 პასი), კრსტიჩი (16), კოლისონი (14+8 მოხსნა), უოტსონი (12), ჯ. გრინი (10+14 მოხსნა).

**პორტლენდი–ატლანტა 108:98**

23:26, 27:22, 30:24, 28:26

პ: როი (27+7 მოხსნა), ოლდრიჯი (24+11 მოხსნა), ფერნანდესი (19), ბლეიკი (14), აუთლო (12), პრჟიბილა (6+10 მოხსნა).

ა: ბიბი (27), ჯო ჯონსონი (21+8 მოხსნა+7 პასი), მიური (17), მ. უილიამსი (15), ჯ. სმიტი (11+3 დაფარება).

**ლეიკერს–ნ. ორლეან 115:111 (ო)**

28:20, 17:21, 34:25, 19:32, 17:13

ლ: ბრაიანტი (39), პ. გასოლი (20+12 მოხსნა+6 პასი), ფიშერი (14), უოლტონი (14+8 მოხსნა), ოდომი (12+17 მოხსნა).

ნ-ო: რ. ბატლერი (31), პოლი (21+16 პასი+4 ჩაჭრა), პოუსი (17+10 მოხსნა), დ. უესტი (16+16 მოხსნა).

### 21 თებერვალი

**მაიამი–ფილადელფია 97:91**

20:16, 20:24, 27:23, 30:28

მ: უეიდი (25+9 პასი+3 დაფარება), ჯ. ო'ნილი (17+10 მოხსნა), ჰასლემი (13+10 მოხსნა), მუნი (12).

ფ: ა. მილერი (30+9 მოხსნა), ლ. უილიამსი (22), იგუოდალა (14+8 პასი), სპეიტსი (12), ტ. იანგი (10).

**ვაშინგტონი–სან ანტონიო 67:98**

18:25, 20:27, 19:26, 10:20

ვ: კ. ბატლერი (24+7 მოხსნა), ჯეიმისონი (16+7 მოხსნა), სონგაილა (15).

ს-ა: რ. მეისონი (25), ფინლი (19+3 ჩაჭრა), დანკანი (12+11 მოხსნა).

**დალასი–საკრამენტო 116:95**

30:20, 40:30, 28:21, 18:24

დ: ჯ. ჰოვარდი (20), ბასი (20), სინგლტონი (19+12 მოხსნა), ნოვიცკი (12), კიდი (11+11 პასი), ა. რაიტი (10+4 ჩაჭრა), ბარეა (9+7 მოხსნა+8 პასი).

ს: უდრიხი (18+7 პასი), ჰოვსი (17+9 მოხსნა), გარსია (17), მარტინი (11), ნოჩიონი (10+7 მოხსნა).

**იუტა–ნიუ ორლეანი 102:88**

28:21, 33:30, 23:25, 18:12

ი: ოქური (25+7 მოხსნა), დ. უილიამსი (20+13 პასი), რ. ბრიუერი (16), მილსეპი (12+10 მოხსნა).

ნ-ო: პოლი (24+7 პასი), რ. ბატლერი (21), დ. უესტი (18+10 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (8+11 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ოკლაჰომა 133:120**

34:38, 36:32, 31:24, 32:26

გ-ს: ს. ჯექსონი (26+9 პასი+3 ჩაჭრა), მაგეტი (25+8 მოხსნა), კროუფორდი (24), ელისი (14+5 ჩაჭრა), ტურიაფი (14+3 დაფარება), აზუბუიკე (11), უოტსონი (11).

ო: დურანტი (32), უესტბრუკი (31+11 პასი), გრინი (27+15 მოხსნა+6 პასი), უაიერი (19), კოლისონი (6+11 მოხსნა).

"ოკლაჰომასთან" გამარჯვება საიუბილეო აღმოჩნდა "გოლდენ სტეიტის" მწვრთნელ **დონ ნელსონისთვის.** ლეგენდარულმა სპეციალისტმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1300-ე გამარჯვებას მიაღწია და ახლა, ყველა დროის რეკორდსმენ **ლენი უილკინსს** 32 მოგებით ჩამორჩება.



## სათხილამურო სპორტი. მს. ჩემპიონატი

### კაცები

**30 კმ. გამოდევნებით**

1. პეტერ ნორთუგი (ნორ) - 1:15:52.4; 2. ანდერს სიოდერგრენი (შვედ) - 1:15:55.5; 3. ჯორჯო დი ჩენტა (იტა) - 1:16:04.3; 4. ალექსანდრ ლეგკოვი (რუს) - 1:16:12.5; 5. როლანდ კლარა (იტა) - 1:16:16.0; 6. ვენსან ვიტოზი (საფ) - 1:16:21.6.

**ტრამპლინი. HS100**

1. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) - 282.0 (103.5+99.0); 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) - 275.0 (102.0+99.0); 3. სიმონ ამანი (შვეიც) - 274.5 (102.0+99.5); 4. კამილ შტოხი (პოლ) - 270.0 (99.5+100.5); 5. მარტინ შმიტი (გერ) - 269.0 (100.5+98.0); 6. ანდრეას კუეტელი (შვეიც) - 268.0 (98.5+99.0).

### ქალები

**15 კმ. გამოდევნებით**

1. იუსტინა კოვალჩიკი (პოლ) - 40:55.3; 2. კრისტინ სტოერმერ სტეირა (ნორ) - 40:57.0; 3. აინო-კაია საარინენი (ფინ) - 41:03.3; 4. მარიანა ლონგა (იტა) - 41:16.8; 5. ვალენტინა შევჩენკო (უკრ) - 41:39.5; 6. ტერეზ იოჰაუგი (ნორ) - 42:19.2.

## სამთო-სათხილამურო. მსოფლიოს თასი

### სესტრიერი (იტალია)

**კაცები. გიგანტური სლალომი**

1. დიდიე კუში (შვეიც) - 2:49.57 (1:22.76+1:26.81); 2. შტეფან გიორგლი (ავსტრია) - 2:50.23 (1:24.04+1:26.19); 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) - 2:50.46 (1:23.73+1:26.73); 4. რომედ ბაუმანი (ავსტრია) - 2:50.62 (1:23.27+1:27.35); 5. ტიმ ჯიტლოფი (აშშ) - 2:50.68 (1:25.10+1:25.58); 6. მარსელ ჰირშერი (ავსტრია) - 2:50.70 (1:24.17+1:26.53).

**კაცები. სუპერკომბინაცია**

1. რომედ ბაუმანი (ავსტრია) - 2:25.73 (1:35.23+50.50); 2. ჟულიან ლიზერუ (საფ) - 2:26.05 (1:36.44+49.61); 3. კარლო იანკა (შვეიც) - 2:26.41 (1:36.51+49.90); 3. კრისტოფ ინერჰოფერი (იტა) - 2:26.41 (1:35.64+50.77); 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) - 2:26.62 (1:37.55+49.07); 5. მარსელ ჰირშერი (ავსტრია) - 2:26.62 (1:37.37+49.25).

**საერთო ჩათვლა**

1. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 766; 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) - 740; 3. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) - 726; 4. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) - 687; 5. დიდიე კუში (შვეიც) - 629; 6. დიდიე დეფაგო (შვეიც) - 595.

### ტარვიზიო (იტალია)

**ქალები. სწრაფდაშვება**

1. ჯინა შტეხერტი (გერ) - 1:59.94; 2. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:59.95; 3. ანია პერსონი (შვედ) - 2:00.33; 4. ნადია კამერი (შვეიც) - 2:00.70; 5. ორელი რევიე (საფ) - 2:01.09; 6. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) - 2:01.15.

**ქალები. სუპერგიგანტი**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:21.72; 2. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:22.23; 3. ტინა მაზე (სლოვენ) - 1:22.39; 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 1:22.40; 5. ნადია ფანკინი (იტა) - 1:22.53; 6. ნადია კამერი (შვეიც) - 1:22.59.

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1374; 2. მარია რიში (გერ) - 1075; 3. ანია პერსონი (შვედ) - 960; 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 885; 5. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 713; 6. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 527.

# ფინიქსი ამარეს გარეშე დარჩა

## კევინ გარნეტი 3 კვირას გამოტოვებს




"ფინიქს სანზის" ლიდერი **ამარე სტაუდმაიერი** დაახლოებით 8 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მძიმე ფორვარდმა თვალზე ოპერაცია გაიკეთა. ამარემ ტრავმა "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩში მიიღო.

ექიმები ამტკიცებენ, რომ სტაუდმაიერისთვის სეზონი დასრულებულია, თუმცა არსებობს იმის შანსი, რომ მან პლეი ოფისთვის მოასწროს გამოჯანმრთელება, ოღონდ ჯერ "ფინიქსმა" უნდა მოიპოვოს იქ თამაშის უფლება. ამჟამად "სანზი" დასავლეთ კონფერენციაში მეცხრე ადგილზე იმყოფება და საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად 2 მოგება აკლია. თუმცა "ფინიქსს" ძალიან გაუჭირდება ამარეს გარეშე ამ ამოცანის გადაწყვეტა.

*"სტაუდმაიერის საკითხში ულტრაკონსერვატიული ვიქნებით,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ სამწუხარო ამბავს "ფინიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **სტივ კერმა.** - *ამარეს წინ ხანგრძლივი კარიერა ელის და ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ".*

■ ■ ■

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებში სხვა წამყვანმა კალათბურთელებმაც მიიღეს ტრავმები. ცნობილი გახდა, რომ "იუტა ჯაზთან" მატჩში მარჯვენა მუხლის დაზიანების გამო, ორ-სამ კვირას გამოტოვებს "ბოსტონ სელტიქსის" ვარსკვლავი **კევინ გარნეტი.**

სავარაუდოდ, გარნეტი მარტის შუა რიცხვებში დაუბრუნდება გუნდს. ქეიჯი NBA-ში მე-14 სეზონს ატარებს და საშუალოდ მატჩში 16.3 ქულასა და 8.8 მოხსნას აგროვებს.

სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრ **გრეგ ოდენს.** მას მარცხენა მუხლის ტრავმა აწუხებს.

ოდენმა დაზიანება "ყველა ვარსკვლავის" უიქენდის წინ, "გოლდენ სტეიტთან" მატჩში მიიღო და ამის გამო დებიუტანტებისა და მეორეწლიანების ტრადიციული შეხვედრა გამოტოვა. ახალგაზრდა ცენტრის საშუალო სტატისტიკური მონაცემები 9.0 ქულასა და 7.2 მოხსნას შეადგენს.

# იუტამ მფლობელი დაკარგა



"იუტა ჯაზის" მფლობელი **ლარი მილერი** 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბიზნესმენი მეორე ტიპის დიაბეტით იყო დაავადებული და 2008 წლის ივნისში გულის შეტევა გადაიტანა. ამის შემდეგ, იანვარში მას ორივე ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა.

ლარი მილერი საავტომობილო ბიზნესით იყო დაკავებული. 1985 წელს, როცა ფინანსურ კრიზისში მყოფი "იუტა" მაიამიში უნდა გადაბარგებულიყო, მილერმა გუნდის აქციათა 50 პროცენტი შეიძინა, ერთი წლის შემდეგ კი "ჯაზის" ერთპიროვნული მფლობელი გახდა და უარი განაცხადა გუნდის მინესოტაში გადაყვანაზე.

მილერის პატრონობის ქვეშ, 1997-98 წლებში "იუტამ" ორჯერ ითამაშა NBA-ის ფინალში და ორივეჯერ "ჩიკაგო ბულზთან" დამარცხდა.

# ჯეისონ უილიამსმა დაბრუნება გადაწყვიტა

"მაიამი ჰიტის" ყოფილმა გამთამაშებელმა **ჯეისონ უილიამსმა,** რომელმაც გასულ ზაფხულს დაასრულა პროფესიული კარიერა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, ვადაზე ადრე ამოიღონ სპორტიდან ნებაყოფლობით წასული მოთამაშეების სიიდან.




იმ შემთხვევაში, თუ 30 კლუბის გენერალური მენეჯერი მოთამაშის თხოვნას დააკმაყოფილებს, უილიამსი (11.4 ქულა და 6.3 შედეგიანი პასი კარიერაში) თავისუფალი აგენტი გახდება და ნებისმიერ კლუბთან შეეძლება კონტრაქტის გაფორმება.

ამჟამად ჯეისონზე უფლებებს "ლოს ანჯელეს კლიპერსი" ფლობს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ კალიფორნიელები უარს იტყვიან უილიამსის აყვანაზე.

# ჟალგირისმა ახალი სპონსორი იპოვა




წინა ნომერში ვწერდით კაუნასის "ჟალგირისის" მძიმე ფინანსური სიტუაციის შესახებ. ხელფასების გადაუხდელობის გამო, ლიტვური გრანდის კალათბურთელებმა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადეს.

პრობლემის მოგვარება თავის თავზე ლიტვის ერთ-ერთმა მსხვილმა გაზეთმა - "რესპუბლიკამ" აიღო. შაბათს მან, თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა და გუნდის გენერალური მენეჯერი გახდა. გაზეთმა უკვე გადარიცხა 87 ათასი ევრო "ჟალგირისის" ანგარიშზე და ეს თანხა მოთამაშეების ხელფასს მოხმარდება.

*"ამით არა მარტო კონკრეტული გუნდის, არამედ მთელი ლიტვის წინაშე მოვიხადეთ ვალი. "ჟალგირისის" სახელი ლიტვის თანამედროვე ისტორიის განუყოფელი ნაწილია",* - განაცხადა "რესპუბლიკის" საგამომცემლო ჯგუფის დირექტორმა **დიანა ველეჩკენემ.**

გარდა ამისა, "ჟალგირისის" ხელმძღვანელობამ ლიტვის მთავრობას შეახსენა, რომ ჯერ კიდევ გადაუხდელია 1999 წელს დაპირებული პრემია 2 მილიონი ლიტის ოდენობით.

ამასობაში კიდევ ერთი აქცია იკრებს ძალას. საინიციატივო ჯგუფმა გამოუშვა გუნდის მხარდასაჭერი სერტიფიკატები, რათა უბრალო ადამიანებმა ან ორგანიზაციებმა მათი შეძენით "ჟალგირისს" ფინანსური დახმარება გაუწიონ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბოლო სიტყვა ოლესი იყო




გასულ უიქენდზე ჩრდილოეთ კორეის ქალაქ პიონჩანგში მედლების ბოლო ოთხი კომპლექტი გათამაშდა.

შაბათს მამაკაცთა 15-კილომეტრიანი მასსტარტის მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა: შეძლებდა თუ არა ლეგენდარული **ოლე ეინარ ბიორნდალენი** წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ოქროს მოგებას? თუმცა რბოლის მსვლელობისას ამ კითხვის დასმა გონებაში არავის გაუვლია. დიადი ნორვეგიელი ბრწყინვალე სტილში მიქროდა თავისი მორიგი ტიტულისკენ, იმ დროს, როცა მისი მთავარი კონკურენტები ცუდად ისროდნენ და დამატებითი წრეების გავლა უწევდათ.

მაგრამ ბიორნდალენისთვის საბედისწერო აღმოჩნდა მეოთხე სასროლეთი, სადაც მან ორი შეცდომა დაუშვა და უახლოეს მდევრებთან - ავსტრიელებთან **დომინიკ ლანდერტინგეთან, კრისტოფ ზუმანთან** და რუს **ივან ჩერეზოვთან** 30-წამიანი უპირატესობა გაფლანგა.

ოლე მაინც პირველ ადგილზე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, წინა სტარტებმა ვეტერან ბიატლონისტს დიდი ენერგია წაართვა და ამის გამო, ბოლო ორ კილომეტრზე ვერ შეძლო უფრო ახალგაზრდა კონკურენტების გამკლავება და მეოთხე ადგილს დასჯერდა, ჩემპიონი კი ბიატლონის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ლანდერტინგენი გახდა, რომელმაც პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო.

ბიორნდალენმა მაინც არ დატოვა ჩემპიონატი მეოთხე ტიტულის გარეშე. გუშინ ნორვეგიელთა ოთხეულმა ესტაფეტაში გამარჯვება გამოსტაცა ავსტრიულ კვარტეტს და ამ ტრიუმფის მთავარი სულისჩამდგმელი სწორედ ოლე ეინარი გახდა. ის თავისი გუნდის შემადგენლობაში მეოთხე ნომერი იყო და ერთი პირობა, 30 წამსაც კი აგებდა ავსტრიასთან, მაგრამ ბოლო სროლის შემდეგ, ბიორნდალენი და ზუმანი ერთდროულად გაეშურნენ ფინიშისკენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოლე კარგი ფინიშიორი არ გახლავთ, ამიტომაც თავიდანვე შეუტია ზუმანს და ორ კილომეტრში 12 წამი მოუგო.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო სიტყვა ბიორნდალენმა თქვა, რომელიც ახლა 14-გზის (!) მსოფლიოს ჩემპიონი გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 4 | 1 | 3 | 8 |
| 2. გერმანია | 2 | 4 | 2 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 4. ავსტრია | 1 | 2 | 0 | 3 |
| 5. შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 6. საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. სლოვაკეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 7. სლოვენია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 9. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |

**კაცები**

**15 კმ. მას-სტარტი**

1. **დომინიკ ლანდერტინგერი** (ავსტრია) - 38.32,5 (2+0+0+1); 2. **კრისტოფ ზუმანი** (ავსტრია) - +8,9 (2+0+0+1); 3. **ივან ჩერეზოვი** (რუს) - +13,3 (2+0+0+0); 4. **ოლე ეინარ ბიორნდალენი** (ნორ) - +21,1 (1+0+0+2); 5. **მიხაელ რიოში** (გერ) - +6,8 (1+0+1+2); 6. **ტომაშ სიკორა** (პოლ) - +36,5 (1+2+0+2).

**ესტაფეტა 4x7.5 კმ**

1. **ნორვეგია** (ემილ ჰეგლე სვენდსენი, ლარს ბერგერი, ჰალვარდ ჰანევოლდი, ოლე ეინარ ბეორნდალენი) - 1:08.04,12 (2+9); 2. **ავსტრია** (დანიელ მეზოტიჩი, სიმონ ედერი, დომინიკ ლანდერტინგერი, კრისტოფ ზუმანი) - +12,5 (0+7); 3. **გერმანია** (მიხაელ რიოში, კრისტოფ შტეფანი, არნდ პაიფერი, მიხაელ გრაისი) - +32,7 (0+10); 4. **საფრანგეთი** - +56,4 (0+4); 5. **უკრაინა** - +1.14,7 (0+6); 6. **რუსეთი** - +1.41,8 (1+10).

**ქალები**

**ესტაფეტა 4x6 კმ**

1. **რუსეთი** (სვეტლანა სლეპცოვა, ანა ბულიგინა, ოლგა მედვედცევა, ოლგა ზაიცევა) - 1:13.12,2 (0+9); 2. **გერმანია** (მარტინა ბეკი, მაგდალენა ნოინერი, ანდრეა ჰენკელი, კატი ვილჰელმი) - +1.15,1 (3+14); 3. **საფრანგეთი** (მარი-ლორ ბრიუნე, სილვი ბეკარი, მარი დორინი, სანდრინ ბეი) - +1.27,5 (1+13); 4. **ბელარუსი** - +1.41,7 (0+8); 5. **შვედეთი** - +2.29,9 (2+11); 6. **ჩინეთი** - 3.15,7 (1+14).

**12,5 კმ. მას-სტარტი**

1. **ოლგა ზაიცევა** (რუს) - 34.18,34 (0+0+1+1); 2. **ანასტასია კუზმინა** (სლოვაკ) - +7,5 (0+0+1+1); 3. **ჰელენა იონსონი** (შვედ) - +12,2 (0+0+1+1); 4. **ვიტა სემერენკო** (უკრ) - +34,5 (0+0+0+0); 5. **ანდრეა ჰენკელი** (გერ) - +35.2 (0+0+2+2); 6. **დარია დომრაჩოვა** (ბლრ) - +43.9 (0+0+2+0).

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**20 თებერვალი**

**ვაშინგტონი-კოლორადო 1:4**

1:1, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 რ. სმიტი-20 (ფუტი-5), 1:1 ბექსტრიომი-15 (ფლიშმანი-15, ფერი-10), 1:2 ფუტი-1 (ჰეიდუკი-24, რ. სმიტი-28), 1:3 არნასონი-5 (სვატოსი-15), 1:4 ვოლსკი-13 (რ. სმიტი-29, კლარკი-10).

**კაროლინა-ტამპა ბეი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 ე. სტაალი-27 (სამსონოვი-22, ტ. რუუტუ-19), 1:1 პროსპალი-14 (ჰალპერნი-6), 2:1 ი. იოკინენი-7 (ბრინდამორი-22), 3:1 კორვო-10 (რეი უიტნი-30, სამსონოვი-23), 4:1 კორვო-11 (რეი უიტნი-31, ე. სტაალი-19).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 5:2**

2:1, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 გეტცლაფი-20 (პრონგერი-26, სელიანე-18), 1:1 კლირი-12 (ზეტერბერგი-31, კრონვალი-35), 2:1 დაციუკი-25 (ზეტერბერგი-32, ლიდსტრიომი-32), 3:1 ზეტერბერგი-22 (დაციუკი-49, კოპეცკი-9), 4:1 ფრანცენი-25, 4:2 რაიანი-20 (ებეტი-14, სელიანე-19), 5:2 დრეიპერი-5 (რაფალსკი-41).

**21 თებერვალი**

**ფილადელფია-პიტსბურგი 4:5**

1:0, 0:3, 3:2

გოლები: 1:0 ლუპული-17 (პარტნელი-22, ჯ. კარტერი-26), 1:1 კროსბი-22 (ფედოტენკო-13, მალკინი-59), 1:2 მალკინი-27 (სიკორა-20, გონჩარი-2), 1:3 ფედოტენკო-12 (დუპუი-8, კროსბი-54), 2:3 მ. რიჩარდსი-23, 3:3 ქობურნი-7 (კარლი-12, მ. რიჩარდსი-36), 3:4 ფედოტენკო-13 (კროსბი-55, დუპუი-9), 4:4 ნუბლი-21 (მ. რიჩარდსი-37, საიმონ განიე-31), 4:5 კროსბი-23 (დუპუი-10).

**მონრეალი-ოტავა 5:3**

2:0, 3:2, 0:1

გოლები: 1:0 პლეკანეცი-15 (კოვალიოვი-27, მარკოვი-40), 2:0 კოვალიოვი-14, 3:0 შნაიდერი-6 (ს. კოივუ-21, ჰიგინსი-7), 4:0 ბრისბუა-5 (ჰამრლიკი-19, კოვალიოვი-28), 4:1 ი. რუუტუ-4 (ვინჩესტერი-9, კამპოლი-12), 4:2 პიტლი-28 (სპეცა-26, კამპოლი-13), 5:2 დანდენო-2 (ჰამრლიკი-20, ჩიპჩურა-3), 5:3 პიტლი-29 (სპეცა-27, ალფრედსონი-36).

**დალასი-ჩიკაგო 1:3**

0:1, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 ვიშნიევსკი-2 (პაველსკი-31, ვერსტეეგი-27), 0:2 კეინი-19 (ბროუერი-13, ტეუვზი-27), 0:3 მ. უოკერი-1 (ბარკერი-23, ბიფულინი-12), 1:3 ოტი-12 (დელეი-17, რობიდასი-19).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 3:6**

1:1, 1:3, 1:2

გოლები: 0:1 პეილი-3 (რაინპრეხტი-20, ლინდსტრიომი-8), 1:1 ფროლოვი-25 (კოპიტარი-31, ო'სალივანი-22), 2:1 დ. ბრაუნი-23, 2:2 ო. იოკინენი-18 (საუერი-5, ზ. მიხალეკი-18), 2:3 ტიხონოვი-7 (ჰანჟალი-16), 2:4 ო. იოკინენი-19 (მიულერი-19, კარჩილო-6), 2:5 ბოედკერი-10 (ტიხონოვი-6, ჰანჟალი-17), 2:6 ო. იოკინენი-20, 3:6 დ. არმსტრონგი-4 (ქუინსი-29, სიმონდსი-9).

**სან ხოსე-ატლანტა 3:1**

0:0, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 ქლოუ-21 (მ. მიხალეკი-24, პაველსკი-26), 2:0 ჩიჩუ-9 (რიონიკი-6, რ. ბლეიკი-28), 2:1 ლიტლი-25 (ვიაჩ. კოზლოვი-33, ტ. უაიტი-36), 3:1 ჯ. ტორნტონი-15 (ბოილი-29, სეტოგუჩი-27).

**ბაფალო-რეინჯერსი 4:2**

2:0, 1:0, 1:2

გოლები: 1:0 პეი-7 (როი-34, ბატლერი-3), 2:0 სეკერა-2 (როი-35, შაჩეკი-23), 3:0 როი-22 (გოსტადი-12, რივე-15), 3:1 ნესლუნდი-18 (გომესი-30, დრური-23), 4:1 პეხტი-7 (კონოლი-15, ტალინდერი-6), 4:2 დეივსი-10 (ჟერდიოვი-29, კალინინი-10).

**ტორონტო-ვანკუვერი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ჯ. ბლეიკი-22 (კუბინა-21, სტემპნიაკი-20), 1:1 სალო-4 (დემიტრა-20, ჰ. სედინი-44), 2:1 სტაიანი-14 (ი. უაიტი-11), 2:2 ბაროუზი-15 (დ. სედინი-34, ჰ. სედინი-45).

ბულიტები გაიტანეს: დემიტრა (ვანკუვერი), გრაბოვსკი (ტორონტო), სუნდინი (ვანკუვერი).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-8 (შტრაიტი-30), 2:0 სიმი-8, 3:0 ოკპოსო-12 (კომო-9, ნილსენი-15), 4:0 გერინი-16 (ნილსენი-16, შტრაიტი-31).

**ფლორიდა-ბოსტონი 2:0**

0:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 დვორაკი-9 (ბოუმისტერი-19, ვოკოუნი-1), 2:0 დვორაკი-10 (გ. კემპბელი-15, ტარნავსკი-3).

**კოლამბუსი-ანაჰაიმი 2:5**

0:2, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 პრონგერი-10 (ს. ნიდერმაიერი-32, პერი-31), 0:2 ბ. მორისონი-10 (სალსიდო-1), 1:2 ნეში-26 (ჯეისონ უილიამსი-17, ტიუტინი-20), 1:3 პერი-21 (ს. ნიდერმაიერი-33, გეტცლაფი-48), 1:4 კუნიტცი-16 (პერი-32, გეტცლაფი-49), 2:4 პუსელიუსი-18 (მალორტა-18, ნეში-31), 2:5 რაიანი-21 (ებეტი-15).

**მინესოტა-დეტროიტი 5:2**

2:0, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 ნოლანი-16 (ბუშარი-23, მ-ა. ბერჟერონი-16), 2:0 ნოლანი-17 (ბელანჟე-17, ბერნსი-15), 2:1 კოპეცკი-3 (ლეინო-3, მიოლტბი-5), 3:1 ბუშარი-14 (ნოლანი-13), 4:1 სკოულა-1 (მ. კოივუ-38, მიეტინენი-26), 4:2 ლეინო-4 (რაფალსკი-42, კლირი-21), 5:2 ველო-7.

**სენტ ლუისი-ნეშვილი 0:1 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 შ. უებერი-15 (დუმონი-31, სატერი-27).

**ედმონტონი-კალგარი 2:3 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 კოული-14 (ჰორკოფი-26, სურეი-23), 1:1 იგინლა-22 (სერიჩი-15, პერდი-8), 2:1 ჰემსკი-19 (ჰორკოფი-27, სტრადვიკი-6), 2:2 ლომბარდი-9 (გლენკროსი-19, ფანოფი-27).

**ბულიტები გაიტანეს: ბერტუცი (კალგარი).**

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**NBA**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ჩიკაგო | 98:91 |
| ტორონტო-ნიუ იორკი | 111:100 |
| ფინიქსი-ბოსტონი | 108:128 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 70:80 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ტაუგრესი | 77:90 |
| ესტუდიანტესი-უნიკახა | 71:78 |
| უნიკახა-ტაუგრესი | 98:100 (ო) |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| ვირტუსი-ტერამო | 98:90 |
| სიენა-ბენეტონი | 85:80 |
| ვირტუსი-სიენა | 69:70 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| რუანი-ლე მანი | 77:84 |
| ორლეანი-ვილერბანი | 72:66 |
| ორლეანი-ლე მანი | 64:74 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ერტლანდი | 55:77 |
| ულმი-ოლდენბურგი | 75:83 |
| ჯაიანტსი-ბამბერგი | 85:80 |
| ლუდვიგსბურგი-დიუსელდორ | 81:73 |
| პადერბორნი-ბრაუნშვაიგი | 83:81 |
| ტელეკომი-ჰესენი | 81:70 |
| ტიუბინგენი-ტრირი | 81:75 |
| ბრემერჰავენი-ალბა | 69:78 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-პიტსბურგი | 5:2 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ნეფტეხიმიკი | 4:4 |
| დინამო-მეტალურგი (ნ) | 6:1 |
| სპარტაკი-ტორპედო | 5:3 |
| მვდ-ვიტიაზი | 7:1 |
| დინამო (მნ)-ამური | 3:2 |
| დინამო (რ)-სიბირი | 2:2 |
| ბარისი-ლადა | 3:3 |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 3:1 |
| სევერსტალი-ტრაქტორი | 3:0 |
| სკა-მეტალურგი (მ) | 3:0 |
| ხიმიკი-აკ ბარსი | 1:4 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-გრაცი | 3:2 |
| ვილახი-ლინცი | 5:2 |
| ზალცბურგი-აკრონი | 9:1 |
| კლაგენფიურტი-ინსბრუკი | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-აისბარენი | 2:7 |
| კასელი-ჰანოვერი | 5:1 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 5:2 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 7:3 |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 4:4 |
| მანჰაიმი-დუისბურგი | 8:3 |
| ფრანკფურტი-ვოლფსბურგი | 3:4 |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 2:5 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-კომეტი | 4:1 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 6:6 |
| სტრიორნენი-სპარტა | 5:4 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:5 |
| ფურუსეტი-სტორჰამარი | 2:10 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სლოვანი | 7:1 |
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:2 |
| მარტინი-ჟილინა | 3:3 |
| მიკულაში-კოშიცე | 2:3 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 7:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-იოკერიტი | 2:4 |
| კალპა-სეიპა | 4:3 |
| კიეკო-ლუკო | 2:3 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 2:4 |
| ტპს-კერპეტი | 3:4 |
| ჰიფკ-ტაპარა | 4:3 |
| ჰპკ-ესეტი | 6:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 3:1 |
| პლზენი-ტრშინეცი | 4:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ჟენევა | 5:3 |
| დავოსი-ფრიბურგი | 5:2 |
| ლუგანო-ლანგნაუ | 2:5 |
| რაპერსვილი-ბერნი | 2:4 |
| ცუგი-კლოტენი | 5:1 |
| ციურიხი-ბილი | 7:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-როგლე | 2:2 |
| ბრიუნესი-იურგორდენი | 4:2 |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 1:4 |
| ლულეო-ჰვ71 | 2:1 |
| ფერიესტადი-მოდო | 6:3 |
| სიოდერტალე-ტიმრა | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| რობრედო-მონაკო | 7:5, 2:6, 7:6 |

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| ცონგა-ლოდრა | 7:5, 7:6 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| როდიკი-შტეპანეკი | გვ.დასრულდა |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| დულკო-მარტინეს სანჩესი | 3:6, 2:6 |

TV პროგრამა

**23 თებერვალი. ორშაბათი**

**I არხი**

**23:00** საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლე მანი.
**09:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბილბაო.
**11:10** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ევერტონი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**1 :05** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
**16:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:05** ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ვალენსია.
**18:50** არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი.
**20:35** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:35** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:55** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:55** ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ტოტენჰემი (LIVE).
**01:55** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**03:30** ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ტოტენჰემი.
**05:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**06:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მონაკო.

**EUROSPORT**

**11:30** ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
**11:45** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 კმ. გამოდევნებით. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**12:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 10 კმ. მას-სტარტი. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**13:45** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მასსტარტი. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
**14:30** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
**16:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
**18:00** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მასსტარტი. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
**18:30** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
**20:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 კმ. გამოდევნებით. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:45** ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - კრისტიანო რონალდო.
**22:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
**23:15** მულტისპორტი.
**23:30** არმრესტლინგი.
**01:25** მულტისპორტი.
**01:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:15** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფრისტაილი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** სნოუბორდი. ნორვეგია.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
**16:15** ახალი ამბები.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**18:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. II ტური. კილი (გერმანია)-სიუდად რეალი (ესპანეთი).
**19:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ფრისტაილი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
**21:45** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. კანადა.
**22:15** უნივერსიადა 2008. ბელგრადი. სერბეთი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
**23:30** ლაკროსი. რეგულარული სეზონი.
**01:00** სნოუბორდი. ნორვეგია.
**02:00** ფრისტაილი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი.
**03:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ზე14



შეტევაშია ბრაიან ჰაბანა

# ორი აფრიკული, ორიც ავსტრალიური

სამხრეთ ნახევარსფეროს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სარაგბო ტურნირის, ზე 14-ის გათამაშებაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. დღეისათვის დაუმარცხებელი ოთხი გუნდია - ორი სამხრეთ აფრიკული და ორიც ავსტრალიური. ცხადია, ყოველივე ამაში გარკვეული კანონზომიერებაცაა.

მაგალითად, სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულმა ლიდერმა სამხრეთ აფრიკულმა „ბლუ ბულზმა" ორივე შეხვედრა შინ გამართა და ორივეში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ავსტრალიური „რედსის" დამარცხების შემდეგ - 33:20, ლურჯი ხარები ადვილად გაუსწორდნენ ზელანდიურ „ბლუზს" - 59:26.

„ბულზი" 24-ე წუთისთვის უკვე 26:0-ს იგებდა და სრულიად ცხადი იყო, რომ შეხვედრაში ზელანდიელებს არაფერს დაუთმობდა. ჯამში ხარებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორი **პიერ სპისის** (№8) ანგარიშზეა. ბლუზების რბევას კი სათავე გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** დაუდო. ხელი მოწინააღმდეგეს არც დამრტყმელმა **მორნ სტეინმა** დააკლო. მან ოთხი გარდასახვა, სამი საჯარიმო და ერთიც არეკნი გაიტანა.

„ბლუ ბულზმა" ორივე შეხვედრაში პრემიალური ქულები მოიპოვა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს. ასევე ორი მოგება აქვს, ოღონდ პრემიალურების გარეშე, კიდევ ერთ აფრიკულ გუნდს „ნატალ შარქსს". ხარებისგან განსხვავებით ზვიგენებმა პირველი შეხვედრა სტუმრად მოიგეს სამხრეთ აფრიკის კიდევ ერთ კლუბ „სტრომერზთან" - 20:15. მათი კლანჭების მეორე მსხვერპლიც აფრიკული გამოდგა. ამჯერად „შარქსმა" შინ, დურბანში სძლია იოჰანესბურგის „ლაიონზს" 25:10.

როგორც მოსალოდნელი იყო წარმატებული სტარტი აიღო ავსტრალიურმა „ვორათაზმა". სიდნეელებმა მართალია ორივე შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ორივე უდიდესი ძალისხმევის ფასად. ჯერ სტუმრად ველინგტონში სძლიეს გაჭირვებით „ჰარიკენზს" - 26:22, მერე კი შინ ზელანდიური „ჩიფსი" დამრტყმელის **კერტლი ბილის** საჯარიმოსა და არეკნის წყალობით დაამარცხა. „ვორათაზი" 54-ე წუთისთვის 5:7-ს აგებდა. ბილიმ ჯერ საჯარიმო გაიტანა და თავისიანები მინიმალური სხვაობით დააწინაურა - 8:7. მერე კი, ხუთ წუთში არეკნით განამტკიცა „ვორათაზის" გამარჯვება.

არანაკლები თავგადასავალი გადახდა კიდევ ერთ ავსტრალიურ გუნდს კანბერის „ბრამბიზს". ავსტრალიელები პირველი ტურის შეხვედრაში, სტუმრად დანიდინში „ჰაილენდერზთან" მე-20 წუთისთვის 0:19-ს აგებდნენ. თუმცა მერე ძალების კონცენტრაცია მოახერხეს და მატჩის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს. ბრამბიზელებმა მეტოქე ორი ქულის სხვაობით - 33:31 დაამარცხეს.

კიდევ უფრო რთული ბრძოლა გადახდა „ბრამბიზს" მეორე ტურში. საშინაო შეხვედრაში ავსტრალიელთა მეტოქე შარშანდელი გამარჯვებული ზელანდიური „კრუსეიდერზი" იყო. გამარჯვება ავსტრალიელებს **სტირლინგ მორთლოქის** გარდასახვამ მოუტანა. ზელანდიელები 16:11-ს იგებდნენ, ფულ ბეკმა **მარკ ჯერარდმა** ლელო გაიტანა - 16:16. გარდასახვის დარტყმა მორთლოქმა ითავა. ავსტრალიის ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს ნერვებმა არ უმტყუნა და თავისიანებს ორი ქულის სხვაობით გაამარჯვებინა - 18:16.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| II ტური | |
|---|---|
| ჰარიკენზი (ზელ) - ჰაილენდერზი (ზელ) | 22:17 |
| ვორათაზი (ავსტრ) - ჩიფსი (ზელ) | 11:7 |
| ფორსი (ავსტრ) - ჩითაზი (ს. აფრ) | 16:10 |
| სტრომერზი (ს.აფრ) - რედსი (ავსტრ) | 27:24 |
| ბრამბიზი (ავსტრ) - კრუსეიდერზი (ზელ) | 18:16 |
| ბულზი (ს.აფრ) - ბლუზი ( ზელ) | 59:26 |
| შარქსი (ს.აფრ) - ლაიონზი (ს.აფრ) | 25:10 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბულზი - 10 ქულა, 2. ვორათაზი - 9, 3. ბრამბიზი - 9, 4. შარქსი - 8, 5. ბლუზი - 6, 6. კრისეიდერზი - 5, 7. ჰარიკენზი - 5, 8. ფორსი - 5, 9. სტრომერზი - 5, 10 ლაიონზი - 5, 11. ჰაილენდერზი - 3, 12 ჩიფსი - 2, 13. ჩითაზი - 2, 14. რედსი - 2.

**III ტური**

**27 თებერვალი**

კრუსეიდერზი (ზელ) - ჰარიკენზი (ზელ)
ვორათაზი (ავსტრ) - ჰაილენდერზი (ზელ)

**28 თებერვალი**

ჩიფსი (ზელ) - შარქსი (ს.აფრ)
ბრამბიზი (ავსტრ) - ფორსი (ავსტრ)
ლაიონზი (ს.აფრ) - ბულზი (ს.აფრ)
სტრომერზი (ს.აფრ) - ბლუზი ( ზელ)

**1 მარტი**

რედსი (ავსტრ) - ჩითაზი (ს. აფრ)

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ვენუსის მე-40 ტიტული

**ვენუს უილიამსის ტიტულები**

1998 - ოკლაჰომა, მაიამი, დიდი სლემის თასი; 1999 - ოკლაჰომა, მაიამი, ჰამბურგი, რომი, ნიუ ჰევენი, ციურიხი; 2000 - უიმბლდონი, სტენფორდი, სან დიეგო, ნიუ ჰევენი, აშშ-ის ღია, ოლიმპიადა; 2001 - მაიამი, ჰამბურგი, უიმბლდონი, სან დიეგო, ნიუ ჰევენი, აშშ-ის ღია; 2002 - გოლდ კოუსტი, პარიზი, ანტვერპენი, ამელია აილენდი, სტენფორდი, სან დიეგო, ნიუ ჰევენი; 2003 - ანტვერპენი; 2004 - ჩარლსტონი, ვარშავა; 2005 - სტამბოლი, უიმბლდონი; 2007 - მემფისი, უიმბლდონი, სეული; 2008 - უიმბლდონი, ციურიხი, WTA-ის ჩემპიონატი; 2009 - დუბაი.

**გასული** კვირის ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი - დუბაის ღია პირველობა სანახევროდ მოულოდნელი შედეგით დასრულდა. 2-მილიონიანი საპრიზო ფონდის გაყოფისას ლოგიკური ჩემპიონი მივიღეთ, მაგრამ გამოჩნდა ერთი ჩოგბურთელი, რომელიც წარმატებით ჩაერია ფავორიტთა ბრძოლაში და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

კლასიფიკაციის 58-ე ნომერმა **ვირჟინ რაზანომ** კარიერაში საუკეთესო ტურნირი ჩაატარა და რაც მთავარია, ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენა. ფრანგმა ჩოგბურთელმა განსაკუთრებით რუსი მოთამაშეები გაანბილა. მეორე წრეში მსოფლიოს მეორე ჩოგან **დინარა საფინას** მოუგო, მეოთხედფინალში კი მეხუთე ნომერ **ვერა ზვონარევას** სძლია, მათ შორის კი ცნობილი სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** გამოთიშა ბრძოლას.

საერთოდ, ტურნირში 13 რუსი ჩოგბურთელი ჩაება, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გააღწია ნახევარფინალში. მათ შორის იყო შარშანდელი ჩემპიონი **ელენა დემენტიევაც**, რომელიც **ვენუს უილიამსმა** გაანადგურა. სწორედ ამ ამერიკელმა აჩვენა დუბაიში ყველაზე სტაბილური და დამაჯერებელი თამაში და სეზონში პირველი ტიტული მოიპოვა.

როცა უილიამსები ოპტიმალურ ფორმაში არიან, მათი შეჩერება შეუძლებელი ხდება. ასე მოხდა ამჯერადაც. ამერიკელმა დებმა ნაადრევი ფინალი ნახევარფინალურ ეტაპზე გაითამაშეს. რა თქმა უნდა, არ ვაკნინებთ მეორე ნახევარფინალში მოთამაშე რაზანოსა და ესტონელი **კაია კანეპის** ოსტატობას, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ სერენასა და ვენუსის გამჩერებლები.

დუბაის ნახევარფინალში უილიამსები კარიერაში მეცხრამეტედ შეხვდნენ ერთმანეთს. აქამდე მათ შორის უძლიერესის გამოვლენა არ მოხერხდა, რადგან ამერიკელების ურთიერთშეხვედრათა ანგარიში თანაბარი იყო - 9:9.

ვენუსმა დამაჯერებლად დაიწყო მატჩი და პირველ პარტიაში მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეუტანია. სამაგიეროდ, მეორე სეტში სერენამ მკვეთრად უმატა ტემპს და მისი უფროსი და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა, ხოლო, როცა სერენამ გადამწყვეტ პარტიაში 3:1 წაიყვანა ანგარიში, მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. მაგრამ აქ უმცროს დას მოწოდებაზე პრობლემები დაეწყო, თანაც მარცხენა ფეხი ასტკივდა და ფაქტობრივად კოჭლობით გადაადგილდებოდა კორტზე.

მატჩის შემდეგ სერენამ უფროს დას მოწოდება შეუქო და სწორედ ეს, და არა თავისი ტრავმა, დაასახელა გადამწყვეტ სეტში ტაი-ბრეიკის წაგების მიზეზად. დაღლილობა კი იმით ახსნა, რომ წელს ყველა მატჩში ბოლომდე დახარჯვა უწევს.

ფინალში რაზანომ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ვენუსს. უილიამსმა ყველას ნათლად მიანიშნა, რომ კორტზე კარიერაში მე-40 ტიტულის მოსაგებად იყო გასული. მართალია, პირველ სეტში ბრძოლა იყო და ფრანგმა ოთხი გეიმის აღებაც შეძლო, მაგრამ თამაშის ხასიათიდან ჩანდა, რომ რაზანო 2007 წელს, ტოკიოს ტურნირზე ჩადენილ გმირობას ვერ გაიმეორებდა. მაშინ მან მოულოდნელად სამ სეტში დაამარცხა უფროსი უილიამსი. მაშინაც, ვენუსმა პირველი სეტი 6:4 მოიგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი პარტია დაუთმო ფრანგს.

ამჯერად, რაზანოს მორიგი გმირობისთვის ძალა არ ეყო. ის შეძლებისდაგვარად იბრძოდა, ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, უიმედო სიტუციაში ორი გეიმიც მოიგო და 5:2-ზე მცირე იმედი გაუჩნდა, მაგრამ იქვე ვენუსმა ბრეიკი გააკეთა და მოწინააღმდეგეს მატჩის გადარჩენის შანსი მოუსპო.

**გია თვალაბეიშვილი**

**ATP**

**Morgan Keegan Champ**

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 226 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

როდიკი (აშშ, 1)-ჰიუიტი (ავსტრა) 2:6, 7:6(4), 6:4; შტეპანეკი (ჩეხ, 5)-სელა (ისრ) 6:3, 6:1.

**Copa Telmex**

ბუენოს აირესი (არგენტ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

მონაკო (არგ)-ნალბანდიანი (არგ, 1) 2:6, 7:5, 7:6(2); რობრედო (ესპ, 3)-აკასუსო (არგ, 5) 6:4, 7:6(3).

**Open 13**

მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 576 000 ევრო

**1/2 ფინალი**

ცონგა (საფ, 4)-ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 7:6(1); ლოდრა (საფ)-სიმონი (საფ, 2) 7:6(5), 6:2.

**WTA**

**დუბაის ღია**

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**ფინალი**

უილიამსი (აშშ, 6)-რაზანო (საფ) 6:4, 6:2.

**Morgan Keegan Champ**

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

აზარენკა (ბლრ, 2)-ვოზნიაკი (დან, 1) 6:1, 6:3.

**Copa Colsanitas**

ბოგოტა (კოლუმბია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

დულკო (არგ, 3)-გალოვიტცი (რუმ) 6:2, 6:3; მარტინეს სანჩესი (ესპ, 7)-მაირი (ავსტრია) 7:5, 7:5.



მძლეოსნობა

# ბოლტმა ტემპს უმატა

პეკინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** ამ სეზონის მეორე ტურნირში მიიღო მონაწილეობა. იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა კვლავ 400 მეტრ დისტანციაზე მოსინჯა ძალები და ამჯერადაც პირველი მივიდა ფინიშთან. უსაინის დრო იყო 45.54 წამი. ერთი კვირის წინ, ასევე იამაიკაში გამართულ ტურნირში ბოლტის მიერ ნაჩვენები შედეგი 46.35 წამს უდრიდა.

როგორც ცნობილია, ბოლტმა გრძელ დისტანციაზე გადაწყვიტა 2009 წლის სეზონის გახსნა. მისი მწვრთნელი ასეთი ხერხით ცდილობს თავისი შეგირდის ამტანობის გაზრდას. ზაფხულში იამაიკელი თავის საყვარელ სპრინტერულ დისტანციებს - 100 და 200 მეტრს დაუბრუნდება.

**გია თვალაბეიშვილი**

ცურვა

# იაპონური რეკორდი

ტოკიოში 25-მეტრიანი აუზისთვის იაპონიის ღია პირველობა მიმდინარეობს, სადაც კვირას მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. ადგილობრივმა მოცურავემ **სიჰო საკაიმ** 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ქალებს შორის ყველა დროის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

19 წლის სპორტსმენმა დისტანცია 56.15 წამში დაფარა და 36 მეასედით გააუმჯობესა ცნობილი ამერიკელის - **ნატალი კაფლინის** წინა მიღწევა, რომელიც 2007 წლის 28 ოქტომბერს, სინგაპურში იყო დამყარებული.

**გია თვალაბეიშვილი**